

რონალდოს მილანში ელიან

A5



ჩვენი აფხაზეთი

A6



„თბილისი სითი„ - პროექტის პირველი ეტაპი დაიწყო

B1

www.24saati.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ოთხშაბათი, 29 მარტი, 2006 წელი. №67 (1219)

ფასი 50 თეთრი

## სამართალი

### მოსალოდნელი ცვლილებები, რომლებიც ევროკონვენციას არღვევს

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შესატანად მორიგი ცვლილებების პაკეტი მომზადდა და დღეს საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტში სწორედ ამ ცვლილებების შესახებ კანონპროექტის განხილვა იგეგმება. უკვე წინასწარ შეიძლება ითქვას, რომ კომიტეტში კანონპროექტს დიდი წინააღმდეგობა არ შეხვედბა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ის თავად ამ კომიტეტის შიგნით მომზადდა.

A4

## სამართალი

### "ხელოვნურად შეკერილი საქმე" ევროსასამართლოს პერსპექტივით

ნარკოტიკების რეალიზაციის ბრალდებით დაკავებული დავით ჯაში, რომელიც, სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, ამჟამად ფოთის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში უნდა იმყოფებოდეს, დღეს ზუგდიდის სასამართლოს წინაშე წარდგება. განსასჯელის ადვოკატების განცხადებით, მნიშვნელოვანი დარღვევებით შეკერილი საქმე ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოსთვის მიმართვის სრულ საფუძველს იძლევა, შესაბამისად, უკვე გამზადებული სარჩელი უახლოეს დღეებში სტრასბურგში გაიგზავნება.

A4

საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.

## ამინდი

| | 29/03 | 30/03 |
| --- | --- | --- |
| თბილისი | 17 | 21 |
| ტყიბული | 18 | 16 |
| სოხუმი | 20 | 17 |
| დმანისი | 9 | 12 |
| გორი | 13 | 15 |
| ონი | 11 | 10 |
| ზუგდიდი | 21 | 20 |
| ახმეტა | 17 | 21 |
| გაგრა | 19 | 14 |
| სამტრედია | 21 | 20 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
| --- | --- |
| აშშ დოლარი | 1.8265 |
| ევრო | 2.2046 |
| ბირვანქა სტერლ. | 3.1922 |
| რუბლი | 0.0657 |

ამბები A 2
პოლიტიკა A 3
სამართალი A 4
სპორტი A 5
პროექტი A 6
ტენდერი A 7
სხვადასხვა A 8

# უმრავლესობაში "მოლაპარაკე თავების" დეფიციტია

გიორგი ასანიშვილი

*რეგლამენტის მიხედვით, პარლამენტის პლენარული სხდომა სამშაბათობით განცხადებების გაკეთებით იწყება, რაც ხშირად პოლიტიკურ დისკუსიაში გადაიზრდება ხოლმე. გამონაკლისი არც გუშინდელი დღე ყოფილა. მითუმეტეს, რომ პოლემიკისთვის "მშვენიერი" თემა არსებობდა - წინა დღეს მე-5 საპყრობილეში პატიმართა ამბოხი მოხდა.*

საპარლამენტო უმრავლესობისა და ოპოზიციის პოლემიკა იმით დაიწყო, რომ "მემარჯვენე ოპოზიციის" ლიდერმა დავით გამყრელიძემ მომხსენებელთა ჯგუფის შექმნა მოითხოვა, რომელიც 27 მარტს ორთაჭალის ციხეში მომხდარ ინციდენტს შეისწავლიდა და მოკვლევის შედეგებს საკანონმდებლო ორგანოს წარუდგენდა.

გაგრძელება A3 გვერდზე



უმრავლესობა მშვიდად და ირონიით შეხვდა ოპოზიციის შეტევას.

# ჯაშუშობაში ბრალდებული

თამარ კაციტაძე

*საქართველოში უცხო ქვეყნის სპეცსამსახურების თანამშრომელთა აქტიური საქმიანობის თაობაზე ხელისუფლების წარმომადგენელთა მიერ არაერთგზის გაკეთებული განცხადებების მიუხედავად, არ ყოფილა შემთხვევა ეს მძიმე ბრალდება ოფიციალურად ვინმესთვის წაეყენებინოთ. გუშინ პირველი პრეცედენტი მოხდა - სახელმწიფო კანცელარიაში ხმაურიანი სპეცოპერაცია ჩატარდა, ძალოვანთა მიერ დაკავებული მოხელე ჯაშუშობაშია ბრალდებული.*

გაგრძელება A2 გვერდზე



ჯაშუშობის ბრალდებით დაპატიმრებული სიმონ კილაძე.

# მადამ მილიარდი

B

### 83 წლის ლილიან ბეტანკური და მასზე 15 წლის უფროსი L'Oreal-ი

გოჩა ქიმუცაძე

*პლანეტის უმდიდრესი ქალი 83 წლის ფრანგი ლილიან ბეტანკურია, რომლის ქონება 16 მილიარდ დოლარადაა შეფასებული. ამ მაჩვენებლით, მსოფლიოს უმდიდრეს ადამიანთა რეიტინგში იგი მეთხუთმეტე ადგილზეა. თავისი დიდძალი სიმდიდრის უდიდესი ნაწილი ბეტანკურს მამის, კომპანია L'Oreal-ის დამაარსებლის იუჟინ შულერისაგან მემკვიდრეობით ერგო. მადამ ლილიანის საკუთრებაშია ჰოლდინგ Gesperal-ის აქციების 51 პროცენტი. ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ, L'Oreal Group-ის აქციების 53 პროცენტს ფლობს. ორი წლის წინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ თითქოს მადამ ბეტანკური Gesperal-ში თავისი წილის ჰოლდინგის მეორე აქციონერის, კვების პროდუქტების მწარმოებელი გიგანტი კომპანია Nestle-სათვის მიყიდვას აპირებდა, მაგრამ შემდეგ გადაიფიქრა და L'Oreal-ზე, რომელიც ამერიკული Procter & Gamble-ის შემდეგ მსოფლიოს უმსხვილესი პარფიუმერული კომპანიაა, მართვის უფლება შეინარჩუნა.*



# სამშვიდობო გეგმის განხილვა ვერ მოხერხდა

ქართული მხარე მიიჩნევს, რომ გუშინ ვლადიკავკაზში გამართული შერეული საკონტროლო კომისიის სხდომა ქართულ-ოსური კონფლიქტის დარეგულირების საქმეში გარდამტეხი იქნება - წერს რუსული სააგენტო "რია ნოვოსტი" საქართველოს სახელმწიფო მინისტრის გოგა ხაინდრავას კომენტარზე დაყრდნობით.

**"ვფიქრობ, რომ საკმაოდ მნიშვნელოვანი სხდომა იყო, რომელიც გარკვეულწილად გარდამტეხი იქნება,"** - აღნიშნა გოგა ხაინდრავამ გუშინ ვლადიკავკაზში სხდომის დასრულების შემდეგ.

მისი თქმით, მიღწეულია შეთანხმება შერეული საკონტროლო კომისიის მორიგი სხდომის გამართვის თაობაზე, რომელიც მინისტრის თქმით, აპრილის მეორე ნახევარში ცხინვალში შედგება.

**"იმედი გვაქვს, რომ ჩვენი მუშაობა კონკრეტულ შედეგებამდე მიგვიყვანს,"** - აღნიშნა ხაინდრავამ.

სახელმწიფო მინისტრის თქმით, მხარეებმა მთელ რიგ საკითხებზე შეთანხმება ვერ შეძლეს. **"ასეთი საკითხები, სამწუხაროდ, ბევრია,"** - აცხადებს იგი, თუმცა აქვე დასძენს: **"დღევანდელი შეხვედრის შედეგი ის არის, რომ მხარეებმა შეძლეს მოლაპარაკებათა პროცესის გარკვეული წერტილიდან დაძვრა."**

როგორც ხაინდრავამ ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა, შეუთანხმებელი საკითხების გამო ვერ მოხერხდა მიხეილ სააკაშვილისა და ედუარდ კოკოითის მიერ შემოთავაზებული კონფლიქტის დარეგულირების სამშვიდობო გეგმის კონკრეტული პროექტების განხილვა. ხაინდრავა იმედოვნებს, რომ სადავო საკითხების შეთანხმებას მხარეები უმოკლეს ვადაში მოახერხებენ.

*24 საათი*

# ზურაბ ჟვანიასა და სანდრო გირგვლიანის გარდაცვალების "მატრიცა"

ია ანთაძე

როდესაც ექსპერტები ან ჟურნალისტები საქართველოს ბოლოდროინდელ პრობლემებს განიხილავენ, ყოველთვის სვამენ შეკითხვას - რა არის გამოსავალი დღევანდელი მდგომარეობიდან? ამ კითხვას პასუხი მიმდინარე საზოგადოებრივმა პროცესმა თავად გასცა.

პოსტრევოლუციური მედიის მთავარი პრობლემა სიმართლის შეზღუდვა იყო. იმის შემდეგ, რაც ტელეკომპანია "იმედის" ეთერით გავიდა სიუჟეტი სანდრო გირგვლიანის მკვლელობაზე, საზოგადოებამ პირველად შეიტყო სიმართლე, რომლის გახმაურება ხელისუფლებას კატეგორიულად არ აწყობდა.

მკვლელობის შესახებ სიუჟეტმა პოსტრევოლუციური პერიოდი ორად გაყო: ამ ფაქტამდე და ამ ფაქტის შემდეგ. კერძოდ, ამ ფაქტამდე იყო ბევრი შემაძრწუნებელი ფაქტი, რომლებსაც ხელისუფლებისთვის განსაკუთრებული პრობლემები არ შეუქმნია. მაგალითად იკმარებს თუნდაც მხოლოდ ერთი: პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიას გარდაცვალება საეჭვო გარემოებებში და ამ საქმის გამოძიება.

რა შეიცვალა გასული წლის თებერვლიდან მიმდინარე წლის თებერვლამდე? პრემიერ-მინისტრის გარდაცვალებამ საზოგადოებას მხოლოდ ჩუმი და უპასუხო კითხვები დაუტოვა, ხოლო ჩვეულებრივი, რიგითი მოქალაქის გარდაცვალებამ საზოგადოება ფეხზე დააყენა.

როგორც ტელეკომპანია "მზის" მაშინდელი თანამშრომელი ირაკლი იმნაიშვილი ამბობს, შინაგან საქმეთა მინისტრის ვანო მერაბიშვილის პირადი მითითებით დამონტაჟდა სიუჟეტი, რომელიც პრემიერ-მინისტრის გარდაცვალების ფაქტთან დაკავშირებით გავიდა გადაცემაში "არჩევანის ზღვარზე". ხოლო როდესაც ამავე გადაცემაში ამ ფაქტზე სასაუბროდ პოლიტიკოსები მიიწვიეს, მათ ეთერში გასვლის საშუალება არ მიეცათ. გარდაცვლილის ოჯახის წევრებმა - მეუღლემ და ძმამ - საჯაროდ დაადასტურეს, რომ არ იზიარებენ გამოძიების ვერსიას, მაგრამ მათ არ მოუთხოვიათ საზოგადოების ღია მხარდაჭერა გამოძიების ობიექტურად წარმართვისთვის. მაშინ განსაკუთრებული ინიციატივა არც არასამთავრობო ორგანიზაციებს გამოუჩენიათ და არც ოპოზიციის ლიდერებს.

გაგრძელება A3 გვერდზე

# რა მოხდა ორთაჭალის საპყრობილეში

### არასამთავრობოთა კოალიცია და მონიტორინგის საბჭო პასუხს ელიან

*იუსტიციის სამინისტრომ გუშინ ოფიციალურად გამოაქვეყნა ორთაჭალის საპყრობილეში მომხდარი ინციდენტისას დაჭრილი, გარდაცვლილი და სასჯელაღსრულების სხვადასხვა დაწესებულებებში გადაყვანილი პატიმრების სრული სია. თუმცა, პატიმართა ოჯახის წევრებისა და ახლობლების უმრავლესობამ გუშინ მაინც ვერ შეძლო საბოლოოდ დაედგინა ახლობელი პატიმრის მდგომარეობა და ადგილსამყოფელი. საქმე ისაა, რომ ორთაჭალის საპყრობილეში მყოფ პატიმართა უმრავლესობა არც დაჭრილების, არც გარდაცვლილებისა და არც სხვა დაწესებულებაში გადაყვანილთა სიაში არ აღმოჩნდა.*

ხათუნა ჯანგირაშვილი

**"სასჯელაღსრულების დაწესებულებებზე სრული კონტროლი ხორციელდება.**

**ის, ვინც არც ერთ სიაში არ არის, ორთჭალის საპყრობილეში, საკუთარ საკანში იმყოფება",** - ასე ახსნა შექმნილი გაურკვევლობა იუსტიციის მინისტრმა გია ქავთარაძემ დღის ბოლოს.

იუსტიციის სამინისტროსა და საქართველოს საპატრიარქოს შეთანხმების საფუძველზე, გუშინ, სასულიერო პირები პატიმრების მოსანახულებლად სასჯელაღსრულების დეპარტამენტის სხვადასხვა დაწესებულებებში შევიდნენ. **"საპყრობილეში სიმშვიდეა, არ არის პანიკა და მდგომარეობა სტაბილურია. იქ აღარ არიან ისეთი პატიმრები, რომლებსაც გადაუდებელი სამედიცინო დახმარება ესაჭიროებათ. არის რამდენიმე პატიმარი, რომლებსაც დაჟეჟილობები აღენიშნებათ. თუმცა, სერიოზული დაზიანება არც ერთ მათგანს არ აქვს",** - ასეთი განცხადება გააკეთეს ორთაჭალის იზოლატორიდან გამოსულმა სასულიერო პირებმა.

პატიმრების მონახულების საშუალება გუშინ ადვოკატებსაც მიეცათ.

გაგრძელება A3 გვერდზე

# იანუკოვიჩის პარტია ლიდერობას არ თმობს

უკრაინის საპარლამენტო არჩევნებში კვლავინდებურად ვიქტორ იანუკოვიჩის "რეგიონების" პარტია ლიდერობს. ცენტრალური საარჩევნო კომისიის მონაცემებით, ოქმების დაახლოებით 69 პროცენტის დათვლის შემდეგ, რეგიონების პარტია ამომრჩეველთა ხმების 30,02 პროცენტს აგროვებს. მეორე ადგილზე მყოფი იულია ტიმოშენკოს ბლოკი ლიდერს თითქმის 8 პროცენტით ჩამორჩება - მას უკრაინელების 22,46 პროცენტმა მისცა ხმა. მესამე ადგილზეა ვიქტორ იუშენკოს ბლოკი "ნაშა უკრაინა", რომელმაც 15,32 პროცენტი მოაგროვა. შემდეგ მოდის - "სოციალისტური პარტია" - 6,27 და "კომუნისტური პარტია" - 3,54 პროცენტი. დანარჩენი პარტიები და ბლოკები სამპროცენტიან ბარიერს ვერ ძლევენ, თუმცა ბარიერთან ყველაზე ახლოსაა ვლადიმერ ლიტვინის "სახალხო ბლოკი".

გუშინ პრეზიდენტი ვიქტორ იუშჩენკო წამყვანი ბლოკებისა და პარტიების ლიდერებს შეხვდა. როგორც პრეზიდენტის სამდივნოს ხელმძღვანელის მოადგილემ ანატოლი მატვიენკომ ჟურნალისტებს აცნობა, იუშჩენკოსთან სასაუბროდ მიწვეულები იყვნენ იულია ტიმოშენკო, "სოციალისტური პარტიის" ლიდერი ალექსანდრე მოროზი, რეგიონების პარტიის ხელმძღვანელი ვიქტორ იანუკოვიჩი და პრემიერ-მინისტრი იური ეხანუროვი. გარდა აღნიშნული პირებისა, მიწვევა კიევის მერობის კანდიდატ ლეონიდ ჩერნოვეცკისაც გაეგზავნა. უკრაინის პრეზიდენტის თანაშემწის ანა გერმანის თქმით, შეხვედრებზე არ განხილულა რაიმე კოალიციის შექმნის იდეა, მხარეები, პირველ რიგში, არჩევნების ოფიციალური შედეგების გამოცხადებაზე შეთანხმდნენ.

პარტია "რეგიონების" პოლიტსაბჭოს წევრის ტარას ჩერნოვოლის განცხადებით კი, "დიდი კოალიციის" ფორმირებას 10 მაისის შემდეგ უნდა ველოდოთ.

**"ამ დრომდე განხილული იქნება ახალი მოწვევის უზენაეს რადაში კოალიციის ყველა შესაძლო ვარიანტი და კონფიგურაცია. თუმცა, ეს რასაკვირველია, წინასწარი შეთანხმება იქნება მხოლოდ,რომელსაც არ ექნება გადამწყვეტი მნიშვნელობა. ამჟამად კოალიციებზე ამა თუ იმ ფორმით მხოლოდ პარტიები მსჯელობენ და არა ფრაქციები. 10 მაისის შემდეგ კი, როდესაც ახალი უზენაესი რადას პირველი სესია ჩატარდება, კოალიციებზე საუბარს უკვე ფრაქციების დონეზეც დაიწყებენ"**, - აღნიშნა ჩერნოვოლმა.

მისი თქმით, სასურველი არ იქნება, თუკი "ფართო კოალიცია" შეიქმნება, რადგან მას დადებითზე მეტი უარყოფითი მახასიათებელი აქვს. არჩევნებში ყველაზე მეტი ხმის მქონე "რეგიონების" პარტიისთვის უმჯობესი იქნება თუკი მემარცხენეცენტრისტულ მიმართულებას აირჩევს. ჩერნოვოლის თქმით, "რეგიონების" პარტიას სამოქმედოდ 2 ვარიანტი აქვს: პირველი - გადავიდეს ოპოზიციაში და დაელოდოს დროს, ვიდრე "ნარინჯისფერი" კოალიცია თვითონ არ დაიშლება და არ მიეცემა "რეგიონების" პარტიას საკუთარი პირობების კარნახის საშუალება, ან მეორე - ამჟამად შექმნილი მდგომარეობა მიიყვანოს ლოგიკურ დასასრულამდე ანუ უზენაეს რადაში ახალ არჩევნებამდე.

*24 საათი*

# ბელარუსის პრეზიდენტის ინაუგურაცია გადაიდო

ბელარუსის პრეზიდენტ ალექსანდრე ლუკაშენკოს ინაუგურაცია, რომელიც მომავალ პარასკევს იყო დანიშნული, გაურკვეველი დროით გადაიდო. ამის შესახებ რადიოსადგურ "ეხო მოსკვის" ბელარუსის ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში აცნობეს.

ინაუგურაციის ცერემონია, სავარაუდოდ, აპრილის პირველ ნახევარში გაიმართება. კონკრეტული თარიღი პრეზიდენტის ადმინისტრაციამ უნდა განსაზღვროს. ბელარუსის სახელმწიფოს მეთაურის ადმინისტრაციის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ალექსანდრე ლუკაშენკო ამჟამად დოკუმენტებზე მუშაობს.

ადმინისტრაციის წარმომადგენლის თქმით, ბელარუსის პრეზიდენტი ჯანმრთელია და ინაუგურაციის გადავადება სხვა მიზეზით მოხდა. ცნობისათვის, ალექსანდრე ლუკაშენკო, რომელიც თანამოქალაქეებთან ხშირი ურთიერთობითაა ცნობილი, უკვე რვა დღეა საზოგადოებას არ უნახავს.

*ინტერპრესნიუსი*

bp

**ბიზნესისა და პარლამენტის საერთაშორისო ასოციაცია**

**განცხადება ვაკანსიის შესახებ**

აღნიშნული ვაკანსიის სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბპსა-ს ვებ-გვერდზე. გთხოვთ, www.iabp.org - ზე იხილოთ "პუბლიკაციები" ან ეწვიოთ ვებ-გვერდს - www.jobs.ge

**ვაკანტური პოზიციის რაოდენობა:** ერთი, სრულ განაკვეთზე (22 თვე)

**პოზიციის დასახელება:** ბიზნესისა და ეკონომიკის ცენტრის მენეჯერი (BEC Manager)

**ანგარიშვალდებულება:** ბპსა საქართველოს აღმასრულებელი დირექტორი

პროექტისა და ორგანიზაციის მოკლე მიმოხილვა:

ბიზნესისა და ეკონომიკის ცენტრის პროექტი დაფინანსებულია ბი პი-ს (BP) მიერ და ადმინისტრირებულია ბიზნესისა და პარლამენტის საერთაშორისო ასოციაციის (ბპსა) მიერ.

პროექტი ბიზნესისა და ეკონომიკის ცენტრის მეშვეობით უზრუნველყოფს პარლამენტის ეკონომიკური კვლევის შესაძლებლობების (საკადრო და ტექნიკური) გაძლიერებას. იგი მიაწვდის პარლამენტის ყველა დაინტერესებულ წევრს ნეიტრალურ ეკონომიკურ ინფორმაციას, რაც ეკონომიკური საკითხების შესახებ უკეთესი საკანონმდებლო გადაწყვეტილებების საწინდარი იქნება. ბპსა-ს მთავარი მიზანია რეგიონში ბიზნესისა და ეკონომიკის ცენტრის მოწინავე საპარლამენტო კვლევით სამსახურად ჩამოყალიბება.

**ანაზღაურება:**

ყოველთვიური ანაზღაურება შეადგენს 900 აშშ დოლარის ექვივალენტს ლარში, გადასახადების ჩათვლით. ანაზღაურების გაზრდა დამოკიდებულია შესრულებული სამუშაოს ხარისხზე. ორგანიზაცია ასევე უზრუნველყოფს ჯანმრთელობის დაზღვევას. ბიზნესისა და ეკონომიკის ცენტრის პროექტის მნიშვნელოვანი ნაწილია თანამშრომლების ტრენინგი და პროფესიული განვითარება.

**განცხადების გამოქვეყნების თარიღი:** 27 მარტი, 2006
**განაცხადთა მიღების ბოლო ვადა:** 7 აპრილი, 2006
**გასაუბრების დღე:** 12 აპრილი, 2006

**საკონტაქტო ინფორმაცია:**
დამატებითი კითხვებით გთხოვთ მიმართოთ:
გოგა კვარაცხელიას
ბიზნესისა და პარლამენტის საერთაშორისო ასოციაციის
პროგრამის/ადმინისტრაციის მენეჯერს
ძმები ზუბალაშვილების 7/28,
თბილისი, საქართველო
ტელ/ფაქსი: 995 32 99 59 36
ელ-ფოსტა: giorgi@iabp.org
ვებ-გვერდი: www.iabp.org

# ჯაშუშობაში ბრალდებული

პირველი გვერდიდან

შინაგან საქმეთა სამინისტროს კონტრდაზვერვის დეპარტამენტის თანამშრომლებმა სახელმწიფო ღალატისა და ჯაშუშობის ბრალდებით საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის საინფორმაციო განყოფილების მრჩეველი სიმონ კილაძე დააკავეს. მომხდარ ფაქტს შინაგან საქმეთა მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა და პრეზიდენტის ადმინისტრაციის თავმჯდომარემ გიორგი არველაძემ სპეციალური პრესკონფერენცია მიუძღვნეს.

მერაბიშვილის განცხადებით, სიმონ კილაძე 2004 წლიდან უცხო ქვეყნის სპეცსამსახურებს საიდუმლოდ აძლევდა სტრატეგიული მნიშვნელობის ინფორმაციებს, რომელთაც იგი ხან ელექტრონული ფოსტით გზავნიდა, ხანაც კი პირადად ახდენდა ინფორმაციის გადატანას.

**"პრეზიდენტის ადმინისტრაციის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის თანამშრომელი სიმონ კილაძე, რომელიც ჩვენ დავაკავეთ, უცხო ქვეყნის სპეცსამსახურებს სისტემატურად გადასცემდა საიდუმლო ინფორმაციას, საქართველოს პრეზიდენტის, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ხელმძღვანელების შესახებ, სახელმწიფო დელეგაციების ვიზიტების შესახებ, ოფიციალურ შეხვედრებსა და იმ საკითხებზე, რომლებიც ამ ვიზიტების დროს განიხილებოდა, ასევე, ინფორმაციას, რომელსაც ქვეყნისთვის სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა"**, - განაცხადა მერაბიშვილმა.



*სიმონ კილაძეს საკუთარი უფლებები გააცნეს.*

სიმონ კილაძე დაბადებულია 1953 წელს ხაშურის რაიონში. სპეციალობით სამართლამცოდნეა, ჰყავს მეუღლე და ორი შვილი. 1996-2004 წლებში მუშაობდა საქართველოს პარლამენტის აპარატში საინფორმაციო კვლევითი და საბიბლიოთეკო ცენტრის წამყვან სპეციალისტად. 2004 წლის 8 იანვრიდან 17 ივლისამდე მუშაობდა პრეზიდენტის პრესსამსახურის ინფორმაციის მონიტორინგის განყოფილების უფროსად, ხოლო 2004 წლიდან დღემდე საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციაში მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის საინფორმაციო განყოფილების მრჩევლად.

**"გასული პერიოდის მანძილზე კილაძემ მინუმუმ 20 ათასი აშშ დოლარი მიიღო შპიონაჟური საქმიანობის საფასურად, ეს არის ის, რაც ჩვენ საბანკო გადარიცხვებით დავაფიქსირეთ. მიუხედავად შემოსავლისა და ხელფასისა, სიმონ კილაძე ოჯახთან ერთად დღემდე ერთოთახიან საერთო საცხოვრებელში ცხოვრობს"**, - აღნიშნა შს მინისტრმა, რომლის თქმითაც, ამ ეტაპზე გამოძიება მუშაობს იმაზე, თუ ვისთან ჰქონდა სიმონ კილაძეს კონტაქტი. გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, ამ ეტაპზე არ სახელდება თუ რომელი ქვეყნის სპეცსამსახურისგან მიიღო კილაძემ ჰონორარი. თუმცა, **"შინაგან საქმეთა სამინისტრომ ზუსტად იცის, რომ 2004 წლიდან კილაძე რეგულარულად გადასცემდა ინფორმაციას დამკვეთებს, ხოლო კონკრეტულად ვის - ეს სასამართლო პროცესზე გახდება ცნობილი"**, - განაცხადა მერაბიშვილმა და მადლობა გადაუხადა პრეზიდენტის ადმინისტრაციისა და სახელმწიფო კანცელარიის თანამშრომლებს, რომლებიც თვეების მანძილზე თანამშრომლობდნენ კონტრდაზვერვის სამსახურთან და სახელმწიფოს ჯაშუშის გამოვლენაში დაეხმარნენ.

**"ის დრო დამთავრდა, როდესაც სახელისუფლებო სტრუქტურების მაღალ რგოლებში სპეცაგენტები მუშაობდნენ. როგორც ქართველი და როგორც პრეზიდენტის ადმინისტრაციის თავმჯდომარე ყოველთვის ამაყი ვიქნები, როდესაც ქვეყნის მოღალატეებს გამოვავლენთ. ასეთი ადამიანები საქართველოში ვერ იარსებებენ. ვინც ფიქრობს, ამ გზით იშოვოს ფული, ყველას დავსჯით და პასუხს ვაგებინებთ"**, - ამ სიტყვებით დაასრულა საგანგებო პრესკონფერენცია პრეზიდენტის ადმინისტრაციის თავმჯდომარემ გიორგი არველაძემ.

სახელმწიფო ღალატისა და ჯაშუშობის ბრალდებით დაკავებული საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის საინფორმაციო განყოფილების მრჩეველი სიმონ კილაძე სამართალდამცველებმა ე.წ. მოდულის შენობაში გადაიყვანეს, მის ბინაში კი ჩხრეკა ჩაატარეს.

დაკავებულის მეუღლის მაყვალა კილაძის განცხადებით, სახლში ოთხი უცნობი პირი მივიდა, რომლებმაც შსს-ს თანამშრომლებად წარმოადგინეს თავი.

**"მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ პირებს ჩხრეკის ორდერი არ წარმოუდგენიათ, ჩხრეკის ჩატარებას არ შევწინააღმდეგებივარ, რადგან დარწმუნებული ვარ, რომ ოჯახში საეჭვო ნივთი არ ინახებოდა და ჩემი მეუღლეც უკანონო საქმიანობას არ ეწეოდა. სამართალდამცველების თქმით, ისინი ბინაში ცეცხლსასროლ იარაღსა და ფულს ეძებდნენ"**, - განაცხადა მაყვალა კილაძემ, რომელიც მისი ქმრის დაკავებისა და მის მიმართ წაყენებული ბრალდებების გამო გაკვირვებულია.

როგორც კილაძის ოჯახის წევრები ამბობენ, სამართალდამცველებს ჩხრეკის შედეგად საეჭვო არაფერი ამოუღიათ, თუმცა წაიღეს პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის გიორგი არველაძის მიმართვა, რომლის საფუძველზეც სიმონ კილაძე ყაზანში იმყოფებოდა. ამოიღეს ასევე სიმონ კილაძის ყოფილი თანამშრომლების სია, რომლებიც შევარდნაძის დროს სახელმწიფო კანცელარიაში მუშაობდნენ.

კილაძის ნათესავების ინფორმაციით, დაკავებული საზღვარგარეთ, კერძოდ ყაზანში, ორჯერ იმყოფებოდა, ისიც პრეზიდენტთან ერთად ოფიციალური დელეგაციის ვიზიტისას.

სიმონ კილაძის ადვოკატი პაატა ბუჩუკური, რომელიც კილაძის ოჯახის წევრებმა აიყვანეს, მართალია, საქმის მასალებს არ გაცნობია, მაგრამ კილაძის ოჯახის წევრებთან გასაუბრების საფუძველზე განაცხადა, რომ ჩხრეკის ჩატარების დროს დაირღვა პროცესუალური ნორმები. ბუჩუკურის თქმით, ჩხრეკის ჩატარებისას არ იყო წარდგენილი არც მოსამართლის ნებართვა და არც შესაბამისი უფლებამოსილი პირის მიერ გაცემული დადგენილება. გარდა ამისა, სამართალდამცველებს ოჯახის წევრებისთვის არც ჩხრეკის ჩატარების ოქმის ასლი დაუტოვებიათ. პრეზიდენტის ადმინისტრაციის ყოფილი თანამშრომლის ადვოკატი გუშინ დღის ბოლომდე უშედეგოდ ცდილობდა მისი დაცვის ქვეშ მყოფთან შეხვედრას, რის შესახებ მან იზოლატორის უფროსსაც შეატყობინა.

**"იმ შემთხვევაში, თუ ჩემი დაცვის ქვეშ მყოფთან შეხვედრის უფლებას არ მომცემენ, იძულებული გავხდები სარჩელით გენერალურ პროკურატურას მივმართო"**, - განაცხადა ჟურნალისტებთან საუბრისას კილაძის ადვოკატმა. დაკავებულის ოჯახის წევრებს კი საქმის ობიექტურად გამოძიების იმედი არ აქვთ და დახმარებას საზოგადოებას და ჟურნალისტებს სთხოვენ.

სწორედ იმ დროს, როდესაც სიმონ კილაძის ოჯახის წევრები, დაკავებულის მიმართ წაყენებულ ბრალდებას აბსურდულს უწოდებდნენ, საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა პრეზიდენტის ადმინისტრაციის თანამშრომლის სახელმწიფო ღალატის ბრალდებით დაკავებასთან დაკავშირებით განცხადება გააკეთა.

**"მივმართავ იმ ხალხს, ვინც მსგავს ქმედებებს ეწევა, მათ უნდა იცოდნენ, რომ ისინი მუშაობენ არა პრეზიდენტის და რომელიმე უწყების წინააღმდეგ, არამედ საქართველოს, თავიანთი შვილების მტრების სასარგებლოდ"**, - განაცხადა პრეზიდენტმა და დასძინა, ხელისუფლებას გააჩნია უამრავი ინფორმაცია იმ ადამიანებზე, ვინც მსგავს საქმიანობას ეწევა.

პრეზიდენტმა ჯაშუშობაში შემჩნეულებს პირველ მაისამდე მისცა ვადა - მათ შეუძლიათ ითანამშრომლონ შინაგან საქმეთა სამინისტროსთან და კონტრდაზვერვის სამსახურში აღიარებით გამოცხადდნენ. ასეთ შემთხვევაში საქართველოს პრეზიდენტი მათ ხელშეუხებლობის გარანტიას აძლევს.

**"ჩვენ არ გვინდა ადამიანების ტყუილად გაფუჭება. მათ უნდა იცოდნენ, რომ დიდი ხნის განმავლობაში ვაგროვებდით ინფორმაცის და ვიცით, რომ სახელმწიფო დაწესებულებებში არის ბევრი ადამიანი, რომლებიც საქართველოს წინააღმდეგ მოქმედებენ. მათ ეძლევეთ ბოლო შანსი, რომ ითანამშრომლონ საქართველოს სამართალდამცველებთან"**, - განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

"ჯაშუშების საკუთარი ქვეყნის სამსახურში ჩადგომის" შესახებ პრეზიდენტის მიერ გაკეთებული განცხადება, მოგვიანებით გენერალური პროკურატურის და კონტრდაზვერვის სამსახურის წარმომადგენლებმაც გაიმეორეს. ვისაც სურს მოსალოდნელი პასუხისმგებლობისგან თავის არიდება, შეუძლიათ გამოცხადდნენ ვაჟაფშაველას №78-ში (მოდულის შენობა) ან დარეკონ ცხელ ხაზზე - 30-58-31 და აღიარონ ჯაშუშობა.

სამართალდამცველთა დაპირებით: **"ჯაშუში მოქალაქეებისთვის გარანტირებული იქნება ხელშეუხებლობა, ანონიმურობა და მათ მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა არ აღიძვრება"**.

წინააღმდეგ შემთხვევაში, 1 მაისის შემდეგ, სამართალდამცველები მათ თავად მიაკითხავენ.

# ჩვენი ქალაქის პრიორიტეტები

*მიმდინარე წელთან შედარებით, 2006 წლის დედაქალაქის ბიუჯეტი თითქმის 39 პროცენტით არის შემცირებული. 2005 წელს თბილისს 420-მილიონიანი ბიუჯეტი ჰქონდა, წელს ქალაქის ბიუჯეტი 260 მილიონი ლარით განისაზღვრა. ადგილობრივ ხელისუფლებას ამ წლის პრიორიტეტად ის 9 პროგრამა აქვს მიჩნეული, რომელიც მათი აზრით საზოგადოებისთვის არის მნიშვნელოვანი.*

ნათია მსხილაძე

2006 წლის ბიუჯეტის პრიორიტეტებად ქცეულ პროგრამათა დასახელება ასე გამოიყურება: უმწეოთა გზის საფარის აღდგენა, სანიაღვრე ქსელებისა და კოლექტორების მოვლა-პატრონობა, გარე განათების პროექტი, 100-მდე ხელოვნურსაფარიანი სპორტული მოედანი, მეტროპოლიტენის სტაბილურობა და უსაფრთხო ფუნქციონირება, წყლით მომარაგების უზრუნველყოფა, ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების პროგრამა და სატრანსპორტო სისტემის რეგულირება.

**"ყველა პროგრამის განხორციელება ნელ-ნელა დაიწყო. ამას საკმაოდ დიდი დრო სჭირდება, ასე მარტივი არ არის. ჯერ ორეტაპიანი ტენდერი უნდა ჩატარდეს და მერე დაიწყოს განხორციელება"**, - აცხადებს ქალაქის პრემიერი თემურ ქურხული. მისივე მტკიცებით, წლის ბოლოსთვის ყველა პროგამას დასრულებული სახე ექნება.

როგორც გავარკვიეთ, გზის საფარის აღდგენის პროგრამა გარეუბნების გზების საფარის აღდგენას გულისხმობს, თუმცა უნდა აღიშნოს, რომ სახარბიელო სიტუაცია არც ქალაქის ცენტრშია. ამ პრობლემასთან დაკავშირებით, ქალაქის პრემიერის პოზიცია ასეთია: **"ვიცით, რომ გზის საფარის შეკეთება ქალაქის ცენტრშიც საჭიროა და ბარნოვზეც დავიწყეთ გზის შეკეთება."**

პრიორიტეტად ითვლება აგრეთვე წლების მანძილზე მწყობრიდან გამოსული სანიაღვრე სისტემების აღდგენა. ამ პროგრამის მიხედვით, თბილისში დატბორილი ქუჩები აღარ იარსებებს, მაგრამ ეს მომავლის საქმეა.

2006 წლის ბიუჯეტიდან ასევე უნდა დაფინანსდეს წყალმომარაგების უზრუნველყოფის პროგრამა და გარე განათების პროექტი. ასევე უნდა მოხდეს მეტროპოლიტენის უსაფრთხო ფუნქციონირების დაფინანსებაც. მეტროპოლიტენს 30 ახალი, მოდერნიზებული ვაგონი შეემატება და აღდგება მწყობრიდან გამოსული მატარებლები.

რამდენიმე დღის წინ მეტროპოლიტენის 3 000-ზე მეტი მუშაკი უკმაყოფილებას გამოთქვამდა თავისი ხელმძღვანელობის მისამართით. როგორც განაწყენებული თანამშრომლები ამბობენ, ხელფასები მხოლოდ 150 თანამშრომელს, ძირითადად, მემანქანეებს გაეზარდათ. მეტროპოლიტენის თანამშრომლები პროფკავშირების თავმჯდომარის მიმართაც გამოთქვამდნენ პრეტენზიას და მას უმოქმედობაში ადანაშაულებდნენ.

შეგახსენებთ, რომ პროფკავშირების საორგანიზაციო კომიტეტი გამოვიდა წინადადებით, რომ ხელფასის სუბსიდირებისათვის საჭირო თანხა ვაგონების მოდერნიზაციისათვის გამოყოფილი თანხიდან გამოიყოს. ეს საკითხი უახლოეს მომავალში, ქალაქის პრემიერთან, თემურ ქურხულთან შეხვედრაზე უნდა განხილულიყო. როდესაც ამის შესახებ, ქალაქის პრემიერს კომენტარი ვთხოვეთ, მან გაგვიმარტა, რომ იგი, ამის შესახებ, არანაირ ინფორმაციას არ ფლობდა.

# პრეზიდენტმა ფარმაცევტული ქარხანა "ავერსი-რაციონალი" დაათვალიერა

პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა დღეს ფარმაცევტული ქარხანა "ავერსი-რაციონალი" მოინახულა.

საწარმო ერთი წელია მუშაობს, თუმცა 13 დასახელების პროდუქცია ქართულ ბაზარზე მიმდინარე თვეში გავიდა. წარმოებულ მედიკამენტებს შორის არის ანტიალერგიული წამლები, საგული საშუალებები, დიზბაქტერიოზის სამკურნალო პრეპარატები და სხვა საშუალებები.

როგორც პრეზიდენტმა სააკაშვილმა დღეს "ავერსი-რაციონალის" დათვალიერებისას განაცხადა, საწარმოს საქმიანობით აღფრთოვანებული და აღტაცებულია. მისივე თქმით, გარდა იმისა, რომ საწარმოში 100 სამუშაო ადგილია შექმნილი, "ავერსი" აფინანსებს კატარაქტის უფასო ათას ოპერაციას, რომელსაც კლინიკა "ოფთალმიჯი" ატარებს.

პრეზიდენტის თქმით, ხელისუფლება ხელს უწყობს ასეთი საწარმოების მუშაობას და სწორედ ამ მიზნით, საბაჟო გადასახადებისგან გათავისუფლდება მანქანა-დანადგარები, რომლებიც მსგავსი საწარმოებისთვისაა საჭირო.

პრეზიდენტის თქმით, სამწუხაროა, რომ ქვეყანაში დებატები სხვა თემებზე მიმდინარეობს და არა მაღალტექნოლოგიური საწარმოების წარმატებებზე.

პრეზიდენტმა "ოფთალმიჯის" მოძრავი კლინიკა დაათვალიერა. პრეზიდენტმა ხუმრობით იკითხა, შეძლებს თუ არა აღნიშნული კლინიკა პოლიტიკოსებისთვის თვალის ახელას.

*ინტერპრესნიუსი*

## მოკლედ

### მცირე მეწარმეები პრეზიდენტს დახმარებას სთხოვენ

თვითდასაქმებული მცირე მეწარმეები პრეზიდენტს წერილობით მიმართავენ და მას დახმარებას სთხოვენ. როგორც მცირე მეწარმეთა საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელმა განაცხადა, ისინი მოითხოვენ პრეზიდენტის ბრძანების საფუძველზე შეიქმნას კომისია, რომელიც სპეციელისტებისაგან დაკომპლექტდება. კომისიას დაევალოს, შეისწავლოს მოვაჭრეთა მძიმე სამუშაო პირობები და სალარო-აპარატების დადგმა-არდადგმის საკითხი მხოლოდ მას შემდეგ გადაწყდეს. როგორც მოვაჭრეები აცხადებენ, ისინი იმდენად მძიმე პირობებში მუშაობენ, შეუძლებელია იქ სალარო-აპარატების გამოყენება. მცირე მეწარმეთა განცხადებით, კომისიის დასკვნის საფუძველზე ისინი მზად არიან, გადაიხადონ ყველა სახის ფიქსირებული გადასახადი. **ინტერპრესნიუსი**

### უკრაინაში არჩევნების შეფასება

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო მიესალმება უკრაინაში თავისუფალი და სამართლიანი საპარლამენტო არჩევნების ჩატარებას.

საქართველოს საგარეო უწყების შეფასებით, ეუთო-ს საერთაშორისო დამკვირვებელთა მისიის წინასწარ მონაცემებზე დაყრდნობით, უკრაინაში არჩევნები ევროპის ლიბერალურ-დემოკრატიულ სახელმწიფოებში მოქმედი სტანდარტების შესაბამისად გაიმართა და საქართველო აფასებს უკრაინის მთავრობის მიერ დემოკრატიის ძირეული პრინციპების მიმართ ნათლად გამოხატულ ერთგულებას.

"კვირას ჩატარებული სამართლიანი და გამჭვირვალე არჩევნები იმ განმათავისუფლებელი პროცესების შეუქცევადობის ნათელი დადასტურებაა, რომლებსაც ბიძგი "ნარინჯისფერმა რევოლუციამ" მისცა. ამასთან, ეს არჩევნები ევროპაში ახალი და ძლიერი დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნას ადასტურებს. თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების ჩატარებასთან დაკავშირებით უკრაინის მთავრობის მიერ მიღებული მყარი გადაწყვეტილება მიუთითებს მის მტკიცე განზრახვაზე, უკრაინის უმაღლეს ამოცანად ძლიერი დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნა აქციოს",-განაცხადეს სამინისტროში.

საქართველოს საგარეო-პოლიტიკურ უწყებაში იმედოვნებენ, რომ თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების შემდეგ, დემოკრატიულად არჩეული პარტიები გაერთიანებული ძალისხმევით შეეცდებიან ევროპაში ადგილის დამკვიდრებას. "ჩვენ გვწამს, რომ საერთაშორისო საზოგადოებრიობა დააფასებს უკრაინაში დემოკრატიის მაღალ ხარისხს, რომელიც მკვეთრ კონტრასტს ქმნის "ნარინჯისფერი რევოლუციის" გამომწვევ მოვლენებთან და გააძლიერებს ძალისხმევას ევროპაში უკრაინის ინტეგრაციის მიმართულებით", - განაცხადეს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში.

უკრაინაში საპარლამენტო არჩევნები კვირას, 26 მარტს გაიმართა. **ინტერპრესნიუსი**

### გელა ბეჟუაშვილი სერგეი ლავროვს ტელეფონით ესაუბრა

გუშინ ქართული მხარის ინიციატივით შედგა სატელეფონო საუბარი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრ გელა ბეჟუაშვილსა და რუსეთის ფედერაციის საგარეო უწყების ხელმძღვანელ სერგეი ლავროვს შორის. მინისტრებმა ისაუბრეს ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების აქტუალურ საკითხებზე. ასევე განიხილეს კონფლიქტების მოგვარების თემატიკა და ისაუბრეს არსებული მოლაპარაკებების მექანიზმების ეფექტურობის გაზრდის საკითხებზე.

საუბრისას მინისტრებმა გაცვალეს მოსაზრებები საქართველოსა და რუსეთს შორის არსებული სავაჭრო რეჟიმის, საბაჟო საკითხების შესახებ და ამ სფეროში არსებულ პრობლემებზე. მხარეებმა გამოხატეს მზადყოფნა ამ თემებზე კონსულტაციების გამართვასთან დაკავშირებით.

მინისტრებმა კმაყოფილება გამოთქვეს საქართველოსა და რუსეთის ფედერაციის საპარლამენტო ჯგუფების ბოლოდროინდელი თანამშრომლობის გამო და ამგვარი კონტაქტებისადმი საკუთარი მხარდაჭერა გამოხატეს. **ინტერპრესნიუსი**

### იგორ გიორგაძის პარტია ქუჩაში გამოდის

იგორ გიორგაძის პარტია "სამართლიანობის" თბილისის საქალაქო ორგანიზაცია კანცელარიის წინ, დღეიდან საქართველოს პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნით საპროტესტო აქციებს იწყებს.

მიმდინარე წლის 16-23 მარტს, პარტიის საქალაქო ორგანიზაციამ ჩაატარა თბილისის მოსახლეობის გამოკითხვა თემაზე "გსურთ თუ არა პრეზიდენტის გადადგომა და ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები", რის შედეგადაც 15 000 ხელმოწერა შეგროვდა.

"სწორედ ამ ადამიანთა ნების გამოხატვას ემსახურება პარტიის მიერ დაგეგმილი საპროტესტო აქციები. საპროტესტო აქციები გაგრძელდება 30 მარტს, 31 მარტს კი აქციაში მონაწილეობას არა მხოლოდ თბილისი, არამედ მთელი საქართველო მიიღებს", - განაცხადეს პარტიაში. **ინტერპრესნიუსი**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა. დიზაინი: გიორგი ხმალაძე.
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია

# უმრავლესობაში "მოლაპარაკე თავების" დეფიციტია

პირველი გვერდიდან

ოპოზიციონერი დეპუტატის თქმით, საჭიროა იმის დადგენა, თუ რა აუცილებლობით იყო ნაკარნახევი მე-5 საპყრობილეში სპეცოპერაციის ჩატარება, რომელსაც შვიდი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა.

თავის მხრივ, დავით გამყრელიძის თანაფრაქციელმა ფიქრია ჩიხრაძემ იმ პიროვნების დასახელება მოითხოვა, ვინც სპეცოპერაციის დაწყების ბრძანება გასცა. **"თუ ეს პრეზიდენტმა გააკეთა, მაშინ მისი პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დადგეს"**, - განაცხადა ჩიხრაძემ.

მომხსენებელთა ჯგუფის შექმნას ფრაქცია "დემოკრატიული ფრონტის" თავმჯდომარის მოადგილემ ზვიად ძიძიგურმაც დაუჭირა მხარი, რომელმაც სამართალდამცავი სტრუქტურები სხვა კუთხითაც გააკრიტიკა.

**"მას შემდეგ, რაც ბაჩო ახალაია სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ხელმძღვანელად დაინიშნა, იუსტიციის სამინისტროს გენერალურ ინსპექციას პენიტენციალური სისტემის შემოწმება აეკრძალა"**, - ამტკიცებდა ძიძიგური.

ოპოზიციის მოთხოვნებსა და პრეტენზიებს პარლამენტის ხელმძღვანელობა ოლიმპიური სიმშვიდით შეხვდა. **"იდეოლოგიურად დავამუშავდით,"** - ირონიით შეხედა ოპონენტების გამოსვლებს ვიცე-სპიკერმა მიხეილ მაჭავარიანმა, რომლის თქმითაც, პატიმართა ამბოხის თაობაზე ხელისუფლების მხრიდან მკაფიო განმარტებები გაკეთდა და, ამდენად, მომხსენებელთა ჯგუფის შექმნა სრულიად ზედმეტია.

სახელისუფლებო ფრაქციის წევრთა ასეთი განწყობა კენჭისყრის შედეგშიც აისახა: დავით გამყრელიძის მოთხოვნას მხოლოდ 35-მა დეპუტატმა დაუჭირა მხარი (კვორუმი 82). საპარლამენტო უმრავლესობის პოზიციამ "მემარჯვენეების" ლიდერი საკმაოდ გააღიზიანა და იგი სახელისუფლებო ფრაქციის წარმომადგენლების ღირსებას შეეხო.

**"ის, რომ დეპუტატებს არ აინტერესებთ, გაერკვნენ იმაში, თუ რა მოხდა რეალურად მე-5 საპყრობილეში, სულაც არ მატებს პარლამენტს ღირსებას"**, - განაცხადა დავით გამყრელიძემ.

პოლიტიკური მოწინააღმდეგეების შემოტევა უმრავლესობას, ცხადია, უპასუხოდ არ დაუტოვებია. ბიძინა ბრეგაძის თქმით, "ოპოზიცია **"აბა, ყვავებს ვინ დაიჭერს კარგო"-ს მღერის და ამ სიმღერას ლევან ბერძენიშვილი აგვირგვინებს, რომელსაც ეჭვი შეაქვს იმაში, რომ ყველა პატიმარი ციხეში სამართლიანად იხდის სასჯელს"**.

ისე, ალბათ, ბრეგაძეს უჯობდა, ასეთი რამ არ ეთქვა, ისნის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი ოპოზიციამ მიწასთან გაასწორა. "აბა, ყვავებს ვინ დაიჭერს კარგო"-ს "მომღერალს", პირველ რიგში, ძმა გამოესარჩლა. დავით ბერძენიშვილმა ბიძინა ბრეგაძე "ოროსნად" მოიხსენია და შეახსენა მას, რომ არ შეიძლება იმ ადამიანების დამნაშავეებად მოხსენიება, ვინც გასამართლებული არ არის. **"თბილისის პრემიერად მუშაობის პერიოდში, ბრეგაძემ დედაქალაქის ნახევარი მთავრობა ნარკომანებით დააკომპლექტა და ამისთვის პასუხი იმით "აგებინეს", რომ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილედ გადაიყვანეს,"** - ოპონენტის პოლიტიკური კარიერის საკვანძო მომენტი გაიხსენა დავით ბერძენიშვილმა.



ლევან ბერძენიშვილმა სწორედ უმრავლესობაში ინტელექტუალურ კრიზისზე ააგო თავისი გამოსვლა.

თითქმის ანალოგიური განცხადება დავით გამყრელიძემაც გააკეთა, რომლის თქმითაც, **"ბიძინა ბრეგაძემ მხოლოდ იმით გაითქვა სახელი, რომ მერიაში ნარკომანების გუნდი მიიყვანა"**.

გუშინდელი კამათის დროს ოპოზიციას სახელისუფლებო ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე რატი სამყურაშვილიც "შემოელანძღა". ამის მიზეზი გახდა ამ უკანასკნელის განცხადება იმის თაობაზე, რომ პატიმართა ამბოხის დროს დაზარალებულ სამართალდამცავთა მიმართ ოპოზიციას თანაგრძნობა არ გამოუხატავს. "დემოკრატიული ფრონტის" წევრებმა მაია ნადირაძის მოადგილეს უმალ შეახსენეს, რომ რესპუბლიკური პარტიის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა თავისი სატელევიზიო გამოსვლა სწორედ ამით დაიწყო...

დისკუსიაში რომ გამარჯვებას მიაღწია, გუშინ ამას ოპოზიცია კარგად მიხვდა და "დამარცხებულებს" მათი წარუმატებლობის მიზეზიც აუწყა. **"მოლაპარაკე თავები არა გვყავთ. ამიტომაც არის, რომ ერთ კაცს დაარბენინებთ ყველა ტელევიზიაში,"** - მართალია, ლევან ბერძენიშვილს თავად არ უთქვამს, მაგრამ ისედაც ცხადია, რომ ერთადერთ ღირსეულ მოწინააღმდეგეში იგი გიგა ბოკერიას გულისხმობდა.

უმრავლესობის "მოლაპარაკე თავი" გუშინდელ პლენარულ სხდომას რომ არ ესწრებოდა, სავარაუდოდ, ამიტომაც გაილაღა ასე ოპოზიციამ.

# ზურაბ ჟვანიასა და სანდრო გირგვლიანის გარდაცვალების "მატრიცა"

პირველი გვერდიდან

ერთი წლის შემდეგ კი შესაძლებელი გახდა არა მხოლოდ ვანო მერაბიშვილისთვის არასასურველი სიუჟეტის გაშვება ტელეკომპანია "იმედის" ეთერით, არამედ, მოიძებნა მოწმე, რომელმაც ტელეკამერის წინ უშიშრად ისაუბრა მომხდარის შესახებ; ოჯახმაც ღიად მიმართა საზოგადოებას დახმარებისთვის; არასამთავრობო ორგანიზაციების კოალიციამ მასშტაბური საპროტესტო აქცია მოაწყო; გაერთიანდა ოპოზიციური პოლიტიკური სპექტრი, რომელმაც ერთხმად მოითხოვა დამკვეთების დასჯა და შინაგან საქმეთა მინისტრის გადადგომა; მასმედიის ყველა საშუალებამ გააშუქა მკვლელობის ფაქტი და ამ ფაქტის შემდეგ განვითარებული მოვლენები; საზოგადოების თვალსაჩინო წარმომადგენლებმა სრული მხარდაჭერა გამოუცხადეს გარდაცვლილის ოჯახს და, ბოლოს, საზოგადოების რიგითი წევრებიც მთელი გულით და სულით შეუერთდნენ საპროტესტო ტალღას.

ერთი სიტყვით, ამ ორი ადამიანის - ზურაბ ჟვანიას და სანდრო გირგვლიანის - გარდაცვალებამ სრულიად მკაფიოდ აჩვენა, როგორ შეიცვალა ქართული საზოგადოება ერთი წლის განმავლობაში. აჩვენა, რომ შეუძლებელია, მედია გახდეს უფრო მეტად თავისუფალი და დამოუკიდებელი, ვიდრე საზოგადოების თითოეული წევრი არ იქნება მზად მეტი თავისუფლებისთვის. ერთმანეთისგან დამოუკიდებლად ვერც ოპოზიცია გაძლიერდება, ვერც არასამთავრობო სექტორი და ვერც პრესა თუ ტელევიზია. დღეს მიმდინარეობს პროცესი, როდესაც საზოგადოების ყველა ზემოთ ჩამოთვლილი სეგმენტი ძალას იკრებს და ერთმანეთს აძლიერებს. საფიქრებელია, რომ ამ პროცესს სერიოზული ბიძგი მისცა ბზარმა ერთიან სახელისუფლო გუნდში. პრემიერ-მინისტრის გარდაცვალების პერიოდში მთელი ძალაუფლება მონოპოლიზებული იყო ერთი ძლიერი გუნდის მიერ, რომელიც სრულად აკონტროლებდა ვითარებას. მაგრამ როდესაც სახელისუფლო გუნდი გაიბზარა, ინტერესთა კონფლიქტმა შესაძლებელი გახადა როგორც მედიის, ისე საზოგადოების სხვა სეგმენტების გააქტიურება.

რა იქნება შემდეგი ნაბიჯი?

პოლიტიკური ლოგიკის თანახმად, უახლოესი თვეების განმავლობაში დღის წესრიგში თავიდან უნდა დადგეს პრემიერ-მინისტრის გარდაცვალების საქმის ობიექტური გამოძიება. ეს ნიშნავს, რომ, პირველ რიგში, უფრო გაბედულად იმოქმედებს ზურაბ ჟვანიას ოჯახი; მას გვერდით დაუდგება ოპოზიციური სპექტრიც და არასამთავრობო სექტორიც; ამ მიმართულებით გააქტიურდება მედიაც და, მთლიანად, საზოგადოებაც. დღის სინათლე მოეფინება ბევრ ფაქტს, რაზეც, ჯერჯერობით, მხოლოდ კულუარებში საუბრობენ. მაგალითად, სულ მარტივად გაეცემა პასუხი შეკითხვას - სად არიან, ვის ფრთას ეფარებიან დღეს ის ადამიანები, რომლებსაც პრემიერ-მინისტრის დაცვა ევალებოდათ და რომლებმაც საკუთარი მოვალეობა "ორიანზე" შეასრულეს?

ასე რომ, ხელისუფლებას წინ რთული დღეები ელის. საერთოდ, დემოკრატიულ ქვეყნებში ხელისუფლება ყოველდღე თავიდან აბარებს გამოცდას საკუთარ ხალხს. საფიქრებელია, რომ მიხეილ სააკაშვილსაც მეცადინეობის დრო დაუდგა.

*მასალა გამოქვეყნებულია რადიო "თავისუფლების" ეთერით*

# რა მოხდა ორთაჭალის საპყრობილეში

პირველი გვერდიდან

N5 საპყრობილიდან გამოსული ადვოკატები აცხადებენ, რომ პატიმრები სასტიკად არიან ნაცემი. ადვოკატების ინფორმაციით, როგორც პატიმრები იხსენებენ, 27-ში, შუაღამისას, მათი საკნის კარები გაიღო და სპეცრაზმელებმა ავტომატიდან სროლა უმისამართოდ დაიწყეს. პატიმრების მონაყოლის მიხედვითვე, მე-5 საპყრობილეში პროტესტი მას შემდეგ დაიწყო, რაც ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში მისულმა ბაჩო ახალაიამ პატიმრებს სცემა. პატიმრებმა პროტესტის ნიშნად გისოსებზე ბრახუნი დაიწყეს, ზეწრებს ცეცხლი წაუკიდეს და ფანჯრებზე გადმოფინეს **"ამ ფორმით საზოგადოების ყურადღების მიქცევას და შველას ვითხოვდით. ნიღბიანი შეიარაღებული სპეცრაზმელები დაკეტილ საკნებს ალებდნენ და ავტომატური იარაღიდან უმისამართოდ ისროდნენ"**, - ასეთი გახლავთ ორთაჭალის ციხიდან გამოსული ამბების მოკლე შინაარსი. ბრალდებულთა მტკიცებით, ინციდენტის დროს არც ერთი პატიმარი ეზოში არ ყოფილა გასული. რაც შეეხება ნაჩვენებ ვიდეოკადრებს, სადაც აღბეჭდილია, რომ სამართალდამცველებმა საკნებიდან ცეცხლსასროლი იარაღი ამოიღეს, ბრალდებულთა თქმით, აღნიშნული იარაღი პატიმრებს არ ეკუთვნოდა, ის ერთი სამართალდამცველის ტაბელური იარაღი იყო, რომელიც ტელეკამერების წინ სპეციალურად დააგდეს.

პატიმრები, რომლებიც ორი დღის წინათ მომხდარს დეტალურად იხსენებენ, ვინაობის გამხელისგან თავს იკავებენ, რადგან სამართალდამცველთა მხრიდან ზეწოლას ერიდებიან.

ადვოკატები სასჯელაღსრულების N5 დაწესებულებაში 27 მარტს, გამთენიისას დაღუპული პატიმრების საქმის ობიექტურად გამოძიებას მოითხოვენ. **"დაუყოვნებლივ უნდა იქნეს გამოძიებული თითოეული ლიკვიდირებულის საქმე და დასაბუთდეს, რამდენად ადეკვატური იყო პატიმართა სიცოცხლის ხელყოფა"**, - აცხადებენ პატიმართა ინტერესების დამცველები.

არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიცია კი დამოუკიდებელი საგამოძიებო ორგანოს შექმნას მოითხოვს, რომელსაც საკანონმდებლო ორგანოსგან უფლებამოსილება მიენიჭება და რომელიც სანდრო გირგვლიანის მკვლელობასა და ციხეში განვითარებულ მოვლენებს გამოიკვლევს.

**"ხელისუფალთა აზრით, ქვეყნის აღმშენებლობის პათოსისთვის მხარდაჭერა იმას გულისხმობდა, რომ სანდრო გირგვლიანის მკვლელობას შეუმჩნევლად და უხმაუროდ ჩაევლო და პასუხისმგებლობა მკვლელობის შემკვეთებს არ დაკისრებოდათ. ხელისუფლების წარმომადგენელთა დამოკიდებულება არც ახლა შეცვლილა - საპყრობილეებში დატრიალებული სისხლიანი სპეცოპერაციის გამო ვინც კრიტიკას გამოთქვამს, კრიმინალების დამცველია. გამოდის, რომ ვინც არ ეთანხმება სისხლიან ოპერაციას და პატიმრების უფლებებს იცავს, კრიმინალური სამყაროს წარმომადგენელია"**, - აცხადებენ არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციის წევრები. არასამთავრობოები კრიმინალურ სამყაროსთან ბრძოლის აუცილებლობას აღიარებენ და დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობისთვის პრიორიტეტად ადამიანის უფლებების დაცვა მიაჩნიათ.

თუკი სამართალდამცველებისთვის ცნობილი იყო დაგეგმილი აჯანყების შესახებ, რატომ არ იქნა მიღებული პრევენციული ზომები? რატომ არ იქნა მიწოდებული ციხეების მონიტორინგის ჯგუფისა და საზოგადოებისათვის აღნიშნული ინფორმაცია 25 მარტს? როგორ მოხვდა პატიმართა ხელში იარაღი და შეიძლება თუ არა იგი მოხვედრილიყო ციხის თანამშრომლების ხელშეწყობის გარეშე? რატომ არ იქნა გამოყენებული სპეცდანიშნულების რაზმის მიერ ასეთ შემთხვევებში ყველა ცივილიზებულ ქვეყნებში ფართოდ გავრცელებული და აპრობირებული მეთოდები და სპეცსაშუალებები, როგორიც არის ცრემლსადენი გაზი, რეზინის ტყვიები, ელექტროშოკის სპეცაპარატები და სხვა? რატომ იქნა გამოყენებული ცეცხლსასროლი იარაღი, რომელიც სასჯელაღსრულების სისტემის დაწესებულებებში აკრძალულია?

ვინ არის აღნიშნული სისხლიანი აქციის ორგანიზატორი? არის თუ არა დამნაშავე სასჯელაღსრულების სიტემის ადმინისტრაცია, ვინაიდან არ იქნა მიღებული პრევენციული ზომები? არის თუ არა ეს ყველაფერი გამოწვეული არაპროფესიონალიზმითა და დაუდევრობით? - ეს ის შეკითხვებია, რომლებზე პასუხსაც პრეზიდენტის მონიტორინგის საბჭოს წევრები ითხოვენ.

წამების მსხვერპლთა რეაბილიტაციის ცენტრის "ემპათია"-ს პრეზიდენტმა მარიამ ჯიშკარიანმა, "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" თავმჯდომარემ ანა დოლიძემ, ორგანიზაცია "კონსტიტუციის 42-ე მუხლის" წარმომადგენელმა ქეთი ქამაშიძემ, "რესპუბლიკური პარტიის" წევრმა თინა ხიდაშელმა და ექსპერტმა პაატა ზაქარეიშვილმა სპეციალური მიმართვა შეადგინეს, რომლის ასლებიც საქართველოს პრეზიდენტს, პარლამენტის თავმჯდომარეს, პრემიერ-მინისტრს, გენერალურ პროკურორს და სახალხო დამცველს გადასცეს. ამ მიმართვის ადრესატები არიან ასევე, საერთაშორისო ორგანიზაციები და საელჩოებიც. მიმართვის ავტორები იმ მონიტორინგის საბჭოს წევრები არიან, რომელიც პრეზიდენტმა ზარ-ზეიმით შექმნა და მის წევრებს პრეზიდენტის რწმუნებულის სტატუსი და უფლებამოსილება მიანიჭა.

**"გადაყენებულ იქნეს სასჯელაღსრულების დაწესებულებების ადმინისტრაცია და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ხელმძღვანელობა!**

**აღიძრას სისხლის სამართლის საქმე და დადგეს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის საკითხი აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით.**

**შეიქმნას სპეციალური დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი კომისია არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობით აღნიშნული საქმის ძიებაზე მონიტორინგის განსახორციელებლად.**

**დაუყოვნებლივ ჩატარდეს დამოუკიდებელი ექსპერტების მონაწილეობით სასჯელაღსრულების ხელმძღვანელობის კომპლექსური ფსიქოლოგიურ-ფსიქიატრიული და ნარკოლოგიური ექსპერტიზა, ვინაიდან მათ მიერ განხორციელებული ქმედებები და ქცევის სტერეოტიპები წარმოქმნის სერიოზული ეჭვის საფუძველს, შეესაბამებიან თუ არა ეს პირები დაკავებულ თანამდებობებს, მათი ფსიქიკური მდგომარეობიდან გამომდინარე"**, - ასეთი გახლავთ მიმართვის ავტორთა მოთხოვნა.

# უცნობი თავისუფლება

გადაცემის სტუმარია პარლამენტარი ელენე თევდორაძე.

**ალექსანდრე ელისაშვილი:** თუ გაქვთ დაზუსტებული ინფორმაცია, რამდენი ადამიანი დაიღუპა ციხეში?

**ელენე თევდორაძე:** დაზუსტებული ინფორმაციით 7 დაღუპულია. სახალხო დამცველმა სოზარ სუბარმა მოიარა ყველა საავადმყოფოს მორგი, 5 დაღუპული ციხის საავადმყოფოს მორგშია, ორი სხვაგან. შეიძლება გარდაცვლილები სადმე გადამალეს, მაგრამ ამის დადგენა ჯერჯერობით შეუძლებელია. გუშინ მირეკავდნენ ციხიდან და არავის უთქვამს, რომ მსხვერპლი დიდია. 17 პატიმარია დაჭრილი.

მოვამზადე წერილი, რომელიც დღეს გავუგზავნე იუსტიციის მინისტრს, რადგან მაინტერესებს, რა მუხლით არიან ის პატიმრები ბრალდებულები, რომლებიც ჯერ კიდევ სასამართლოს გადაწყვეტილებას ელოდებოდნენ. პოლიტიკოსების მიერ მათი ბანდიტებად შეფასება არის პირდაპირი ზეწოლა სასამართლოზე.

**ა.ე.** პრეზიდენტმა ორთაჭალის ტერიტორიაზე მომხდარი ფაქტს პროფესიულად შესრულებული უწოდა, თქვენც ასე თვლით?

**ე.თ.** ოპერაციის დაწყების და დამთავრების თვითმხილველი ვარ. თავიდანვე მივმართე შს მინისტრს, რომ ჩემთვის და სახალხო დამცველისთვის მოეცა საშუალება, რათა შევსულიყავით ციხის შენობაში და პატიმრების დაშოშმინება გვეცადა. შევედით კიდეც, მაგრამ გაგვაფრთხილეს, რომ პატიმრები აღგზნებულები იყვნენ და ჩვენი მძევლად აყვანის საშიშროება არსებობდა. ხმის გამაძლიერებლით დაველაპარაკე მათ, ავუხსენი, რომ მათი პირადი თხოვნით მივედი, ვთხოვე, შესულიყვნენ შენობაში და ჩვენც შევყვებოდით. მაგრამ პატიმრებმა არ გვისმინეს. ამდენად, აუცილებელი იყო სპეცოპერაციის დაწყება. კანონში გვიწერია, თუ პატიმარი გარბის და არ არის ქალი ან არასრულწლოვანი, ზურგში ესვრიან. დამარწმუნეს, რომ მხოლოდ რეზინის ტყვიებს გამოიყენებდნენ. სამწუხაროდ, ოპერაცია ძალიან სწრაფად დაიწყო.

**ა.ე.** საჭირო იყო თუ არა ანტიტერორისტული ცენტრის მებრძოლების მიყვანა, სპეცდანიშნულების რაზმის ნაცვლად?

**ე.თ.** თუ ჩვენ ექიმებს დავუჯერებთ, დაჭრილები პრაქტიკულად არიან ჩვეულებრივი საბრძოლო ტყვიით. არა მხოლოდ ეზოში, არამედ რამდენიმე პატიმარი სახურავზეც იყო ასული.

**ა.ე.** აქ არის პასუხისმგებლობის მთელი წყობა. პატიმარს რის საშუალებასაც მისცემ, იმას გააკეთებს.

**ე.თ.** ზოგს სჯერა, რომ საკნის კარი კი არ გამოანგრიეს, გაუღეს. მაგრამ ფაქტია, რომ გამონგრეული იყო და ისიც ფაქტია, რომ პატიმრები მის გამონგრევას ერთ და ორ დღეში ვერ შეძლებდნენ. ციხის მეორე და მესამე სართულზე ყველა კარი ასეთ დღეში იყო. მაპატიეთ, მაგრამ რომ ხერხავდნენ ან ანგრევდნენ ნუთუ ვერავინ მიხვდა? ესაა ძირითადი საკითხი, რაზეც პასუხი უნდა გაეცეს. ამბობენ, რომ ახალაია შევიდა საკნებში და "შმონი" დაიწყო. პატიმრები უარყოფენ ამას. პატიმრებმა მომიყვნენ, რომ ციხის საავადმყოფოდან გაიგეს სროლები და ხმაური. სწორედ ეს იყო ბიძგი, რომელმაც ბუნტი გამოიწვია. აქედან გამომდინარე არის ვერსია, რომ ციხის საავადმყოფოში ხმაური სპეციალურად ატყდა.

**მსმენელი:** ქალბატონმა ელენემ თუ იცის, რომ ამბოხებამდე ორი საათით ადრე პატიმრები ადვოკატებს ურეკავდნენ და ეკითხებოდნენ, რა ხდება, ციხის კარი გაგვიღესო?! ეს იყო სპეციალურად მოწყობილი პროვოკაცია. ან, სიმონ კილაძე რომ დაიჭირეს, ბენდუქიძე გვყავს სახელმწიფო მინისტრად და ჯაშუშს ვეძებთ, რომელიც ინფორმაციას ფოსტით აგზავნის?

**ე.თ.** ვეთანხმები მსმენელს, პატიმარი ნამდვილად ვერ შეძლებდა კარის გამტვრევას. თუმცა, არც ერთ პატიმარს არ უთქვამს, რომ კარი გაგვიღესო.

**ა.ე.** იუსტიციის მინისტრმა აჩვენა ჩანაწერი, სადაც სამი ადამიანი თათბირობდა, თუ როგორ უნდა დაეწყოთ ბუნტი. ამ ჩანაწერმაც გააჩინა უამრავი შეკითხვა. რატომ ვერ მოხდა მათი იზოლირება?

**ე.თ.** ეს ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოშია ჩაწერილი. ერთ-ერთი მათგანი, ზედელაშვილი ჩემი და სუბარის შუამდგომლობით იყო გადაყვანილი ციხის საავადმყოფოში. იგი კანონიერი ქურდია, ეტლში ზის. მეორე, ვიბლიანი ეპილეფსიითაა დაავადებული. ისიც შავი სამყაროს წარმომადგენელიაო. ესენი და პლუს სამი სასტიკად ნაცემი პატიმარი მეშვიდე იზოლატორში გადაიყვანეს. როდის სცემეს, ჯერჯერობით უცნობია.

**ა.ე.** ვერანაირი ამბოხება ვერ მოხდება, თუ არ იქნება ინფორმაციის სწრაფი გაცვლა. რა გახდა სატელეფონო ზარების კონტროლი?

**ე.თ.** იმ შენობაში არანაირი ხმის ჩამხშობი აპარატის დაყენება არ შეიძლება. თქვენ არ იცით რა ხდება შიგნით ციხეში. ადრე ვამბობდი, 3 ათას 800 პატიმარმა ერთხელ რომ დააცემინოს, შენობიდან არაფერი დარჩება-მეთქი.

# ისრაელის ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები

## ქვეყანა პოლიტიკური ლანდშაფტის ცვლილების მოლოდინშია

გუშინ ისარელში ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები ჩატარდა, რომლის ინიციატორიც არიელ შარონი გახდა. არჩევნების ოფიციალური შედეგების გამოქვეყნებამდე სოციოლოგები გამარჯვებას ცენტრისტულ მოძრაობა "კადიმას" უწინასწარმეტყველებენ. ამჟამად "კადიმას" ეჰუდ ოლმერტი ლიდერობს, რომელიც პრემიერ-მინისტრის მოვალეობას ასრულებს არიელ შარონის გამოჯანმრთელებამდე.

ისრაელის პრეზიდენტის მოშე კაცავის თქმით, ეს არჩევნები სახელმწიფოს ისტორიაში ყველაზე მნიშვნელოვანია.

ძნელია არ დაეთანხმო კაცავის თუ გავითვალისწინებთ, რომ ისრაელის სახელმწიფოს შექმნის მთელი ისტორიის მანძილზე ქვეყანას ან შრომის პარტია მართავდა, ან - "ლიკუდი". ამჯერად კი გამარჯვების რეალური შანსი "კადიმას" აქვს, რაც ისტორიული გარდატეხის ტოლფასია.

არჩევნების დღეს ქვეყანაში განსაკუთრებით იყო გამკაცრებული უსაფრთხოების ზომები. მთელი დღის მანძილზე, საარჩევნო უბნების დახურვამდე პალესტინელებს არ უშვებდნენ ისრაელში ბოევიკთა მხრიდან რაიმე პროვოკაციის გამორიცხვის მიზნით. საარჩევნო უბნებს 20 000-ზე მეტი პოლიციელი და მოხალისე იცავდა.

საზოგადოებრივი გამოკითხვის შედეგებით, რომელიც არჩევნებამდე ერთი კვირით ადრე ჩატარდა, "კადიმას" 34 მანდატის მიღება შეუძლია 120 ადგილიან ქნესეთში. შრომის პარტიამ, შესაძლოა დაიკავოს 19 ადგილი პარლამენტში, ხოლო "ლიკუდი" 13 ან 14 მანდატს დასჯერდეს.

სულ არჩევნებში 31 პოლიტიკური გაერთიანება მონაწილეობდა. ექსპერტთა აზრით, გამარჯვების შემთხვევაში "კადიმას" ყველაზე სავარაუდო პარტნიორი კოალიციაში შრომის პარტია იქნება. თუმცა, ეს მხოლოდ ვარაუდია, რადგან ამომრჩეველთა დიდი ნაწილი არჩევანს რომელიმე პარტიაზე, სწორედ, არჩევნების დღეს აჩერებს და წინასწარ უჭირს ამა თუ იმ პოლიტიკური მოძრაობისა თუ ლიდერის დასახელება, ვისაც მხარს დაუჭერდა.



ანალიტიკოსები მიიჩნევენ, რომ იმ შემთხვევაში კი თუ წინასწარი გამოკითხვის შედეგები დაახლოებით მაინც დაემთხვევა არჩევნების რეალურ შედეგებს, ოლმერტს სტაბილური კოალიციის შექმნა გაუჭირდება, რადგან ეს პირდაპირ კავშირში იქნება ისრაელის სახელმწიფოს მუდმივი საზღვრების დემარკაციის საკითხთან. სწორედ, საზღვრის დადგენის საკითხის გამო, ეუდ ოლმერტი საპარლამენტო არჩევნებს რეფერენდუმს უწოდებდა, სადაც ამომრჩეველს ან უნდა დაეჭირათ მისი გეგმისთვის მხარი ან პირიქით.

*ბი-ბი-სი*

# მოსალოდნელი ცვლილებები, რომლებიც ევროკონვენციას არღვევს

*სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შესატანად მორიგი ცვლილებების პაკეტი მომზადდა და დღეს საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტში სწორედ ამ ცვლილებების შესახებ კანონპროექტის განხილვა იგეგმება. უკვე წინასწარ შეიძლება ითქვას, რომ კომიტეტში კანონპროექტს დიდი წინააღმდეგობა არ შეხვდება იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ის თავად ამ კომიტეტის შიგნით მომზადდა. სამაგიეროდ, საპროცესო კოდექსში შესატანი ცვლილებების მიმართ სერიოზული პრეტენზიები აქვთ პრაქტიკოს იურისტებს - იმ ადვოკატებს, რომლებსაც ყოველდღიურად უხდებათ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსთან შეხება.. საკუთარი პრეტენზიები წარადგინა ასევე საადვოკატო ბიურომ "ეკა და კომპანიამ", ცვლილებებთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრებები იურიდიულ კომიტეტს უკვე წარუდგინეს, მათ შენიშვნებს ეთანხმებიან არაერთი კერძო საადვოკატო ფირმის, არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები და საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია. ადვოკატ **ეკა ბესელიას** აზრით, პარლამენტართა მიერ შემოთავაზებული ცვლილებების პაკეტი მნიშვნელოვნად ზღუდავს დაცვის გარანტირებული უფლების განხორციელების შესაძლებლობას.*

სოფიკო ჩხაიძე

- ცვლილებების პაკეტი, რომელიც პარლამენტის იურიდიულ კომიტეტში მომზადდა, ეხება არა მარტო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსს, არამედ სისხლის სამართლის მატერიალურ კოდექსს და ადვოკატთა შესახებ კანონსაც. მთლიანობაში ცვლილებების ეს პაკეტი ადვოკატებისა და ადამიანის უფლებათა დამცველთათვის მიუღებელია და მიუღებლად მიგვაჩნია მათი ამ სახით მიღება, - განაცხადა ჩვენთან საუბრისას ეკა ბესელიამ, - მეტსაც გეტყვით, ამ ცვლილებებთან დაკავშირებით იმდენი პრეტენზია და შენიშვნა დაგროვდა, რომ მათ გასწორებას, ჯობია, ისევ ახალი ცვლილებები მომზადდეს - პრაქტიკულად, ყველა მუხლთან დაკავშირებით არსებობს დასაბუთებული პრეტენზია.

მაგალითად, მატერიალურ კოდექსთან დაკავშირებით მე ის ტენდენცია მაშფოთებს, რომელიც ამ ცვლილებებშია გატარებული. პრინციპში კონკრეტულ ნორმებშია გამოხატული პრეზიდენტის ცნობილი ინიციატივა ნულოვანი ტოლერანტობის შესახებ და ყველაფერს გამკაცრებისა და რეპრესიული ცვლილებების გაძლიერებისკენ მივყავართ. მაგალითად, ის, რომ ამ ცვლილებების თანახმად, პირის მიმართ პირობითი სასჯელის გამოყენების დროს აუცილებელია პროკურორის თანხმობა. ეს ნიშნავს, რომ სასამართლოს ერთმევა მისი მთავარი ფუნქცია - განახორციელოს მართლმსაჯულება დამოუკიდებლად და გარეშე ძალთა ჩარევის გარეშე. თუ მოსამართლე მსუბუქი ან პირობითი სასჯელის შეფარდების თაობაზე გადაწყვეტილებას პროკურორის თანხმობით იღებს, ეს ნიშნავს, რომ მართლმსაჯულებას მოსამართლესთან ერთად პროკურორი ახორციელებს, რაც აბსოლუტურად დაუშვებელია.

**- რაც შეეხება უშუალოდ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შესატან ცვლილებებს, კონკრეტულად რა პრეტენზია გაქვთ მათ მიმართ?**

- მე ამ ცვლილებებს რამდენიმე ჯგუფად დავყოფ - ერთია, დაცვის უფლების შეზღუდვა და დამცველის პროცესში მონაწილეობის საკითხები, მეორე - პროცედურულ საკითხები, რაც ასევე დაცვის უფლებას ზღუდავს და მესამე კატეგორია ცვლილებებისა, რომელიც ეხება სასამართლო განხილვის დროს, სააპელაციო ინსტანციაში ინკვიზიციური ელემენტების შემოტანას.

**- უფრო დეტალურად, რომელ მუხლებში შესატანი ცვლილებები ქმნიან ამ საშიშროებას?**

- მაგალითად, როცა ვლაპარაკობთ დაცვის ფუნქციის შეზღუდვაზე, მნიშვნელოვანია, რომ შემუშავებული ცვლილებების მიხედვით, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 44-ე მუხლს ემატება 57-ე ნაწილი, რომელშიც განმარტებულია, რა არის პროცესის მონაწილე მხარის საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობა. ჩამონათვალშია ახლო ნათესავის გარდაცვალება, სხვა ობიექტური გარემოებები და ავადმყოფობა. ავადმყოფობის შემთხვევაში ეს ფაქტი უნდა დაადასტუროს სამედიცინო დაწესებულების სპეციალისტმა და ხელმოწერით დაამოწმოს ხელმძღვანელმა პირმა. რაც მთავარია, ეს დოკუმენტაცია სასამართლოს უნდა წარედგინოს პროცესის დაწყებამდე 24 საათით ადრე. ეს კი ნიშნავს, რომ, თუ ავად გახდი პროცესის დაწყებიდან 18-20 საათით ადრე, ყველა საბუთის წარდგენის მიუხედავად, სასამართლოზე გამოუცხადებლობა საპატიოდ არ ჩაითვლება. გარდა ამისა, ყურადღება მისაქცევია იმ ფაქტზე, რომ ცვლილებებში მითითებული პროცესის მონაწილე მხარეები, ანუ დაცვის მხარეც და ბრალდებისაც. მაგრამ ეს კონკრეტული ცვლილება რეალურად მხოლოდ დაცვის მხარეს ეხება, რადგან პროკურორის გამოუცხადებლობა, წარმოადგენს ის ცნობას თუ არა, ნებისმიერ შემთხვევაში იწვევს პროცესის გადადებას.

**- ეს იმიტომ, რომ გამოუცხადებლობის შემთხვევაში პროკურორის შეცვლის პროცედურა არ არსებობს?**

- რა თქმა უნდა, საქართველოს კანონმდებლობა ამას არ ითვალისწინებს. მაშინ საკანონმდებლო ორგანომ უნდა მიიღოს ისეთი ცვლილებებიც, რომლის თანახმადაც, არასაპატიო მიზეზით პროკურორის გამოუცხადებლობა პროცესზე მის ჩანაცვლებას გამოიწვევს. ეს ისეთივე დასაშვებია, როგორც ადვოკატის ჩანაცვლება. თუ უშვებენ იმას, რომ ადვოკატის ერთხელ არგამოცხადების შემთხვევაში, მით უმეტეს, რომ არ წერია, საპატიო იქნება ეს თუ არასაპატიო, ის ახალმოწვეული ადვოკატით შეცვალონ, რომელმაც საქმის გაუცნობლად, სრულფასოვანი დაცვა უნდა განახორციელოს, რატომ არ არის დასაშვები, რომ ათჯერ რომ პროკურორი პროცესზე არ გამოცხადდება, მისი პროკურორით ჩანაცვლება მოხდეს.

თუ ეს ცვლილებები იმიტომ გაკეთდა და მე ვიცი, რომ მიზეზი სწორედ ეს იყო - დაინერგოს სწრაფი მართლმსაჯულება და სასამართლო პროცესები არ გაჭიანურდეს - ის ცვლილება, რომლის შესახებაც ვისაუბრეთ, ამის გაჭიანურების პრევენციას ნამდვილად ვერ მოახდენს, რადგან შემცვლელი ადვოკატი საქმის გასაცნობად დროს მოითხოვს. სხვა საქმეა, თუ ცვლილებების მიზანი ის არის, რომ პროკურორმა პროცესზე გამოიძახოს ადვოკატი, რომელსაც საქმე არც აინტერესებს და მისი - ბრალმდებლის ინტერესებში იმოქმედებს. ეს ფორმალური დაცვა იქნება და არა სრულფასოვანი.

**- დაახლოებით იგივე პრობლემა დგება 84-ე მუხლის მე-5 ნაწილში შესატან ცვლილებებში. აქაც საუბარია გამოუცხადებლობის შემთხვევაში ადვოკატის ჩანაცვლებაზე.**

- ეს კიდევ უფრო შემაშფოთებელი რამ გახლავთ. აქ საუბარია იმის შესახებ, რომ თუ ადვოკატი ვერ ცხადდება დათქმულ საგამოძიებო ან საპროცესო მოქმედებაში მონაწილეობის მისაღებად, გამომძიებელს ან პროკურორს უფლება ენიჭება მის გამოცხადებამდე მიიწვიოს დამცველი დანიშვნით. ჯერ ერთი, აქ აუცილებლად უნდა ეწეროს, რომ ლაპარაკია არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობაზე. ამავე დროს, არსად არ გვხვდება და ამოღებულია ის ნორმა, რომლის თანახმადაც პროცესის მწარმოებელ ორგანოს ჰქონდა ვალდებულება, მხარისთვის შეეტყობინებინა, როდის და სად ტარდება საგამოძიებო თუ საპროცესო მოქმედება. ეს კი ნიშნავს, რომ ჩვენ თვითონ უნდა მივხვდეთ, ვის რა აქვს ჩაფიქრებული და ვინ რას აპირებს, წინააღმდეგ შემთხვევაში კი, თუ ინტუიციამ გვიღალატა, დანიშნული ადვოკატით ჩაგვანაცვლებენ. თავად განსაჯეთ, რაზე ფიქრობდა ის, ვინც ამას წერდა?!

**- ამავე 84-ე მუხლში, როგორც ცნობილია, კიდევ რამდენიმე ცვლილების შეტანაა დაგეგმილი.**

- დიახ და თითქმის ყველა ამ ცვლილების მიმართ საფუძვლიანი პრეტენზია გვაქვს მეც და ჩემს კოლეგებსაც. მაგალითად, როცა საუბარია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 84-ე მუხლის მე-3 ნაწილის "მ" ქვეპუნქტში შესატან ცვლილებაზე, რომელიც, ფაქტობრივად, ერთ სიტყვას შეადგენს, მაგრამ ამ ერთ სიტყვას არსებითი მნიშვნელობა აქვს, რადგან მითითებას აკეთებს კონკრეტულ - 242-ე მუხლზე. ეს ის ცნობილი ნორმაა, რომელიც არაერთხელ გასაჩივრდა საკონსტიტუციო სასამართლოში. საბოლოოდ, საკონსტიტუციო სასამართლომ ანტიკონსტიტუციურად სცნო ის ნორმები, რომელთა თანახმადაც გამოძიების პროცესში მიღებული არსებითი ხასიათის გადაწყვეტილებები ვერ საჩივრდებოდა. თუმცა, საბოლოო ჯამში ეს მუხლი ისე გაიცხრილა, რომ დარჩა მხოლოდ ორი შემთხვევა, რომელთა გასაჩივრებაც სასამართლოში შეიძლება. ესენია, საქმის შეწყვეტა და ექსპერტიზის დანიშვნაზე უარის თქმა. ანუ, საკანონმდებლო ნორმებში გაკეთებულ ჩანაწერს, რომ გამოძიების პროცესში სხვადასხვა უფლებების დარღვევის შემთხვევაში მოქალაქეს შეუძლია სასამართლოს მიმართოს, 242-ე მუხლი ფორმალობად აქცევს, მათ შორის ფორმალობად აქცევს დაცვის უფლების შელახვის შემთხვევაში სასამართლოსთვის მიმართვის, ერთი შეხედვით, კანონით გარანტირებულ შესაძლებლობას. ასევე, უნდა გითხრათ, რომ ეს ერთსიტყვიანი ცვლილება პირდაპირ კავშირშია ადვოკატის ჩანაცვლებასთან დაკავშირებულ ცვლილებასთან. ვთქვათ, ადვოკატის გამოუცხადებლობის შემთხვევაში დაინიშნა ახალი ადვოკატი, მაგრამ ძველი ადვოკატი გამოცხადდა, მაგრამ მას არ აძლევენ დაცვის განხორციელების საშუალებას. აქამდე ამის გასაჩივრება შესაძლებელი იყო, თუმცა, თუ ზემოთ ნახსენები ცვლილება მიიღეს, ასეთი შემთხვევა ველარ გასაჩივრდება. არის კიდევ არაერთი მოქმედება, რომელთა სასამართლოში გასაჩივრების შესაძლებლობას ეს ცვლილება სპობს, რაც ისევ და ისევ სრულფასოვანი დაცვის განხორციელებისთვის ქმნის უზარმაზარ პრობლემებს და, რაც მთავარია, სპობს გამოძიების ეტაპზე სასამართლო კონტროლს.

იმავე 84-ე მუხლის თანახმად, დაცვას აქვს უფლება თავისი პრეტენზიები გამოხატოს არა მარტო ბრალდების, არამედ სასამართლოს უკანონო მოქმედებების გამოც. შემოთავაზებულ ცვლილებებში კი "სასამართლო" ამოღებულია, რაც აბსოლუტურად გაუგებარია. თუ სასამართლო პროცესის მიმდინარეობის დროს მოსამართლე აკეთებს ისეთ რამეს, რასაც კანონმდებლობა არ ითვალისწინებს, რატომ არ უნდა ჰქონდეს პროცესის მონაწილე მხარეს უფლება, ეს უკანონობა სასამართლო ოქმში დააფიქსირებინოს და ამაზე დაყრდნობით იდავოს შემდეგ ზემდგომ ინსტანციაში.

**- როგორც ცნობილია, ეს ცვლილებები მნიშვნელოვან ზომებს ითვალისწინებს, ეგრეთ წოდებული ზეპირი მართლმსაჯულების განხორციელების დასანერგად.**

- ეს ძალიან მნიშვნელოვანი გახლავთ. ამ ცვლილებებით პრაქტიკულად ზეპირი, დაუსწრებელი მართლმსაჯულების შემოღება ხდება. ეს ნიშნავს მართლმსაჯულების განხორციელებას მხარეთა მონაწილეობის გარეშე. მაგრამ, ამან უკვე მასშტაბური სახე მიიღო. მაგალითად, როდესაც პირს აღმკვეთ ღონისძიებად გირაოს გადახდა აქვს შეფარდებული და პროკურორი მისთვის დაპატიმრების შეფარდებას ითხოვს, ეს მოსამართლეს შეუძლია განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე, ანუ გადაწყვეტილების მიღებისას მხარეები არ მიიწვიოს. იგივე შეიძლება მოხდეს ჩხრეკისა და ამოღების პროცედურების გასაჩივრებისას. ჩვენ კი ვამბობთ, რომ ეს დაუშვებელია და ეწინააღმდეგება როგორც საქართველოს კონსტიტუციას, სადაც ნათქვამია, რომ პირს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს მისი საქმის განხილვაში, ასევე, ეწინააღმდეგება ევროკონვენციის მე-6 მუხლს, რომლითაც გარანტირებულია სამართლიანი სასამართლოს უფლება. ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვა დასაშვებია მხოლოდ მაშინ, თუ ორივე მხარეა ამაზე თანახმა.

**- ევროკონვენციის მუხლებს სხვა შემოთავაზებული ცვლილებებიც არღვევს...**

- ასეა. ევროკონვენციის მე-5 და მე-6 მუხლების დარღვევაა, ასე ვთქვათ, ორდღიანი მართლმსაჯულების შემოღება, რასაც ეს ცვლილებები ითვალისწინებს. საუბარია 153 მუხლის დამატებაზე, რომლითაც შესაძლებელი ხდება 48 საათში საბრალდებო დასკვნის შედგენა და 72 საათში სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანა. დამერწმუნებით, ეს არ გახლავთ სწრაფი მართლმსაჯულება, ეს ელვისებურ მართლმსაჯულებას უფრო ჰგავს. მსგავსი ცვლილების შეტანა დასაშვებია, ოღონდ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კონკრეტულად იქნება მითითებული ის შემთხვევები, რომელთა დროსაც ასეთი სისწრაფის მართლმსაჯულება გამოიყენება. არავითარ შემთხვევაში, მით უმეტეს, ჩვენი რეალობის გათვალისწინებით, არ შეიძლება მოსამართლეს მიეცეს უფლება ნებისმიერ საქმესთან მიმართებაში გამოიყენოს ეს ნორმა. როდის უნდა განხორციელდეს აქ დაცვის უფლება, სად უნდა განხორციელდეს შეჯიბრებითობის პრინციპი. ამგვარი რამ ეწინააღმდეგება სისხლის სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ ყველა პრინციპს და ევროპის კონვენციის მე-5 და მე-6 მუხლებს. ამავე მუხლებს ეწინააღმდეგება საპროცესო კოდექსის 168-ე მუხლის მე-5 ნაწილში შესატანი ცვლილება, რომლითაც აღკვეთის ღონისძიების დამძიმება შესაძლებელია, როგორც კი ბრალდებული ვერ გადაიხდის გირაოს და ასეთ შემთხვევაში პროკურორი თავისუფლდება ვალდებულებისგან, ეს დამძიმება დაასაბუთოს 151-ე მუხლით განსაზღვრული პირობები, ანუ არ არის ვალდებული, დაასაბუთოს, რატომ არის აუცილებელი სხვა აღმკვეთი ღონისძიების გამოყენება. ეს კი ადამიანის უფლებების მნიშვნელოვანი დარღვევის საფუძველია.

გირაოს თანხის გადაუხდელობა აპრიორი არ უნდა იწვევდეს პირის დაპატიმრებას. მით უმეტეს, რომ, როდესაც პროკურორი დაპატიმრებას ითხოვს, მან უნდა მყარად დაასაბუთოს უფრო მკაცრი აღმკვეთი ღონისძიების გამოყენების აუცილებლობა. დასაბუთების აუცილებლობისგან გათავისუფლება კი ევროკონვენციას ეწინააღმდეგება.

**- ცვლილებები, რომლებიც იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა მოამზადა, გარკვეული პროცედურების რეგლამენტირებასაც გულისხმობს...**

- ამას ემატება ისიც, რომ შუამდგომლობები აუცილებლად წერილობით უნდა იქნას წარდგენილი. ეს მიუღებელია, ისევე როგორც მიუღებელია დროის ლიმიტები. 5 წუთი შუამდგომლობისთვის, 5 წუთი - პასუხისთვის. ეს აბსოლუტურად ფორმალურს ხდის სასამართლო პროცესს და სკოლის გაკვეთილს ემსგავსება, აუცილებლად 45 წუთში რომ უნდა ჩაეტიოს. ეს დაუშვებელია. ყველა პროცესი არაორდინარულია, ყველას განსაკუთრებული მიდგომა სჭირდება და, როგორი წარმოსადგენია, რომ ნებისმიერ პროცესზე დაცვითი სიტყვის წარმოთქმისას ნახევარ საათში უნდა ჩაეტიო. ეს არის დაცვის სრული იგნორირება. გინდ ყოფილხარ, გინდ არა - ამ ცვლილებების პაკეტს სწორედ ასე დავარქმევდი.

**- ცვლილებების შეტანაა დაგეგმილი თავის დროზე წინგადადგმულ ნაბიჯად აღიარებულ 481-ე მუხლშიც, რომელიც მოწმის ჩვენების გამოქვეყნების საფუძვლებს არეგულირებს.**

- ეს მუხლი თავის დროზე მართლაც მისასალმებელი იყო, რადგან კრძალავდა პროცესზე მოწმის ჩვენების გამოქვეყნებას, თუ მოწმის წარმოდგენა შეუძლებელი იყო. მაგრამ დროთა განმავლობაში ისე დაიჩეხა, იმდენი სხვადასხვა გამონაკლისი დაიშვა, რომ ძირითადი აზრი - მტკიცებულებების უშუალოდ გამოქვეყნებისა - დაიკარგა. ეხლა კი მივიღებთ იმას, რომ ნებისმიერ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი მტკიცებულებების გამოქვეყნება მოწმის წარმოდგენის გარეშე. შემოთავაზებული ცვლილებების მიხედვით, ასეთი შემთხვევებია: როცა მოწმის ადგილსამყოფელი უცნობია, როდესაც მოწმე საქართველოში არ იმყოფება, როდესაც ვერ ახერხებს პროცესზე გამოცხადებას ავადმყოფობის გამო. ეს ყველაფერი კი იმას ნიშნავს, რომ, თუ მხარეს არ სურს მოწმის გამოცხადება პროცესზე, ყოველთვის შეუძლია მიზეზი იპოვოს და მოწმის წარმოდგენის გარეშე გამოაქვეყნოს მისი ჩვენება. ჩვენი აზრით კი, მოწმის დაუსწრებლად ჩვენების გამოქვეყნება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი ჩვენება მიცემულია ორივე მხარის მონაწილეობით. წინააღმდეგ შემთხვევაში, მტკიცებულების, ამ შემთხვევაში მოწმის ჩვენების გამოქვეყნება დაუშვებელია. ასეთი მტკიცებულების გამოქვეყნებას ყოველთვის სჭირდება მეორე მხარის თანხმობა.

**- როგორც ვიცი, ყოველივე ზემოთ თქმული არ არის იმ შენიშვნების სრული ნუსხა, რომელიც თქვენ შემოთავაზებული ცვლილებების მიმართ გაგაჩნიათ.**

- შეუძლებელია პრეტენზია არ გაგიჩნდეთ 446-ე მუხლის მე-5 და მე-6 ნაწილებში გათვალისწინებული ცვლილებების პროექტის მიმართ, რომელთა თანახმადაც, პროკურორი ბრალდების შეცვლაზე ან მოხსნაზე უნდა შეუთანხმდეს ზემდგომ პროკურორს. პრაქტიკაში ეს ასეც გახლავთ და პროცესზე მონაწილე პროკურორი დამოუკიდებლად ვერანაირ გადაწყვეტილებას ვერ იღებს, მაგრამ ამ მახინჯი პრაქტიკის რეგლამენტაცია კი არა, პირიქით - შეცვლაა საჭირო. ამგვარი პროცედურით ხომ ეჭვქვეშ დგება პროცესზე მონაწილე პროკურორის მიუკერძოებლობა და კომპეტენტურობა.

გარდა ამისა, დაუშვებლად მიგვაჩნია 531-ე მუხლის მე-5 და მე-6 ნაწილების ამოღება, რადგან ეს სააპელაციო სასამართლოს ეტაპს გახდის სრულიად ფორმალურს და ინკვიზიციურს. უფრო კონკრეტულად, ამ ცვლილებებით ხდება სააპელაციო სასამართლოს ფორმალობად ქცევა. დღეს სააპელაციო სასამართლოს იგივე ფუნქცია აქვს, რაც პირველი ინსტანციის სასამართლოს - აქ ხდება საქმის არსებითი განხილვა - სასამართლო გამოძიება და მტკიცებულებების სრულყოფილად განხილვა მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპის დაცვით. ამ ცვლილებებით კი მხარეებს ეს უფლება ერთმევათ. სასამართლო თავად ირჩევს, რა მტკიცებულებები გამოაქვეყნოს და რა არა. ამით სააპელაციო ეტაპზე ჩართულ ადვოკატს წინამორბედის შესაძლო შეცდომების გამოსწორების საშუალება ესპობა და სააპელაციო განხილვა აზრს კარგავს. ამასთანავე, სააპელაციო სასამართლოს უფლება ენიჭება იმსჯელოს, მიიღოს თუ არა განსახილველად საჩივარი და უფლება ენიჭება, საერთოდ უარი თქვას ამათუიმ საქმის სააპელაციო განხილვაზე, რაც ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლის პრინციპებს. დაბოლოს, 533-ე მუხლში შესატანი ცვლილების პროექტი მსჯავრდებულსა და მის დამცველს ართმევს უფლებას, მიმართოს სასამართლოს სასჯელის გადავადების, ვადამდე გათავისუფლებისა და სხვა მსგავსი თხოვნით. ამის უფლება კი ერთპიროვნულად ენიჭება სასჯელაღსრულების დაწესებულების ხელმძღვანელს. უკვე მისი გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება კი გვრჩება. მთლიანობაში კი ეს ყველაფერი, ჯერ ერთი, რომ კონსტიტუციით მონიჭებული უფლებების პირდაპირი ხელყოფაა, მეორეც, რატომ არ შეიძლება, მსჯავრდებულმა ან მისმა დამცველმა პირდაპირი წესით მიმართოს სასამართლოს, ყოვლად გაურკვეველია.

**- ზემოთაც ითქვა, რომ საპროცესო კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანის ოფიციალურად გაცხადებული მიზანი სწრაფი მართლმსაჯულების დანერგვაა. მაშინ, რას უნდა მიეწეროს ამდენი წუნი?**

- საქმე ის გახლავთ, რომ საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანა, როგორც წესი, პროკურორებსა და მოსამართლეების სურვილებზე მორგებით ხდება და ადამიანის უფლებების დაცვის გარანტირებას არავინ დაგიდევთ. პრობლემაც სწორედ ეს გახლავთ.

# "ხელოვნურად შეკერილი საქმე" ევროსასამართლოს პერსპექტივით

*ნარკოტიკების რეალიზაციის ბრალდებით დაკავებული დავით ჯაში, რომელიც, სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, ამჟამად ფოთის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში უნდა იმყოფებოდეს, დღეს ზუგდიდის სასამართლოს წინაშე წარდგება. განსასჯელის ადვოკატების განცხადებით, მნიშვნელოვანი დარღვევებით შეკერილი საქმე ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოსთვის მიმართვის სრულ საფუძველს იძლევა, შესაბამისად, უკვე გამზადებული სარჩელი უახლოეს დღეებში სტრასბურგში გაიგზავნება.*

ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში, განსასჯელის სკამზე მჯდომი დავით ჯაშის ბრალდების საქმეში სამართლებრივი დარღვევების არსებობას ამ ცოტა ხნის წინ სახალხო დამცველმაც მიაქცია ყურადღება, თუმცა მისი რეკომენდაციის უგულებელყოფა ამ ისტორიაში არსებულ კიდევ ერთ დარღვევად იქცა. ამ სამართლებრივი ნონსენსის მოკლე პრეისტორია "24 საათმა" ამ ცოტა ხნის წინ უკვე გააცნო მკითხველს: ნარკოტიკების უკანონო შენახვა-რეალიზების ბრალდებით დაკავებული დავით ჯაშის საქმესთან დაკავშირებით 20 იანვარს ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მოსამართლე სარიამ იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N5 საპყრობილის და შპს "ფოთის ფსიქიატრიული საავადმყოფოს" დირექტორებს დაუგზავნა სასამართლოს გამწესრიგებელი სხდომის დადგენილება, რომელშიც ერთმნიშვნელოვნად იყო მითითებული, რომ დავით ჯაში სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის ჩატარებისა და სტაციონარული გამოკვლევის მიზნით ერთი თვით უნდა მოთავსდეს შპს "ფოთის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში" და რომ მისი ბრალდების საქმის განხილვა სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნის მიღების შემდეგ უნდა დაინიშნოს. მოსამართლის ამ გადაწყვეტილებას საფუძვლად ედო ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის ს/კ ინსტიტუტის ექიმ-ფსიქიატრების დასკვნა.

მოსამართლის გადაწყვეტილების აღსრულების გაჭიანურების გამო ბრალდებულის ადვოკატმა სახალხო დამცველს სოზარ სუბარს მიმართა და დახმარება სთხოვა. ვითარებაში გარკვევისთანავე ომბუდსმენმა სასამართლოს დადგენილების სასწრაფოდ აღსრულება მოითხოვა და საქმეც თითქოს დაიძრა. მაგრამ ბრალდებული ფოთის მკაცრი მეთვალყურეობის ფსიქიატრიულ საავადმყოფოს ნაცვლად, ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მოსამართლეს ნოდარ ცალანს მიჰგვარეს და საქმის არსებითი განხილვაც დაიწყეს. მოსამართლე ცალანი მიიჩნევს, რომ საქმის განხილვის დაწყებას წინ არაფერი უდგას, რადგან, მისი განცხადებით, ექიმ-ფსიქიატრთა დასკვნაში ის კი არ წერია, რომ დავით ჯაში ფსიქიკურად დაავადებულია, არამედ ის, რომ იგი ფსიქიატრიულ კლინიკაში სტაციონარულ გამოკვლევას საჭიროებს.

თუმცა, როგორც შევიტყვეთ, ზემოთ მოყვანილი გარემოება ერთადერთი არსებითი დარღვევა არ გახლავთ დავით ჯაშის საქმეში.

მისი ადვოკატის, ეკა ბესელიას ნაამბობის თანახმად, ყველაფერი დაიწყო იმით, რომ სოდ-ის მავანმა თანამშრომელმა დაწერა პატაკი, რომლის თანახმადაც მან ვინმე თემურისგან შეიძინა ნივთიერება, რომელიც აღმოჩნდა ნარკოტიკი. ამავე თემურისგან მიიღო ინფორმაცია ჯაშისა და ვინმე გვათუას შესახებ, რომლებიც ეწევიან ნარკოტიკების მოხმარება-რეალიზაციას.

**"ეს გახლავთ იმ პატაკის შინაარსი, რომლის გამოც წინასწარი გამოძიება დაიწყო და შეიკერა საქმე, - ამბობს ეკა ბესელია, - მაგრამ, როდესაც საქმეს გავეცანით, უამრავი დარღვევა აღმოვაჩინეთ. ჯერ ერთი, არ დაკითხულა ამ პატაკის ავტორი, არ არის დადგენილი იმ თემურის ვინაობა, რომლისგანაც, პატაკის მიხედვით, ნარკოტიკი იქნა შეძენილი, ბუნებაში არ არსებობს ის ნარკოტიკი, რომელიც შეძენილი იქნა - არადა ის საქმეზე უნდა იყოს დალუქული სახით დართული, აღაფერს ვამბობს იმაზე, რომ არ არსებობს ექსპერტიზის დასკვნა, რომელმაც დაადგინა, რომ შეძენილი ნივთიერება ნამდვილად ნარკოტიკია. ყოველივე ეს სერიოზულ ეჭვს ბადებს, ხომ არ არის ეს პატაკი წინასწარგანზრახვით იმ მიზნით დაწერილი, რომ გვათუასა და ჯაშის დაკავების საფუძველი ხელოვნურად შექმნილიყო და ეს ეჭვი საკმაოდ მაღალი ხარისხისაა".**

ადვოკატს აეჭვებს ის ფაქტიც, რომ პატაკის დაწერიდან ოთხი დღის შემდეგ იწერება დადგენილება, რომლის მიხედვითაც გადაუდებელი ჩხრეკა უნდა ჩატარდეს ზუგდიდის რაიონის სოფელ ცაიშში მდებარე ჯაშის სახლში.

**"ინფორმაციის მიღებიდან ოთხი დღის შემდეგ "გადაუდებელი" ჩხრეკის ჩატარება არარეალურად ჟღერს. ჩხრეკა აუცილებლად მოსამართლის ბრძანების საფუძველზე უნდა ჩატარებულიყო, მაგრამ, რადგან ასეთი ბრძანება არ ყოფილა, ჩხრეკა უკანონოა"**, - ამბობს ეკა ბესელია.

გარდა ამისა, საქმეს კვალიფიკაცია ჯერ კიდევ ჩხრეკის ჩატარებამდე მიეცა და სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის 2-ე და 3-ე ნაწილით აღიძრა, რაც ადვოკატს მიანიშნებს, რომ სამართალდამცველებს წინასწარ ჰქონდათ დადგენილი, რა რაოდენობის ნარკოტიკი "აღმოჩნდებოდა" ჩხრეკისას. იგივე კვალიფიკაცია ფიქსირდება ეჭვმიტანილად ცნობის დადგენილებაში მაშინ, როცა ისიც კი არ იყო ექსპერტიზის მიერ დადგენილი, რომ ჩხრეკისას აღმოჩენილი ნივთიერება ნამდვილად ნარკოტიკი იყო თუ არა.

**"ეს ყველაფერი მეტყველებს იმაზე, რომ პოლიციელებს ყველაფერი წინასწარ ჰქონდათ დაგეგმილ-გაწერილი, მაგრამ ხელოვნურად საქმის შეკერვა ძალზე უნიჭოდ გამოუვიდათ"**, - ამბობს ეკა ბესელია. მისივე თქმით, ჯაშს წინასწარ, სანდო წყაროსგან ჰქონდა ინფორმაცია, რომ მის დაპატიმრებას აპირებენ: **"უახლოეს სასამართლო პროცესზე მისი ოჯახის წევრები დაასახელებენ იმ მაღალი თანამდებობის პირს, ვისაც უკავშირდება მისი დაკავება და გასამართლება"**.

იმ უამრავი დარღვევის გამო, რომელსაც ადგილი ჰქონდა და აქვს დავით ჟაშთან მიმართებაში, ადვოკატს უკვე მზად აქვს ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლოში გასაგზავნი სარჩელი. ეკა ბესელიას განცხადებით:

**"ჯაშის დაკავების დროს დაირღვა შიდაეროვნული კანონმდებლობით, კერძოდ, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი დაკავების წესები. სამართალდამცველებს არ ჰქონდათ მისი დაკავებისა და ასევე ჩხრეკის ჩატარებისთვის საკმარისი საფუძვლები, დარღვეული იქნა დაცვის უფლება, დაირღვა ყველა ის პროცედურა, რომელიც არეგულირებს იძულებით ღონისძიების გამოყენებას და რომელსაც ითვალისწინებს ევროკონვენციის მე-5 მუხლი. გარდა ამისა, ჯაშთან მიმართებაში დაირღვა ევროკონვენციის მე-6 მუხლი, რომლითაც გარანტირებულია სამართლიანი სასამართლოს უფლება. ამას ემატება "სასტიკი და არაადამიანური მოპყრობის" შესახებ მე-3 მუხლის დარღვევა. ყოველივე ამის დამადასტურებელი არგუმენტები უკვე შესულია ჩვენს მიერ შედგენილ სარჩელში, რომელსაც უახლოეს დღეებში სტრასბურგში გავგზავნით".**

*24 საათი*

ფეხბურთი

# რონალდოს მილანში ელიან

მადრიდის "რეალის" ბრაზილიელმა ფორვარდმა რონალდომ შეიძლება მიმდინარე სეზონის ბოლოს კლუბი დატოვოს. Gazzeta della Sport-ის ცნობით, რამდენიმე დღეში მილანის "ინტერისა" და მადრიდის "რეალის" წარმომადგენლები მოლაპარაკების მაგიდას მიუსხდებიან, რათა განიხილონ რონალდოს შესაძლო გადასვლა "ნერაძურის" შემადგენლობაში.

მადრიდის "რეალში" ახალი პრეზიდენტის მოსვლის შემდეგ კლუბს სერიოზული რეორგანიზაცია ელოდება. არ არის გამორიცხული, რომ რონალდოს გარდა გუნდი კიდევ რამდენიმე წამყვანმა ფეხბურთელმა დატოვოს. მათ შორის ზინედინ ზიდანმა, ივან ელგერამ და რობერტო კარლოსმა.

სავარაუდოა, რომ საპირისპირო მხარეს მილანიდან მადრიდისკენ გაუყვება გზას "ინტერის" კიდევ ერთი ბრაზილიელი ფორვარდი ადრიანო, რომელსაც ბოლო დროს ურთიერთობა გაუფუჭდა კლუბის მთავარ მწვრთნელ რობერტო მანჩინისთან.

თებერვალში რონალდომ უკვე მიანიშნა, რომ სეზონის ბოლოს შეიძლება დატოვოს გუნდი და ამის მიზეზად გულშემატკივართა მხრიდან მისი უგულებელყოფა დაასახელა. "კლუბის ფანებმა არაფრით არ მიმიღეს. როცა ჩემს მომავალზე ვფიქრობ, სწორედ მათ რეაქციას ვითვალისწინებ, - განაცხადა 29 წლის ბრაზილიელმა, - ყოველთვის ვამბობდი, რომ არ მინდა ვიყო იქ, სადაც არ ვუყვარვარ. "ბერნაბეუზე" არასოდეს მიგრძვნია თავი ისე, როგორც სახლში და გულშემატკივარიც არასოდეს მექცეოდა სიყვარულით. გადაწყვეტილებას სეზონის ბოლოს მივიღებ.


რონალდო შეიძლება "ინტერში" აღმოჩნდეს.

მთელი იმ ძალისხმევის შემდეგ, რაც ამ კლუბში გადმოსასვლელად დამჭირდა, არ მესმის, რატომ მექცევიან ასე".

რონალდო "ინტერიდან" "რეალში" 35 მილიონ ევროდ (41,79 მილიონი დოლარი) გადავიდა. ეს ტრანსფერი განაპირობა ფორვარდის ბრწყინვალე თამაშმა 2002 წლის მსოფლიო პირველობაზე. მადრიდულ კლუბთან მისი კონტრაქტი 2008 წლამდეა ძალაში. იმის მიუხედავად, რომ რონალდო კლუბის ერთ-ერთი შედეგიანი ფორვარდია, გულშემატკივარი არასოდეს ერიდებოდა დაესტვინა მისთვის, როცა ის მინდორზე გამოდიოდა. მიმდინარე სეზონში რონალდოს ტრავმები აწუხებს. პრესა კი ცეცხლზე ნავთს ასხამს და ბრაზილიელ ფეხბურთელს ფორმის დაკარგვის გამო ადანაშაულებს.

# მალუდა - ახალ სიმაღლეზე

ფრანგული "ლიონის" მთავარმა მწვრთნელმა ჟერარ ულიემ ახლახან განაცხადა, რომ მისი გუნდი უფრო გაძლიერდება მას შემდეგ, როცა ფეხბურთელები მიხვდებიან, თუ რა მაღალი დონის არიან ისინი. მწვრთნელს ამის თაობაზე რომელიმე კონკრეტულ ფეხბურთელთან არ უსაუბრია. თუმცა, როგორც ჩანს, ფლორან მალუდას ულიეს სიტყვები კარგად შეუსმენია.

განაპირა ნახევარმცველმა "ლიონის" შემადგენლობაში ძლიერად ჩაატარა პირველი ორი სეზონი. ულიეს ხელში კი გაიანას მკვიდრი აბსოლუტურად სხვა დონეზე ავიდა და ახლა გუნდის ერთ-ერთ ყველაზე სახიფათო ფეხბურთელად მიიჩნევა. ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალურ ეტაპზე უნივერსალურმა ფეხბურთელმა დიდი წვლილი შეიტანა ჰოლანდიის "პსვ ეინდჰოვენის" განადგურებაში (5:0). განმეორებით მატჩში მალუდამ შესანიშნავად შეცვალა დაცვის მარცხენა ფრთაზე კრისი, რომელმაც პირველ შეხვედრაში ტრავმა მიიღო და თავის გუნდს დაეხმარა შარშან, მეოთხედფინალში განცდილი მარცხისთვის სრულფასოვანი რევანშში აეღო.

"ჩვენ წელს უფრო დიდი გამძლეობა ვაჩვენეთ და მოწიფული ფეხბურთი ვითამაშეთ, ვიდრე შარშან, - განაცხადა მალუდამ, - პსვ-სთან პირველ მატჩში დაცვაში ჩადგომა მოგვიხდა. სამაგიეროდ სახლში შესანიშნავი შანსი მოგვეცა შემტევი ფეხბურთი წარმოგვედგინა. ყველაზე მთავარი ის იყო, რომ მატჩს მთლიანად ვაკონტროლებდით". ჟერარ ულიე კმაყოფილია როგორც მთლიანად მატჩით, ისე პირადად მალუდას თამაშით. "ლიონში" ძალიან მომწონს. ვგრძნობ, რომ გუნდთან ერთად ვიზრდები, - აღნიშნა 25 წლის ჰავბეკმა, რომლის კონტრაქტი ამას წინათ 2010 წლამდე გაახანგრძლივეს, - მე განაპირა ნახევარმცველად მიმაჩნია თავი, მაგრამ თუ მწვრთნელი გადაწყვეტს გუნდის ინტერესებისთვის სხვა ადგილზე მათამაშოს, სიამოვნებით შევიცვლი ამპლუას".

მალუდა კმაყოფილია, რომ "ლიონს" სათავეში უდგას ისეთი გამოცდილი მწვრთნელი, როგორიც ჟერარ ულიეა. "მან შესანიშნავად იცის ევროპული ფეხბურთი. მასთან მუშაობით საკუთარი შესაძლებლობები ვირწმუნეთ, - ამბობს მალუდა, - ახლა ვიცით, რომ შეგვიძლია ჩვენი თამაში ნებისმიერ მეტოქეს მოვახვიოთ თავს".

"მილანთან" ბრძოლა ამ თავდაჯერებისთვის კარგი გამოცდა იქნება, მაგრამ მალუდა დარწმუნებულია, რომ მესამე ცდაზე მისი გუნდი, ბოლოს და ბოლოს, გააღწევს ტურნირის ნახევარფინალში. "ზედიზედ ორი სეზონის განმავლობაში გვიკიჟინებდნენ, რომ ჩვენ კენჭისყრისას ბედი გვწყალობდა, მაგრამ "პორტუსთან" და "პსვ ეინდჰოვენთან" პაექრობამ საპირისპირო აჩვენა, - აცხადებს მალუდა, - რა თქმა უნდა, "მილანი" მრისხანე მეტოქეა, მაგრამ ჩვენ ვგრძნობთ, რომ უფრო ძლიერი გუნდი ვართ, ვიდრე ჩვეულებრივ ვიყავით. ამიტომ იტალიელთა დამარცხება შეგვიძლია. ამის დიდი იმედი მაქვს, თორემ უკვე მომბეზრდა, რომ ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალები ჩვენ გარეშე იმართება".


ჟერარ ულიე: "მალუდას უფრო მეტი შეუძლია".

დისკვალიფიკაციის გამო "ლიონს" ბრაზილიელი ჟუნინიოს გარეშე მოუწევს თამაში. ამიტომ გუნდი მალუდას შემოქმედებითი თამაშის იმედზე რჩება. "ძალიან სამწუხაროა, რომ ჟუნინიო ვერ დაგვეხმარება. მან ხომ ჩვენთვის, თითქმის მარტომ, ბევრი მატჩი მოიგო, - აღიარებს მალუდა, - დიდი შრომა მოგვიწევს იმისთვის, რომ ეს დანაკარგი თვალსაჩინო არ იყოს. თუმცა, თუ გუნდს ევროპულ სარბიელზე წარმატება სურს, მასში უფრო მეტი უნდა იყოს, ვიდრე თერთმეტი ფეხბურთელია".

"გინგამის" ყოფილ ფორვარდს ხშირად საყვედურობენ იმისთვის, რომ მაინცდამაინც დიდი შედეგიანობით არ გამოირჩევა, მაგრამ ახლა ის შესანიშნავ ფორმაშია და "ლიონის" ბოლო სამ მატჩში მინდვრიდან გოლის გარეშე არ გასულა. ამის მიუხედავად, მის მწვრთნელს მიაჩნია, რომ მალუდას უფრო მეტი შეუძლია. "მას ჯერ კიდევ არ ესმის, თუ რაოდენ სახიფათო შეიძლება იყოს, - განაცხადა ჟერარ ულიემ, - ის იოლად აბითურებს მეტოქეებს, მაგრამ ხანდახან ეგოიზმი სჭირდება. დღეს მალუდა საერთაშორისო დონის ფეხბურთელია. მინდა, რომ ის მსოფლიო კლასის ფეხბურთელად იქცეს".

BP საქართველო-ს საზაფხულო სტაჟირების პროგრამა 2006

bp

საქართველო იწყებს სტაჟირების პირველ საზაფხულო პროგრამას, რომელიც ნიჭიერი სტუდენტების მცირერიცხოვან ჯგუფს მისცემს მსოფლიოს ერთ-ერთ წამყვან ენერგო კომპანიაში სამუშაო გამოცდილების შეძენის საშუალებას.

პროგრამაში მონაწილეობისათვის შეირჩევიან საინჟინრო-ტექნიკური, ბიზნესის, ეკონომიკური, საფინანსო, იურიდიული და საერთაშორისო ურთიერთობების განხრების ბაკალავრიატის ბოლო კურსის ან მაგისტრატურის აკადემიური მოსწრებით გამორჩეული სტუდენტები, რომლებიც გაივლიან 4 თვიან სტაჟირებას შემდეგ სფეროებში:

•მილსადენის ექსპლუატაცია და უსაფრთხოება

•მიწის და მიწის რეგულირების საკითხები

•კომუნიკაციები და საგარეო ურთიერთობები

•შესყიდვები

•ფინანსები და საბუღალტრო საქმე

მოთხოვნები

კანდიდატი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე და სწავლობეს ბაკალავრიატის ბოლო კურსზე ან მაგისტრატურაში.

კანდიდატებს უნდა ჰქონდეთ აკადემიური მიღწევები და კარგად ფლობდნენ ინგლისურ ენას.

შერჩევა მოხდება გასაუბრებისა და ინგლისურ ენაში ტესტირების საფუძველზე.

განცხადების ანკეტების და დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია - საქართველოს ოფისში, მისამართზე: თბილისი, საბურთალოს ქ. 38

შევსებული ანკეტების ჩაბარება იწარმოებს ზემოთ აღნიშნულ მისამართზე 2006 წლის 21 აპრილამდე

მოკლედ

## ნახევარფინალისტები დაწყვილდნენ

გუშინ საქართველოს ფეხბურთის პროფესიული ლიგის ოფისში გაიმართა წილისყრა, რომელმაც დავით ყიფიანის თასის ნახევარფინალისტები ასე დააწყვილა:

**"სიონი" (ბოლნისი) - "ამერი" (თბილისი)**

**"ზესტაფონი" - "ვიტ ჯორჯია" (თბილისი)**

პირველი ნახევარფინალური შეხვედრები გაიმართება 8 აპრილს წყვილებში პირველად დასახელებული გუნდების მოედნებზე, საპასუხო მატჩები კი - 2 მაისს.

ფინალურ შეხვედრას 13 მაისს თბილისის ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი უმასპინძლებს.

## ბექჰემმა შეიძლება არ ითამაშოს

მადრიდის "რეალისა" და ინგლისის ნაკრების ნახევარმცველმა დევიდ ბექჰემმა შეიძლება არ მიიღოს მონაწილეობა "სუპერკლასიკოში" "ბარსელონას" წინააღმდეგ, რომელიც შაბათს ბარსელონაში "ნოუ კამპის" სტადიონზე გაიმართება. ბექჰემმა "დეპორტივოსთან" ამასწინანდელ შეხვედრაში მცირე ტრავმა მიიღო და, შესაძლოა, აღდგენა ვერ მოასწროს.

"როცა ბურთს ვურტყამ, ტკივილს ვგრძნობ. რამდენიმე ხერხი ვცადე ამის წინააღმდეგ, მაგრამ, როგორც ჩანს, უმჯობესია ფეხს ოდნავ დასვენების საშუალება მივცე და ვნახო, რა მოხდება", - განაცხადა ბექჰემმა. შეგახსენებთ, რომ ამ გუნდების წინა მატჩი "სანტიაგო ბერნაბეუზე" მადრიდის "რეალის" გამანადგურებელი მარცხით - 0:3 დასრულდა.

## "ატლეტიკო" ჭრელი აღარ იქნება

მადრიდის "ატლეტიკოს" ხელმძღვანელობამ სენსაციური გადაწყვეტილება მიიღო. 1903 წლის შემდეგ, როცა მადრიდულ კლუბს დასაბამი მიეცა, პირველად მოხდება, რომ გუნდი მინდორზე ტრადიციული ფორმით არ გამოვა. ეს განაპირობა "ნაიკთან" დადებულმა ხელშეკრულებამ. "ეს ხელშეკრულება ჩვენი გუნდისთვის უაღრესად დიდ ინტერესს წარმოადგენს, - ნათქვამია კლუბის განცხადებაში, - ის საშუალებას მოგვცემს ჩვენი განვითარებისთვის მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადავდგათ წინ". ვარაუდობენ, რომ თეთრ-წითელი ფორმის ნაცვლად "ატლეტიკოს" ფეხბურთელები იმავე ფერების დიდზოლიან მაისურებს მოირგებენ. კლუბის გულშემატკივრებმა კი ტრადიციისადმი ასეთი დამოკიდებულების გამო თავისი აღშფოთება გამოთქვეს.

## ნისტელროისთვის ადგილი გარანტირებულია

ჰოლანდიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა მარკო ვან ბასტენმა განაცხადა, რომ რუუდ ვან ნისტელროის მსოფლიოს მომავალ ჩემპიონატზე გუნდში ადგილი გარანტირებული ექნება. "მე მას (ნისტელროის) გავაგებინე, რომ არ უნდა ინერვიულოს ნაკრებში ადგილის გამო", - განაცხადა მარკო ვან ბასტენმა. შეგახსენებთ, რომ ბოლო დროს ჰოლანდიელმა ფორვარდმა დაკარგა ადგილი "მანჩესტერ იუნაიტედის" ძირითად შემადგენლობაში. ის იშვიათად გამოდის მინდორზე. სერ ალექს ფერგიუსონი ნისტელროის ფრანგ ლუის საას ამჯობინებს.

## ტოტი სწრაფად აღდგება

იტალიური "რომას" ლიდერმა ფრანჩესკო ტოტიმ განაცხადა, რომ კმაყოფილია ტრავმის შემდეგ რეაბილიტაციის ტემპით. ტოტის დიდი იმედი აქვს, რომ მსოფლიო ჩემპიონატისთვის სასურველ ფორმაში იქნება. "ყველაფერი გეგმით მიდის. სწრაფი ტემპით ვიმუშებ ტრავმას. ამისთვის ძალიან კარგი მოტივაცია მაქვს. მინდა მსოფლიო ჩემპიონატზე კარგ ფორმაში ვიყო", - განაცხადა იტალიის ნაკრების გამთამაშებელმა.

## "არსენალი" გალასს ეპატიჟება

უილიამ გალასის აგენტის ისსუ ტრაორეს თქმით, ლონდონის "არსენალი" დაინტერესებულია გალასის შეძენით, რომელსაც "ჩელსისთან" კონტრაქტი ჯერჯერობით არ გაუხანგრძლივებია. 28 წლის მცველზე, რომელსაც არაერთხელ გამოუხატავს უკმაყოფილება იმის გამო, რომ "ჩელსის" შემადგენლობაში დაცვის ცენტრში არ ათამაშებენ, "იუვენტუსი" და "მილანიც" აცხადებენ პრეტენზიას.

## "ნიუკასლი" "სელტიკის" წინააღმდეგ

ალან შირერის გამოსამშვიდობებელ მატჩში "ნიუკასლ იუნაიტედის" ოთხი ყოფილი ფეხბურთელი მიიღებს მონაწილეობას. საუბარია ლეს ფერდინანდზე, ჰარი სპიდზე, რობი ლისა და სტივ უოტსონზე. ამ შეხვედრაში "ნიუკასლი" "სელტიკის" წინააღმდეგ ითამაშებს. მატჩი 11 მაისს გაიმართება. ბენეფისიდან მიღებული თანხა "ნიუკასლ იუნაიტედის" ბავშვთა სკოლას გადაეცემა.

## "ტოტენჰემი" კონტრაქტებს ახანგრძლივებს

მცველმა მაიკლ დოუსონმა და ფორვარდმა აარონ ლენონმა ლონდონის "ტოტენჰემ ჰოთსპურთან" კონტრაქტი გაახანგრძლივეს. ფეხბურთელები კლუბში 2010 წლამდე დარჩებიან. ამ სეზონში ლენონმა 22 მატჩი ჩაატარა, ხოლო დოუსონმა 28.

## ვიერი რისკავს

მარცხენა მუხლის ტრავმამ შეიძლება მსოფლიო ჩემპიონატის მიღმა დატოვოს იტალიის ნაკრებისა და ფრანგული "მონაკოს" ფორვარდი კრისტიან ვიერი. ვიერიმ საფრანგეთის ჩემპიონატში, "პარი სენ-ჟერმენთან" მატჩში მიიღო ტრავმა. მან ბერნარ მენდისთან შეჯახების შემდეგ მატჩის მე-8 წუთზე დატოვა მინდორი. ის იტალიაში სამედიცინო შემოწმებას გაივლის. ჯერჯერობით უცნობია, რა დრო დასჭირდება ვიერის რეაბილიტაციას.

## "რეალმა" მწვრთნელი იპოვნა

მადრიდის "რეალის" ახალმა პრეზიდენტმა ფერნანდო მარტინმა გამოაქვეყნა იმ მწვრთნელთა ნუსხა, რომლებსაც კლუბის სათავეში ისურვებდა. ამ სიაში შვიდი მწვრთნელი გაერთიანდა: სვენ-გორან ერიქსონი, ჟოზე მოურინიო, ფაბიო კაპელო, რაფაელ ბენიტესი, არსენ ვენგერი, კარლო ანჩელოტი და მარჩელო ლიპი. "ჩვენ უკვე ჩამოვყალიბდით, თუ რომელი მწვრთნელი უნდა მოვიწვიოთ გუნდში და სიაც ამიტომ გამოვაქვეყნეთ. მომდევნო სეზონიდან გუნდს სწორედ ერთ-ერთი მათგანი ჩაუდგება სათავეში. ჯერჯერობით ვერ გეტყვით, რომელ მათგანს ვანიჭებ უპირატესობას", - განაცხადა ფერნანდო მარტინმა.

## სტამი "ლიონთან" ვერ ითამაშებს

იტალიური "მილანისა" და ჰოლანდიის ნაკრების მცველი იაპ სტამი ვერ ითამაშებს ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალურ მატჩს საფრანგეთის "ლიონის" წინააღმდეგ. სააგენტო "როიტერსის" ცნობით, ფეხბურთელმა ფეხის ტრავმის შემდეგ აღდგენა ვერ მოასწრო.

## ბავარიელები აგუერას ყიდულობენ

მიუნხენის "ბაიერნის" ხელმძღვანელობა განიხილავს საკითხს, რაც შეიძლება სწრაფად შეიძინოს ახალგაზრდა არგენტინელი ფეხბურთელი სერხიო აგუერა. გაზეთ "ბილდის" ცნობით, "ბაიერნის" გენერალური დირექტორი ული ჰიონესი სპეციალურად ჩაფრინდა არგენტინაში, რომ ფეხბურთელი საქმეში ენახა.

## გაზოლი საუკეთესოა

ესპანელი პაუ გაზოლი კვირის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს NBA-ის დასავლეთ კონფერენციაში. ოთხ მატჩში გაზოლმა საშუალოდ 26,8 ქულა მოაგროვა და 10,8 მოხსნა მიითვალა. აღმოსავლეთ კონფერენციაში კი საუკეთესო კალათბურთელად კლივლენდელი "კავალერების" მცველი ლებრონ ჯეიმსი აღიარეს.



# "თქვენი აფხაზეთი"

პროექტის კოორდინატორი
თორნიკე ზურიშვილი

## ნაბიჯი წინ

სოხუმის უშიშროების იზოლატორში გატარებული 20-დღიანი პატიმრობის შემდეგ თეა შარია, ტარიელ სოხაძე და თემურ ელიავა გაათავისუფლეს.

ფქ ფაქტი აფხაზური ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა 25 მარტს ენგურის ხიდთან ისინი აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პოლიციის წარმომადგენლებს, შეიძლება ითქვას, ხელიდან ხელში გადასცეს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტი თეა შარია, მისი ნათესავი ტარიელ სოხაძე და კიდევ ერთი თანამგზავრი, თემურ ელიავა აფხაზეთის ტერიტორიაზე მარტის პირველ რიცხვებში გადავიდნენ. როგორც თავად აცხადებენ, მათი მიზანი აფხაზეთში მდებარე ქართული ეკლესია-მონასტრების შესახებ დოკუმენტური ვიდეომასალის მოპოვება იყო. აფხაზური მხარის "ნებართვისა" და საბუთების გარეშე ენგურს გაღმა გადასული ქართველები სამი დღის განმავლობაში იმყოფებოდნენ აფხაზეთში და ვიდეოკამერით იღებდნენ მათთვის საინტერესო ადგილებს. მართალია, ამ დროის განმავლობაში სერიოზული პრობლემები არ შექმნიათ, მაგრამ გამუდმებით გრძნობდნენ, რომ უთვალთვალებდნენ. მიუხედავად ამისა, მათ თავიანთი საქმიანობა არ შეუწყვეტიათ. 5 მარტს ისინი გალისა და ოჩამჩირის რაიონების საზღვარზე მდებარე ბედიის უძველესი ქართული ტაძრის გადაღებისას დააკავეს და სოხუმის უშიშროების იზოლატორში წაიყვანეს. თავდაპირველად ქართველებს "საზღვრის" უკანონო გადაკვეთა და შპიონაჟი დასდეს ბრალად, მაგრამ მოგვიანებით, სამხილების არარსებობის გამო, შპიონაჟის ბრალდება მოუხსნეს.

აფხაზურმა მხარემ შარია, სოხაძე და ელიავა ფქ ფაქტი აფხაზეთის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 84-ე მუხლის მიხედვით, "სახელმწიფო საზღვრის" "უკანონო გადაკვეთისთვის" დამნაშავედ ცნო, რის შემდეგაც, ფქ ფაქტი სანქციით, მათ რამდენიმედღიანი პატიმრობა ელოდათ.

ქართული მხარის აქტიური ჩარევის შედეგად, საბედნიეროდ, აფხაზეთში ჩასული სამი ქართველის საქმეს აფხაზეთის ფქ ფაქტი მთავრობა გაგებით მოეკიდა და 25 მარტს ისინი პირდაპირ სასამართლოს დარბაზიდან გაათავისუფლეს.

დაკავებულთა გათავისუფლებაში მონაწილეობდნენ საქართველოს პრეზიდენტის მრჩევლები და პარლამენტის წარმომადგენლები, აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებაში ჩართული საერთაშორისო ორგანიზაციები.

განსაკუთრებით აღსანიშნავია მშვიდობიანი ქართულ-აფხაზური საკოორდინაციო კომისიის თავმჯდომარის ზურაბ ლაკერბაიას როლი, რომლის ძალისხმევით გათავისუფლებისას და გადაცემის პროცესის ბოლო წუთამდე უწყდება მხარეებს კოორდინაცია.

აფხაზეთის ძალოვნების მიერ დაკავებული თეა შარიას, თემურ ელიავას და ტარიელ სოხაძის გათავისუფლებისთვის საქართველოს ხელისუფლების და ქართველი საზოგადოების წარმომადგენლებს მადლობას უხდის, როგორც აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირებისთვის მშვიდობიანი დიალოგის გაგრძელების მიერ გადადებული ნაბიჯი.

*აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საინფორმაციო პოლიტიკის დეპარტამენტი*

## ლონდონის შეხვედრა

ბრიტანული არასამთავრობო ორგანიზაციის - "შერიგების რესურსების" ინიციატივით 18-20 მარტს ლონდონში გაიმართა ქართულ-აფხაზური შეხვედრების ციკლის მეჩვიდმეტე სემინარ-დიალოგი. შეხვედრაში მონაწილეობდნენ ორივე მხარის თანამდებობის პირები, დეპუტატები და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები. აღნიშნული ციკლი არის ფორუმი, რომლის ფარგლებში მონაწილეები შეუძლიათ ინფორმალური მონაწილეობით განიხილონ ... და ანალიზი, რომელიც შეიძლება წარმოიშვას კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების დროს. ლონდონის შეხვედრის მონაწილეები იყვნენ მოლაპარაკებების პროცესში ჩართული თანამდებობის პირები.

მსჯელობის შედეგად დაისვა საკითხი, რა ფორმითაა შესაძლებელი სიტუაციის ... და განხილულ იქნა ... მშვიდობიანი პროცესის პროგრესს. მონაწილეებმა გააანალიზეს სტატუს კვო და მისი შედეგები ორივე მხარისათვის. გაიმართა დისკუსია მშვიდობიანი პროცესის პერსპექტივების შესახებ. შეხვედრაზე დაისვა საკითხი, მზად არიან თუ არა მხარეები ახალი მიდგომებისათვის მოლაპარაკებების პროცესში, რათა ძალდაუტანებლად ... ორივე მხარის ... ინტერესები.

დისკუსია საკმაოდ დინამიკური და ... იყო. ... შეხვედრის მონაწილეთა ... პროგრამით ... ლონდონის ... მომავალი ... შეხვედრის ... .

აფხაზური მხრიდან შეხვედრაში მონაწილეობდნენ ნათელა აკაბა, ... და სხვები. ქართული მხრიდან - ... დავით ბაზაძე, ... და სხვები. ... მოადგილე ... .

სემინარის ორგანიზება ეკუთვნის "შერიგების რესურსებს". ფასილიტატორების რანგში წარდგნენ კლემ მაკარტნი, ჯონათან კოენი და რეიჩელ კლოგი.

სემინარი დააფინანსა "კონფლიქტების აღკვეთის დიდი ბრიტანეთის მთავრობის ფონდმა"

### გამოკითხვა

## როგორ ფიქრობთ, ბოლო ორწლინახევრის განმავლობაში თუ არის წინსვლა აფხაზეთის კონფლიქტის მოსაგვარებლად?

**ლეილა მორგოშია**, ფილოლოგი, 52 წლის: "საქართველოს მთავრობის მხრიდან ნამდვილად ბევრი მცდელობაა იმისა, რომ აფხაზები ჩვენსკენ მოაბრუნოს და მოლაპარაკებების შედეგად რაღაც წინსვლას მიაღწიოს. თუმცა, სამწუხაროდ, აფხაზების მხრიდან შემხვედრი ნაბიჯები არ ჩანს. მე მაინც ვფიქრობ, რომ ის განცხადებები, რაც იქითა მხრიდან საჯაროდ კეთდება, იმიტომ არის კვლავ უკომპრომისო, რომ ისინი შეზღუდულნი არიან, გასაგები მიზეზების გამო. შესაძლოა, სხვაგვარადაც ფიქრობდნენ, მაგრამ იძულებულები არიან, ტონი არ შეარბილონ. ჩემი რწმენით, ქართველები და აფხაზები ერთმანეთის პირისპირ მოსალაპარაკებლად მარტო რომ დასხდნენ, გაცილებით უკეთ გამონახავენ საერთო ენას."

**ნატა გოშაძე**, ეკონომისტი, 40 წლის: "სანამ საქართველოში ეკონომიკური აღმავლობა არ იქნება, ამ კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარება ისე, რომ ჩვენთვის მეტ-ნაკლებად მისაღები იყოს, უტოპიაა. ჩვენ, ჩვენი ქვეყნის განვითარების გზით, აფხაზეთი უნდა დავარწმუნოთ, რომ საქართველოსთან ერთად ბევრად უკეთესად იქნება, ვიდრე ცალკე ან რუსეთთან ერთად. ამის შესაძლებლობები ჩვენს ქვეყანას აქვს, მაგრამ ვერც ერთი ხელისუფლება ვერ ახერხებს, დასახოს ეკონომიკური განვითარების სწორი გზა და მიზანმიმართულად განახორციელოს. თუ საკითხს ამ კუთხით შევხედავთ, ლაპარაკის მეტი არაფერი გაკეთებულა."

**ნოდარ კოპალიანი**, მცირე მეწარმე, 38 წლის: "ის ფაქტი, რომ აფხაზეთის საკითხი მუდმივად პირველხარისხოვანია და ერთი დღეც არ არის, რომ პრეზიდენტმა არ შეახსენოს საზოგადოებას მისი გადაწყვეტის მნიშვნელობა, თავისთავად, უკვე ცოტას არ ნიშნავს. წინა ხელისუფლების პერიოდში ჩვენ ლამის მივივიწყეთ და შევეგუეთ, რომ ეს ტერიტორია დაკარგული გვქონდა. ჩვენ, შესაძლოა, წინ გადადგმულ ნაბიჯებს ახლა ვერ ვაფასებთ იმიტომ, რომ აღარ გვახსოვს, რა იყო 3 წლის წინათ. მაგრამ მე მგონია, რომ ზოგიერთი საკითხი აფხაზური მხარისათვის უფრო სერიოზულად დასაფიქრებელი გახდა, თუნდაც, ეკონომიკური ურთიერთობის, ლტოლვილების დაბრუნების. ეს ის თემებია, რაც შემდგომში აუცილებლად ჰპოვებს განვითარებას."

**გელა ვალიშვილი**, ინჟინერი, 50 წლის: "წინსვლაზე ლაპარაკი ზედმეტია. პირიქით, მე მგონია, რომ უკან დავიხიეთ. და აი, რატომ: აფხაზეთის კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარება აუცილებლად უკავშირდება რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესებას და დარეგულირებას. ჩვენი ხელისუფლება კი ყველაფერს აკეთებს, რომ რუსეთთან ურთიერთობა კიდევ უფრო დაძაბოს და გაამწვავოს. ჩვენ რუსეთს ჯერჯერობით, და კიდევ კარგა ხანს, ვერ მოვერევით, რუსეთი კი აფხაზეთს არ დაგვითმობს, ისევე როგორც ცხინვალის რეგიონს, რადგან ამით იგი საქართველოში გავლენას მთლიანად კარგავს."

**მამუკა ვიბლიანი**, დროებით უმუშევარი, 27 წლის: "ამ ხელისუფლებას აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარება არ შეუძლია, ისევე როგორც სხვა პრინციპული საკითხების გადაწყვეტა. დრო კი გადის და ჩვენ აფხაზეთს კიდევ უფრო ვშორდებით."

**მერი შენგელია**, დიასახლისი, 67 წლის: "ჩვენი პრეზიდენტი ამბობს, რომ მისი მთავარი მიზანი დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებაა. მე მგონია, რომ ის ამას გულწრფელად ამბობს და მიზნის მისაღწევად ყველაფერს გააკეთებს. რა ნაბიჯები გადაიდგა, ამას კონკრეტულად ვერ გეტყვით, მაგრამ აფხაზეთზე მუდმივად არის საუბარი და მთავრობა მუდმივად ცდილობს, რომ კონფლიქტის მოგვარების გზები მოძებნოს."

პროექტის მხარდამჭერი conciliation resources

# კვლავაც ვუყვარვარ

*რამდენიმე ხნის წინ აფხაზეთის ტერიტორიაზე, ბედიის ტაძრის გადაღებისას დაკავებული სტუდენტების ბედი, ჯერჯერობით, გაურკვეველია და უახლოეს მომავალში ქართული საზოგადოებრიობა ამ საკითხს, ალბათ, მრავალჯერ დაუბრუნდება. მართალია, ჩვენი დღევანდელი საუბრის თემა მხოლოდ ირიბად უკავშირდება ხსენებულ ფაქტს, მაგრამ მთლიანობაში სწორედ აფხაზეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე, ქართულ ეკლესია-მონასტრებში მართლმადიდებლური მღვდელთმსახურების აღსრულებასა და აფხაზ სასულიერო პირებზე მოგითხრობთ.*

ირმა ზურიშვილი

აფხაზეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართულ-აფხაზური კულტურის ძეგლების რაოდენობა, საქართველოს კულტურის სამინისტროს მონაცემებით, ას ერთეულს აჭარბებს. მათ შორის არის ისეთი ღირსშესანიშნავი ნიმუშები, როგორებიცაა VIII-IX საუკუნეებში აგებული ბიჭვინთის სამონასტრო კომპლექსი, ასევე, II-IV საუკუნეების ნაქალაქარი; ახალ ათონში - ანაკოფიის ციხის და ეკლესიის ნანგრევები, სვიმონ კანანელისა და წმინდა პანტელეიმონის სახელობის სამონასტრო კომპლექსები; ლიხნში - შერვაშიძეების სასახლე, იქვე, ხუროთმოძღვრული ანსამბლი - ღვთისმშობლის მიძინების ეკლესია; აჭანდარაში - წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია; სოხუმში - ბესლეთის ხიდი, ეშერის ნაქალაქარი; კომანში, მდინარე გუმისთის მარცხენა სანაპიროზე - იოანე ოქროპირის სახელობის მონასტერი; სოხუმში - დიოსკურიის და ბაგრატის ციხის ნანგრევები და სხვა მრავალი. მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. მთავარი ის არის, რომ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ეს ნაწილი იმ ტერიტორიაზე მდებარეობს, სადაც დღეს საქართველოს იურისდიქცია არ ვრცელდება. ამიტომ მწირ ცნობებს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის დეპარტამენტი სრულიად არაოფიციალურ დონეზე, ე. წ. "პარტიზანული" საშუალებებით იღებს.

კონფლიქტის ზონაში ძეგლების ხელყოფის, არაკანონიერი არქეოლოგიური გათხრების წარმოების და სხვა სავალალო ფაქტების საშიშროება ყოველთვის არსებობს და ამის თავიდან აცილება, ცნობილი მიზეზების გამო, საქართველოს ხელისუფლებას არ ძალუძს.

არქეოლოგიური ექსპედიციები აფხაზეთის ტერიტორიაზე, უმეტესწილად, მეზობელი რუსეთიდან ხორციელდება. რუსეთის მოქალაქეები იქ მეცნიერულ კვლევებს ყოველგვარი ნებართვის გარეშე, სრულიად უკანონოდ აწარმოებენ, რაზეც ქართულ მხარეს მხოლოდ ფუჭი განცხადებების კეთება და მსოფლიო თანამეგობრობასთან ჩივილი უწევს.

ცნობილია ისიც, რომ რუსეთის წარმომადგენლები აფხაზეთში მხოლოდ არქეოლოგიური გათხრებით არ კმაყოფილდებიან და სასულიერო საქმეებშიც აშკარად ერევიან.

აფხაზეთის ქრისტიანული საზოგადოების პირველი პირები სრულიად რუსეთის პატრიარქს ყოველწლიურად მიმართავენ თხოვნით, რომ მან აფხაზეთის ეპარქიას "კონფლიქტის მოგვარებამდე, დროებით" მფარველობა გაუწიოს. ალექსი მეორე, ისევე, როგორც მისი ქვეყნის პრეზიდენტი, ხმამაღლა აცხადებს, რომ რუსეთი საქართველოს შინაურ საქმეებში არ ჩაერევა. თუმცა, სრულიად რუსეთის პატრიარქი აფხაზ ღვთისმსახურებს ძალიან სწყალობს და, როგორც აფხაზთა პირველი სასულიერო პირი - მამა ბესარიონი ამბობს, ისინი მოსკოვში არაოფიციალურად ერთმანეთს ხშირად ხვდებიან, აფხაზეთის პრობლემებსაც განიხილავენ და წირვა-ლოცვასაც ერთად ატარებენ. ოთხი წლის წინ კი მამა ბესარიონი ღვთისმსახურებაში "განსაკუთრებული" ღვაწლისთვის რუსეთის ეპარქიამ ერთ-ერთი რუსი წმინდანის სახელობის ორდენითაც დააჯილდოვა. ამის გარდა, აფხაზეთის მოქმედ ეკლესია-მონასტრებში რუსეთში ხელდასმული და ალექსი მეორის მიერ ნაკურთხი აფხაზი და რუსი ეროვნების მღვდლები მოღვაწეობენ. მართალია, ამის შესახებ საპროტესტო წერილებით საქართველოს საპატრიარქომ როგორც რუსეთის, ისე მსოფლიო მართლმადიდებლური ეკლესიის პატრიარქსაც არაერთხელ მიმართა, მაგრამ ამ მხრივ სიტუაცია აფხაზეთში კვლავაც უცვლელია. ადგილობრივი ეკლესიის მსახურნი კი თავს იმით იმართლებენ, რომ ქართველმა ღვთისმსახურებმა ომის დროს "უკანმოუხედავად მიატოვეს" სამწყსო და მას შემდეგ თავიანთი მრევლისთვის ხმაც არ მიუწვდენიათ. ეპარქია "უპატრონოდ" რომ არ "დაეგდოთ", ხელმძღვანელის როლი მღვდელმა ბესარიონ ფილიამ (მან გვარი აფლიად გადაიკეთა) იტვირთა. ის 1989 წელს დიაკვნად უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ, ხოლო მღვდლად - 1990 წელს ცხუმ-აფხაზეთის ეპისკოპოსმა, მიტროპოლიტმა დავით ჭკადუამ აკურთხა. მამა ბესარიონი ომამდე სოხუმის საკათედრო ტაძარში მსახურობდა, ომის დროს კი, ჯვრის ნაცვლად, ავტომატით ხელში წინა ხაზზე იბრძოდა.



მიძინების ტაძარი დრანდაში.

რუსული პრესა საკმაოდ ხშირად ინტერესდება აფხაზ ღვთისმსახურთა საქმიანობით და მათთან ინტერვიუსაც წელიწადში რამდენჯერმე ბეჭდავს. ერთ-ერთ საგაზეთო მასალაში მამა ბესარიონი აღიარებს, რომ ვინაიდან ის აფხაზეთში საქართველოს კათალიკოს-პატრიარქთან შეუთანხმებლად მოქმედებდა, მართლმადიდებლური კანონების თანახმად, მისთვის ღვთისმსახურების აკრძალვა შეიძლებოდა.

"მაგრამ, რადგან უწმინდესმა და უნეტარესმა ეკლესიიდან არ განმკვეთა, სჩანს, კვლავაც ვუყვარვარ და ესმის, რომ კონფლიქტის პირობებში სხვანაირად ვერ მოვიქცეოდი," - ამბობს ბესარიონ ფილია.

მეორე აფხაზი სასულიერო პირი, ვისაც რუსული პრესა ძალიან სწყალობს, ბერ-დიაკონი დავით სარსანიაა. ის 1994-1998 წლებში მოსკოვის სასულიერო სემინარიაში სწავლობდა, 1998-2002 წლებში - სასულიერო აკადემიაში. ამჟამად ამ აკადემიის ასპირანტია. 22 წლის დავით სარსანია 2000 წელს გარეჯის მონასტერში ბერად უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ აკურთხა. რამდენიმე თვის განმავლობაში ის საქართველოს საპატრიარქოში ცხოვრობდა და თავისი სამეცნიერო შრომისთვის მასალებს თბილისის საჯარო ბიბლიოთეკაში ეძებდა. სწორედ იქ შეხვდა მას შემთხვევით ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი თამარ ქორიძე.

"კატალოგში დავით აღმაშენებლის საეკლესიო პოლიტიკის შესახებ ლიტერატურას კითხულობდა. როცა გაიგო, აფხაზეთის საკათალიკოსოზე ვმუშაობდი, მითხრა, რომ აფხაზმა დიმიტრი დბარმა ზაგორსკში იგივე თემაზე მეცნიერული ნაშრომი გააკეთა. დავითს ვკითხე, დბარმა იცოდა თუ არა ქართული ენა, რაზეც უარყოფითი პასუხი მივიღე. გამიკვირდა, რადგან არ შეიძლება აფხაზეთის საკათალიკოსოს ისტორიაზე რამე დაწეროს ადამიანმა, რომელმაც ქართული არ იცის. ამ საკითხის შესახებ ისტორიული წყაროები ხომ მხოლოდ ქართულ ენაზე არსებობს? როცა სარსანიას ეს ვუთხარი, მან ვერაფერი მიპასუხა...

შემდეგაც ხშირად მხვდებოდა ბიბლიოთეკაში, მეკითხებოდა საკათალიკოსოს ისტორიის შესახებ, მაგრამ ჩემს ნათქვამს თავისებურ ინტერპრეტაციას აძლევდა და განსხვავებული დასკვნები გამოჰქონდა. ამ საკითხთან დაკავშირებით მას დაუსაბუთებელი და არასწორი მოსაზრებები გააჩნდა, რის გამოც ჩვენი საუბარი ყოველთვის უსიამოვნო კამათით სრულდებოდა," - გვითხრა თამარ ქორიძემ.

რაც შეეხება მართლმადიდებლობის მხრივ აფხაზეთში არსებულ სიტუაციას, დავით სარსანია წერს, რომ ქრისტიანობა დღეს აღორძინების გზაზე დგას. ის, რომ აფხაზმა ახალგაზრდებმა აქტიურად დაიწყეს ეკლესიებში სიარული და წირვა-ლოცვასაც ხშირად ესწრებიან, აფხაზ ღვთისმსახურებს ძალიან ახარებთ. ამავდროულად, იმედს უსახავთ, რომ "მათ აქვთ შანსი, მოიაზრებოდნენ ისეთი დიდი ქრისტიანული ხალხების გვერდით, როგორებიც არიან ბერძნები, სერბები, ქართველები, ბულგარელები და სხვ."

პარადოქსია, რომ ამ იმედზე საუბრობენ 21-ე საუკუნეში იმ მიწაზე, სადაც ქრისტიანობა ოდითგან წამყვან რელიგიად ითვლებოდა, ხოლო მფარველობას რუსეთის ეპარქიას სთხოვენ მაშინ, როცა აფხაზეთის საკათალიკოსო დასაბამიდან ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის ნაწილი იყო, თავისი ღვთისმსახურების ენით, პოლიტიკური კურსით, არქიტექტურითა თუ ტრადიციით.

დღეს აფხაზეთში თერთმეტი ეკლესია და ორი მონასტერი მოქმედებს.

ესენია:
- სოხუმის საკათედრო ტაძარი,
- ღვთისმშობლის სახელობის ტაძარი გუდაუთაში,
- ღვთისმშობლის სახელობის ტაძარი გაგრაში,
- ტაძარი-სამლოცველო ბიჭვინთაში,
- სვიმონ კანანელის სახელობის მონასტერი ახალ ათონში,
- იაშთუხის ეკლესია,
- ილია წინასწარმეტყველის ტაძარი აგუძერაში,
- მიძინების ტაძარი დრანდაში,
- ილორის წმინდა გიორგის ტაძარი,
- წმინდა გიორგის ტაძარი ჭუბურხინჯში,
- წმინდა იოანე ოქროპირის მონასტერი და ვასილისკ წამებულის ტაძარი კომანში.

როგორც ბოლოდროინდელი ინფორმაციებით ცნობილია, აფხაზი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი მართლმადიდებლურ ეკლესიებში ინათლება, მაგრამ დიდი ქრისტიანული დღესასწაულების დროსაც კი ტაძრებში წირვა-ლოცვაზე ძალიან ცოტა ხალხი დადის. მაგალითად, 1997 წლის 28 აგვისტოს, წმინდა მარიამობის დღეს ლიხნის ღვთისმშობლის მიძინების ტაძარში ოცდაათამდე ადამიანმა მოიყარა თავი.

**P.S.** ამ მასალის ავტორი 2002 წლის მარიამობას სოხუმში შეხვდა. იქ ამ დღესასწაულს, ისევე როგორც სამეგრელოში, "მარაშნას" ეძახიან. "მარაშნისთვის" აფხაზები დიდი ენთუზიაზმით ემზადებოდნენ და სადღესასწაულო სუფრის გაშლაც არ დაზარებიათ, მაგრამ ღვთისმსახურება არავის გახსენებია და წირვაზე დასასწრებადაც არავინ წასულა. ეკლესიის ნაცვლად თავიანთი ახლობლების საფლავებს მიაშურეს, სადაც ხილი მიიტანეს და სანთლები დაანთეს. როცა აფხაზ ნათესავებს ვკითხე, თუ იცით, რა დღეს აღნიშნავთ-მეთქი, - უბრალოდ, ქრისტიანული დღესასწაულიაო, - მიპასუხეს. მათგან შევიტყვე, რომ სოხუმის მკვიდრ აფხაზთაგან ცოტა ვინმემ თუ იცოდა "მარაშნას" მნიშვნელობა. იმავე დღეს საშუალება მქონდა, ოჩამჩირის რაიონის სოფელ ტამიშშიც დავსწრებოდი ღვთისმშობლის ხსენების დღესასწაულს, რომელიც ადგილობრივებმა ასევე საკუთარ ოჯახში საზეიმო სუფრასთან თაფლის სანთლების ანთებით აღნიშნეს.

# საპრეზიდენტო პროგრამა

## დევნილების დაბრუნების დასაწყისი აფხაზეთში

*საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების თანახმად, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ საპრეზიდენტო პროგრამა "ჩემი სახლის" მოსამზადებელი სამუშაოები დაიწყო. ამ მიზნით, სასტუმრო "თბილისი-მარიოტში" გაიმართა საინფორმაციო ბრიფინგი, რომელზეც მედიის წარმომადგენლებს დეტალური ინფორმაცია მიეწოდა აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში უძრავი ქონების აღრიცხვასთან დაკავშირებული პროცედურების თაობაზე.*

ლელა მარგიანი

საქართველოს ტერიტორიაზე საპრეზიდენტო პროგრამა "ჩემი სახლი" ცხრა აპრილიდან ამოქმედდება. პროგრამის განხორციელების აუცილებლობა დღის წესრიგში დადგა მას შემდეგ, რაც პარლამენტის "ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის დროებითი კომისიის" თავმჯდომარემ შოთა მალაშხიამ, ინიციატივით მიმართა საქართველოს პარლამენტს, რათა შექმნილიყო სახელმწიფო კომისია, რომელიც აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებში მიმდინარე საომარი მოქმედებების დროს საქართველოსთვის მიყენებულ ზარალს დაადგენდა და რუსეთისათვის მისი ანაზღაურების მოთხოვნით, საერთაშორისო სასამართლოს მიმართავდა.

პროგრამის ფარგლებში, აფხაზეთიდან და ცხინვალიდან დევნილ მოსახლეობას (ქართველებსაც და არაქართველებსაც) საშუალება ექნება, კანონიერი უფლება მიიღოს იმ ქონებაზე, რომელიც, გასული საუკუნის 90-იან წლებში მიმდინარე ცნობილი მოვლენების დროს, მათ ძალით დაატოვებინეს.

პროექტის განხორციელების საინფორმაციო უზრუნველყოფისთვის უკვე გამოიცა საინფორმაციო გზამკვლევი, რომელიც საზოგადოებას გააცნობს, თუ რა დეტალური ინფორმაცია იქნება კონფლიქტურ რეგიონებში დატოვებული უძრავი ქონებისა და მის საკუთრებაზე მოთხოვნის უფლების შესახებ.

ბრიფინგზე აღინიშნა, რომ დევნილმა უნდა მიმართოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს ცენტრალურ და რეგიონულ სამსახურებს, სადაც იგი მიიღებს უძრავი ქონების აღრიცხვის დეკლარაციებს. ამის შემდგომ, დევნილმა ან დეკლარაციის შემვსებმა პირმა უნდა წარმოადგინოს ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთი დოკუმენტი მაინც: ბინის ორდერი, ანდერძი, ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება, საბინაო წიგნიდან ამონაწერი, სოფლის საკომლო წიგნიდან ამონაწერი, მიწის ნაკვეთის საინვენტარიზაციო გეგმა, არქიტექტურული პროექტი, სასამართლოს გადაწყვეტილება, სხვა დოკუმენტი.

როგორც აფხაზეთის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ ვახტანგ თორდიამ განაცხადა, აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის მხოლოდ 20 პროცენტს გააჩნია აღნიშნული დოკუმენტაცია. დანარჩენს, როგორც წესი, გასაგებ მიზეზთა გამო, დოკუმენტაცია არა აქვს.

**"ამიტომ ასეთმა პიროვნებამ უნდა მიმართოს აფხაზეთის სასამართლოს, რომელიც დისლოცირებულია თბილისში, ქუთაისში, სენაკსა და ზუგდიდში. ეს ოთხი რეგიონალური სასამართლო მოიცავს მთელ საქართველოს. სწორედ ამ სასამართლოებში უნდა შეიტანონ დევნილებმა განაცხადი, რათა სასამართლომ დაადასტუროს იურიდიული ფაქტი დევნილის მიერ დეკლარირებულ საცხოვრებელ ბინაზე ან სახლზე,"** - აღნიშნა თორდიამ.

ამის შემდეგ დევნილი, რომელიც სრულად შეასრულებს კანონით გათვალისწინებულ ყველა მოთხოვნას, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსგან მიიღებს მის მიერ დეკლარირებული, მიწის და მასზე განთავსებულ ქონებაზე საკუთრების მოთხოვნის უფლების დამადასტურებელ "სარეგისტრაციო მოწმობას", რომლის საფუძველზეც იგი შემდგომაში დაარეგისტრირებს საკუთარ ქონებას საჯარო რეესტრში.

ბრიფინგზე ლტოლვილთა და განსახლების მინისტრმა საგანგებოდ აღნიშნა, რომ საპრეზიდენტო პროგრამის - "ჩემი სახლი" - ფარგლებში დევნილთა მომსახურება ყველა საფეხურზე უფასოა. მას უზრუნველყოფს სამინისტრო.

რაც შეეხება საქართველოს ფარგლებს გარეთ მცხოვრებ დევნილებს, მათ, მიუხედავად იმისა, მიღებული აქვთ თუ არა სხვა ქვეყნის მოქალაქეობა, აფხაზეთში დატოვებულ ქონებაზე საკუთრების უფლება აქვთ. ამისთვის, საზღვარგარეთ მცხოვრები პირები დეკლარაციის ფორმებს მიიღებენ საქართველოს საკონსულოებსა და საელჩოებში.

**"პროექტი იქნება დასაწყისი აფხაზეთში დაბრუნებისა. ჩვენ არ გვინდა, საომარი სიტუაცია შეიქმნას აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში. ჩვენ ღიად ვაცხადებთ, რომ ეს არის სამშვიდობო პროცესის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი. საპრეზიდენტო პროგრამის განხორციელება ნიშნავს, რომ იურიდიულად მოხდება ჩვენი ქონების აღიარება, ეს არის საერთაშორისო სამართლით აღიარებული ნორმები. ჩვენ არ ვუშლით აფხაზებს, რომ მონაწილეობა მიიღონ ამ პროცესში. პირიქით, თუკი აფხაზებს სურვილი ექნებათ, რომ საკუთარი ქონება საერთაშორისო სამართლით აღიარებული პროცედურით გაამყარონ, მათ შეუძლიათ შექმნან ასეთი დოკუმენტები. ჩვენ უკვე მოგვმართეს აფხაზეთიდნ დევნილმა რუსებმა, ბერძნებმა და სხვა ეროვნების პირებმა. რა თქმა უნდა, ისინიც ჩვენი მოქალაქეები არიან და იქ დატოვებულ ქონებაზე მათაც სამართლიანად აქვთ პრეტენზია. პროექტი, პირველ ყოვლისა, მოიცავს გალის, ცხინვალისა და გაგრის მოსახლეობას. გაგრა, პირველ რიგში, იმიტომ ავიღეთ, რომ იქ ინტენსიურად ხდება ჩვენი ჩრდილოელი მეზობლის მიერ საქართველოს საკუთრებაში არსებული ქონების - დაწესებულებების, სანატორიუმების, სასტუმროების შენობების უკანონო შეძენა, იქ ინტენსიურად არის დაწყებული ჩვენი ქონების დაკანონება რუსეთის მიერ. ფაქტია, რომ ამ ქონებაზე ჩვენს სახელმწიფოს აქვს სამართლიანი პრეტენზიები. მოსკოვის მერმა ლუჟკოვმა დაადასტურა, რომ მას აფხაზეთში არა აქვს ქონება. ეს ძალიან კარგია, რადგან ფაქტია, რომ უკანონოდ შეძენილ ქონებაში გადახდილი ფული ქარს გატანებული და დაკარგულია,"** - განაცხადა ხევიაშვილმა.

როგორც სპეციალურ ბრიფინგზე აღინიშნა, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში უძრავი ქონების აღწერის პროცესში გამოყენებული იქნება თანამგზავრული ფოტოგადაღებები. ამ მიზნით, კოსმოსური დანადგარების ცენტრმა უკვე დაიწყო თანამგზავრული ფოტო-გადაღებების წარმოება. უკვე მოხდა პირველი თანამგზავრული ფოტოგადაღება აფხაზეთის ტერიტორიაზე. გადაღებები სამ დღეში ერთხელ ჩატარდება.

**"პროგრამის ფარგლებში ჩვენ ვასრულებთ ინტენსიურ სამუშაოებს აფხაზეთის ტერიტორიაზე. მაღალტექნოლოგიური, ბოლო თაობის თანამგზავრის საშუალებით ოპტიკურ და ინფრაწითელ დიაპაზონში ვაწარმოებთ აფხაზეთის ტერიტორიის გადაღებას. ამიტომ სიზუსტე ისეთია, რომ შეიძლება ერთი მეტრის დიამეტრის საგნების დაზუსტებული გარჩევა. შერჩეულ თანამგზავრს აქვს გარჩევის მაღალი ხარისხი. ამავე დროს, მარტის თვე მიჩნეულია გადაღებებისთვის ხელსაყრელ პერიოდად, რადგან ჯერ კიდევ არაა დაფოთლილი ხეები და ჰაერიც გამჭვირვალეა, განსაკუთრებით დილის საათებში. მინდა აღვნიშნო, რომ პროგრამა არის სრულიად ჰუმანური მიზნების და ქვეყნის მთლიანობის აღდგენისკენ მიმართული სამშვიდობო ღონისძიება,"** - განაცხადა კოსმოსური დანადგარების ცენტრის ხელმძღვანელმა, ბატონმა ელგუჯა მეძმარიაშვილმა.

ბრიფინგის დასასრულს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრმა აღნიშნა, რომ პროგრამის ფარგლებში მიღებული ინფორმაცია იმ იურიდიულ კომპანიებს გადაეცემა, რომლებიც საერთაშორისო სასამართლოში რუსეთის წინააღმდეგ საქართველოს ინტერესებს დაიცავენ.

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**1.** ქ. ბათუმის საქალაქო მეურნეობის ადგილობრივი სამსახური (ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25) აცხადებს ტენდერს ქ. ბათუმში თამარის გამზირის მონაკვეთზე (დივიზიონის დასახლების ხიდიდან ბარცხანის ხიდამდე) გზის გამყოფი ზოლის მოწყობის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

**2.** მიწოდების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან **2006 წლის 1 ივლისამდე პერიოდი.**

**3. დაინტერესებულმა პირებმა განცხადება (დალუქვის გარეშე), საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება, ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, დალუქული პაკეტებით უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 18 აპრილიდან 2006 წლის 19 აპრილის 16 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25. (ქ. ბათუმის საქალაქო მეურნეობის ადგილობრივი სამსახური).**

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**4.1 იურიდიული პირისათვის:**

ა) ცნობას, რომ არ მიმდინარეობს ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის რეორგანიზაცია (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საგადასახადოდან), ხოლო ლიკვიდაცია, გაკოტრებისა და სანაციის საქმისწარმოება რომ არ მიმდინარეობს (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს სასამართლოდან);

ბ) ცნობას შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ. (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას საჯარო რეესტრის სააგენტოს ადგილობრივი ორგანოს მიერ);

გ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ.

დ) ცნობას საქართველოს შსს-ს საინფორმაციო ცენტრიდან რომ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ხელმძღვანელი მუშაკები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულები და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

**4.2. ფიზიკური პირისათვის:**

ა) ცნობას, შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია.

ბ) ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს რაიონული სასამართლოდან).

გ) ცნობას საქართველოს შსს-ს საინფორმაციო ცენტრიდან რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმატიზაციის სამმართველოდან);

**4.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ.

გ) ცნობა შესაბამისი საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტისადმი დავალიანების არქონის შესახებ;

დ) ინფორმაცია ანალოგიური სამუშაოების წარმოების გამოცდილების შესახებ (სამუშაოების მითითებით, რომელიც შესრულებული იქნა მონაწილეობის მსურველი პირის მიერ);

ე) ინფორმაცია შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ (აუდიტორული დასკვნა).

**5.** სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება 2006 წლის 18 აპრილის 16 საათამდე ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის (ქ. ბათუმის საფინანსო სამსახურის სპეციალური ანგარიში N000142402, საქართველოს ეროვნული ბანკის ბათუმის ფილიალის კოდი 220501102, საინ. კოდი 245428531, დანიშნულება სატენდერო მოსაკრებელი) გადახდის შემდეგ, შეეძლებათ მისამართზე: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25.

**6**. პრეტენდენტებს უფლება აქვთ წარმოადგინონ ერთი სატენდერო წინადადება, ტენდერში გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

**7.** დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან - მანუჩარ მეგრელიშვილი ტ. 7-66-40, **ელ. ფოსტა e-mail:tender-batumi@mail.ru** მისამართზე: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25.

**სატენდერო კომისია**

# საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო

## სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის ჩატარების შესახებ

**I ობიექტი - წალკის რაიონში, მდ. ბეიუკ-ჩაის ჭალის მარცხენა და მარჯვენა ტერასებზე ქვიშა-ხრეშის მოპოვება**

| | |
|---|---|
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო |
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 2 011 ლარი<br>„ბე“ შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს<br>402 ლარი |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ქვიშა-ხრეშის ჯამური მოცულობა | 15 000 მ³ |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |

**II** ობიექტი – ბოლნისის რაიონში, მდ. მაშავერასა და ფოლადაურის შესართავთან სოფ. რაჭისუბნის მიმდებარე ტერიტორიაზე ქვიშა-ხრეშის მოპოვება

| | |
|---|---|
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 8 975 ლარი<br>„ბე“ შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს<br>1 795 ლარი |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ქვიშა-ხრეშის ჯამური მოცულობა | 80 000 მ³ |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 8 წელი |

**III** ობიექტი – ოზურგეთის რაიონში, სოფ. მერიადან სამხრეთ-დასავლეთით მდ. ნატანების მარცხენა ნაპირზე მერია **II** ქვიშა-ხრეშის მოპოვება

| | |
|---|---|
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 6 704 ლარი<br>„ბე“ შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს<br>1 341 ლარი |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ქვიშა-ხრეშის ჯამური მოცულობა | 50 000 მ³ |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |

**IV** ობიექტი – დმანისის რაიონში, სოფ.ველისპირიდან ჩრდილო-დასავლეთით 0,5 კმ-ში ვულკანური წიდის მოპოვება

| | |
|---|---|
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 3 513 ლარი<br>„ბე“ შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს<br>703 ლარი |
| ლიცენზიიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ვულკანური წიდის ჯამური მოცულობა | 10 000 მ³ |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 10 წელი |

**V** ობიექტი – კასპის რაიონში, სოფ. ალაიანიდან ჩრდილოეთით 1,5 კილომეტრში მდ. ქსნის მარჯვენა ნაპირზე ქვიშა-ხრეშის მოპოვება

| | |
|---|---|
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 50 188 ლარი<br>„ბე“ შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს<br>10 037 ლარი |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ქვიშა-ხრეშის ჯამური მოცულობა | 500 000 მ³ |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 10 წელი |

**VI** ობიექტი – თერჯოლის რაიონში, სოფ. კვახჭირის ტერიტორიაზე მდ. ყვირილას მარჯვენა ნაპირზე ქვიშა-ხრეშის მოპოვება

| | |
|---|---|
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 30 113 ლარი<br>„ბე“ შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს<br>6 022 ლარი |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ქვიშა-ხრეშის ჯამური მოცულობა | 300 000 მ³ |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 10 წელი |

**VII** ობიექტი – დმანისის რაიონში, კამარლოს ვულკანური ხრეშისა და ქვიშის მოპოვება

| | |
|---|---|
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 1 506 ლარი<br>„ბე“ შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს<br>301 ლარი |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ქვიშა-ხრეშის ჯამური მოცულობა | 15 000 მ³ |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 10 წელი |

**VIII** ობიექტი – დუშეთის რაიონში, მდ. არაგვის მარცხენა ჭალის ტერასაზე, ფასანაურის ქვიშა-ხრეშის საბადოს ჭართალი **II** უბანზე ქვიშა-ხრეშის მოპოვება

| | |
|---|---|
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 8 763 ლარი<br>„ბე“ შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს<br>1 753 ლარი |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ქვიშა-ხრეშის ჯამური მოცულობა | 140 000 მ³ |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 20 წელი |

**IX** ობიექტი – ახალციხის რაიონში, სოფ. წყალთბილადან სამხრეთ-დასავლეთით 5 კმ-ში ბაზალტის ქვის მოპოვება

| | |
|---|---|
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 31 965 ლარი<br>„ბე“ შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს<br>6 393 ლარი |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ბაზალტის ქვის ჯამური მოცულობა | 60 000 მ³ |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 3 წელი |

**X** ობიექტი – ბორჯომის რაიონში, სოფ. ტიმოთესუბნის ტერიტორიაზე მდ. გუჯარეთის წყლის მარჯვენა ნაპირზე ქვიშა-ხრეშის მოპოვება

| | |
|---|---|
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 3 352 ლარი<br>„ბე“ შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს<br>670ლარი |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ქვიშა-ხრეშის ჯამური მოცულობა | 25 000 მ³ |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |

**XI** ობიექტი – მცხეთის რაიონში, ძეგვის საბადოს უკანაჭალის **II** უბნის ჩრდილოეთ ნაწილზე ქვიშა-ხრეშის მოპოვება

| | |
|---|---|
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 6 704 ლარი<br>„ბე“ შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს<br>1 341 ლარი |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ქვიშა-ხრეშის მოცულობა | 50 000 მ³ |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |

**XII** ობიექტი – წალენჯიხის რაიონში, ხუდონის თაბაშირის საბადოზე თაბაშირის მოპოვება

| | |
|---|---|
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 11 733 ლარი<br>„ბე“ შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს<br>2 347 ლარი |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი თაბაშირის ჯამური მოცულობა | 25 000 ტ. |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |

**XIII** ობიექტი – თელავის რაიონის სოფ. ვარდისუბნის ტერიტორიაზე თურდოს ხევის ქვიშა-ხრეშის საბადოს მერეს უბანზე ქვიშა-ხრეშის მოპოვება

| | |
|---|---|
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 3 011 ლარი<br>„ბე“ შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს<br>602 ლარი |
| ლიცენზიიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ქვიშა-ხრეშის ჯამური მოცულობა | 30 000 მ³ |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 10 წელი |

**XIV** ობიექტი – თელავის რაიონის სოფ. ვარდისუბანში მდ. „შუშანას ხევის“ მარჯვენა სანაპიროზე ქვიშა-ხრეშის მოპოვება

| | |
|---|---|
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 8 565 ლარი<br>„ბე“ შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს<br>1 713 ლარი |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ქვიშა-ხრეშის ჯამური მოცულობა | 60 000 მ³ |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 4 წელი |

**XV** ობიექტი – ზუგდიდის რაიონში, სოფ. დარჩელის ტერიტორიაზე მდ. ენგურის მარცხენა სანაპიროზე ქვიშა-ხრეშის მოპოვება

| | |
|---|---|
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 1 878 ლარი<br>„ბე“ შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს<br>376 ლარი |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ქვიშა-ხრეშის მოცულობა | 30 000 მ³ |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 20 წელი |

**XVI** ობიექტი – ზუგდიდის რაიონში, სოფ. კოკის ტერიტორიაზე მდ. ენგურის მარცხენა სანაპიროზე ქვიშა-ხრეშის მოპოვება

| | |
|---|---|
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 1 001 ლარი<br>„ბე“ შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს<br>200 ლარი |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ქვიშა-ხრეშის მოცულობა | 16 000 მ³ |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 20 წელი |

**XVII** ობიექტი – ონის რაიონში, სოფ. ირის მიდამოებში, ყოფილი გამამდიდრებელი ფაბრიკის ტერიტორიაზე ბარიტის ნარჩენების მოპოვება

| | |
|---|---|
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 601 ლარი<br>„ბე“ შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს<br>120 ლარი |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ბარიტის ნარჩენების ჯამური მოცულობა | 9 600 ტ. |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 20 წელი |

**XVIII** ობიექტი – მარნეულის რაიონში, სოფ. ახალი ლალალოს მიმდებარე ტერიტორიაზე დებედას საბადოს დამიაგიაურარხის ქვიშა-ხრეშის (ბალასტის) მოპოვება

| | |
|---|---|
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 2 174 ლარი<br>„ბე“ შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს<br>435 ლარი |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ქვიშა-ხრეშის (ბალასტის) ჯამური მოცულობა | 12 500 მ³ |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 1 წელი |

**XIX** ობიექტი – ახალციხის და ადიგენის რაიონში, მდინარე ფოცხოვის მარცხენა ჭალის ტერასაზე ფარეხას ქვიშა-ხრეშის მოპოვება

| | |
|---|---|
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 4 566 ლარი<br>„ბე“ შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს<br>913 ლარი |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ქვიშა-ხრეშის ჯამური მოცულობა | 30 000 მ³ |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 3 წელი |

**XX** ობიექტი – საჩხერის რაიონში, სოფ. პერევში ცეცხლგამძლე (კერამიკული) თიხის მოპოვება

| | |
|---|---|
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 1 004 ლარი<br>„ბე“ შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს<br>201 ლარი |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ცეცხლგამძლე (კერამიკული) თიხის ჯამური მოცულობა | 2 000 ტ |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 10 წელი |

**XXI** ობიექტი – საჩხერის რაიონში, სოფ. კორბოულის მიდამოებში კვარცმინდვრისშპატიანი ქვიშების მოპოვება

| | |
|---|---|
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 3 653 ლარი<br>„ბე“ შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს<br>731 ლარი |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი კვარცმინდვრისშპატიანი ქვიშების ჯამური მოცულობა | 24 000 მ³ |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 3 წელი |

**XXII** ობიექტი – გარდაბნის რაიონში, სოფ. გაჩიანის საკრებულოს ტერიტორიაზე მდ. მტკვრის მარცხენა ჭალის ტერასაზე ქვიშა-ხრეშის მოპოვება

| | |
|---|---|
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 7 511 ლარი<br>„ბე“ შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს<br>1502 ლარი |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ქვიშა-ხრეშის ჯამური მოცულობა | 120 000 მ³ |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 20 წელი |

**XXIII** ობიექტი – ხობის რაიონში, მდ. ხობისწყლის სანაპიროზე ბიის საბადოს **I** და **II** უბანზე ქვიშა-ხრეშის მოპოვება

| | |
|---|---|
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 10 840 ლარი<br>„ბე“ შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს<br>2 168 ლარი |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ქვიშა-ხრეშის ჯამური მოცულობა | 108 000 მ³ |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 10 წელი |

**XXIV** ობიექტი – ხობის რაიონში, მდ. ხობისწყლის სანაპიროზე ჩიხუს საბადოზე ქვიშა-ხრეშის მოპოვება

| | |
|---|---|
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 6 424 ლარი<br>„ბე“ შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს<br>1285 ლარი |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ქვიშა-ხრეშის ჯამური მოცულობა | 64 000 მ³ |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 10 წელი |

**XXV** ობიექტი – სამტრედიის რაიონში, სოფელ იანეთის ტერიტორიაზე მდ. გუბისწყლის კალაპოტის გასწორხაზოვნების მიზნით ქვიშა-ხრეის მოპოვება

| | |
|---|---|
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ქვიშა-ხრეშის მოცულობა | 10 000 მ³ |
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 1 626 ლარი<br>„ბე“ შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს<br>325 ლარი |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 2 წელი |

**XXVI** ობიექტი – თერჯოლის რაიონში, სოფ. გოგნის ტერიტორიაზე საცემენტე კირქვის მოპოვება

| | |
|---|---|
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი საცემენტე კირქვი მოცულობა | 20 000 ტ |
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 1 405 ლარი<br>„ბე“ შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს<br>281 ლარი |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 10 წელი |

**XXVII** ობიექტი – ოზურგეთის რაიონში, სოფ. მაკვანეთის ტერიტორიაზე კაოლინის მოპოვება

| | |
|---|---|
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი კაოლინის მოცულობა | 20 000 ტ |
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 40 150 ლარი<br>„ბე“ შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს<br>8 030 ლარი |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 10 წელი |

| | |
|---|---|
| სალიცენზიო მოსაკრებელი | ლიცენზიის მაძიებელი პირი ვალდებულია გადაიხადოს სალიცენზიო მოსაკრებელი წინასწარ და მისი გადახდის დამადასტურებელი საბუთი დაურთოს აუქციონში მონაწილეობის მისაღებად წარმოდგენილ განცხადებას. მოსაკრებელი შეადგენს 900 ლარს, ანგარიშის ნომერი: 200122900, მიმღების ბანკი: საქართველოს ეროვნული ბანკის კოდი: 220101107, სახაზინო კოდი: 300033022 |
| აუქციონის ჩატარების ადგილი | საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო, გულუას ქ.№6 ტელ. 275760<br>აუქციონში მონაწილეობაზე განცხადებების მიღება მოხდება ა/წ 29 მარტიდან 12 აპრილის ჩათვლით. აუქციონი ჩატარდება ა/წ 28 აპრილს 11 საათიდან საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს შენობაში. |
| დოკუმენტაციასთან და მოსაკრებლის ქვითართან ერთად წარმოადგინოს „ბე“-ს შემოტანის ქვითარი | „ბე“-ს გადახდის ანგარიში:<br>მიმღები: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (ცენტრალიზებული შემოსულობები) ანგარიშის ნომერი: 200122900, მიმღების ბანკი: საქართველოს ეროვნული ბანკის კოდი: 220101107, სახაზინო კოდი: 302003000 |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მისაღებად წარსადგენი დოკუმენტაცია | განცხადება, აუქციონში მონაწილეობის თაობაზე.<br>ა)კერძო სამართლის იურიდიული პირისა და ინდ. მეწარმისათვის – სახელმწიფო რეესტრიდან ამონაწერი;<br>ბ)ფიზიკური პირისათვის იდენტიფიკაციისათვის დამადასტურებელი კანონმდებლობით დადგენილი საბუთების ასლები<br>გ)საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის – სადამფუძნებლო საბუთების დამოწმებული ასლები.<br>დ)სალიცენზიო მოსაკრებლის გადახდის ქვითარი.<br>ე)„ბე“-ს შემოტანის დამადასტურებელი საბუთი. |
| თანხის გადახდის პირობები | აუქციონში გამარჯვებული პირის მიერ აუქციონზე დაფიქსირებულ საბოლოო თანხის გადახდის მაქსიმალური ვადაა ოქმის გაფორმებიდან 10 დღე. მოცემულ დროის მონაკვეთში თანხის სრულად გადაუხდელობის შემთხვევაში, გამარჯვებულს ერთმევა გამარჯვებულის სტატუსი და მასზე ვრცელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა. |
| სალიცენზიო პირობები | წიაღით, როგორც ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით, მათ შორის „გარემოს დაცვის შესახებ“, „წიაღის შესახებ“ და „წყლის შესახებ“ საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები. |
| აუქციონზე „ბიჯის“ სიდიდე შეადგენს საწყისი ფასის 10 პროცენტს | |
| გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმები | გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს. |

# საქართველო "ევროვიზია-2006"-ში არ მონაწილეობს

საერთაშორისო მუსიკალურ კონკურსში "ევროვიზია 2006", რომელიც მიმდინარე წლის მაისში ათენში გაიმართება, საქართველოს წარმომადგენელი არ მონაწილეობს. კომპანია "ევროვიზია-საქართველოს" დირექტორის ვანო თარხნიშვილის განცხადებით, მიზეზი ფინანსების უქონლობა გახდა. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საქართველომ თითქმის 50 ათასი ევრო უნდა გადაიხადოს.

"საჭიროა ასევე გარანტიები, რომ კონკურსისთვის მომზადების ფარგლებში, სულ ცოტა, 500 ათასი ევრო დაიხარჯება. ეს თანხა იმით განისაზღვრება, რომ აუცილებელია სიმღერის შეკვეთა, რომელიც კონკურსის სტანდარტებს შეესაბამება, მასზე კლიპის გადაღება, მინიალბომის ჩაწერა, საკონცერტო ტურების დროს ჰიტის წარდგენა და შემდეგ კონკურსზე მისი ღირსეულად გატანა", - განაცხადა თარხნიშვილმა. მისივე თქმით, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყოფა სახსრები საერთაშორისო კონკურსში მხოლოდ საწევრო შენატანისთვის. 500 ათასი ევროს შესაგროვებლად კომპანიის წარმომადგენლები სპონსორს ეძებდნენ და მოლაპარაკებას აწარმოებდნენ რამდენიმე კომპანიასთან, მაგრამ შეთანხმების მიღწევა ვერ მოხერხდა.

"ევროვიზია 2006"-ში წელს 37 ქვეყნის წარმომადგენელი მონაწილეობს. კონკურსის გახსნის პატივი სომხეთის წარმომადგენელს, ესტრადის მომღერალ ანდრეს ერგო.

გამაჯანსაღებელი ცენტრი

ნაუტილუსი



გთავაზობთ:

- ■ აღმოსავლური მედიცინის ცენტრი
- ■ სარეაბილიტაციო-რელაქსაციური SPA ცენტრი
- ■ მარადიული ახალგაზრდობის სამყარო "კედრის სახლი"
- ■ წონაში კლების ახალი უნიკალური პროგრამა

- ■ "STARMASTER"-ის და "NAUTILUS"-ის უახლესი თაობის ტრენაჟორებით აღჭურვილი ფიტნეს კლუბი
- ■ ულტრათანამედროვე რეაბილიტაცია და SPA ცენტრი
- ■ ულტრათანამედროვე გერმანული სამკურნალო აბაზანები და ტალახები, SPA კაფსულა
- ■ უახლესი გერმანული ვერტიკალური და ჰორიზონტალური სოლარიუმები

**მისამართი:** ი.ჭავჭავაძის 78
**ტელ:** 22 56 26
23 56 26
E-mail: info@nautilus.ge
reception@nautilus.ge







**სიახლე გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსში"**

გაიხსნა აღმოსავლური მედიცინის ცენტრი, სადაც მომსახურებას გაგიწევენ უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები: საერთაშორისო სუ ჯოკ აკადემიის მასწავლებელი **სიმონ გორელაშვილი, ანდრო სამხთუაშვილი, ლალი მუხიაშვილი** და სხვ.

მკურნალობა ტარდება შემდეგი მეთოდებით:

ჩინური მედიცინა, სუ ჯოკ თერაპია, ტვისტ თერაპია, ელექტროპუნქტურა, ლაზეროპუნქტურა, მანუალური თერაპია და სხვა.

გნებავთ განთავისუფლდეთ შემდეგი პრობლემებისაგან:

ნევროზი; უნებლიე შარდვა; ნევრიტები და ნევრალგიები; რადიკულიტი; დისკოზი; მხედველობის, სმენის, ყნოსვის, გემოვნების, დაქვეითება; რეინოს დაავადება; ბრონქიტი, ბრონქიალური ასთმა; კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებები; დიფუზური და კვანძოვანი ჩიყვი; საკვერცხეების ცისტა, მენსტრუალური ციკლის დარღვევა, ძვალსახსროვანი სისტემის ტრავმული დაზიანებები, თმის ცვენა და სხვა.

მობრძანდით აღმოსავლური მედიცინის ცენტრ "ნაუტილუსში"!

**მის.: ი. ჭავჭავაძის გამზ. N78**
**ტელ.: 899 55 28 87; 22-56-26; 23-56-26**
**ელ. ფოსტა: info@nautilus.ge**



მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, **პროფესორ მერაბ მარუაშვილის** უეცარი სიკვდილი უდიდესი დანაკლისია ნევროლოგიის ინსტიტუტისა და საზოგადოდ საქართველოს ნევროლოგთა საზოგადოებისთვის. მაღალი პროფესიული თვისებების მქონე, პიროვნული ხიბლით, დახვეწილი თვისებებითა და არაჩვეულებრივი იუმორით შემკული ბატონი მერაბი იმ იშვიათ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნება, რომლებიც თავისი ყოველდღიური არსებობით გარემოს სიცოცხლის ხალისსა და ოპტიმიზმს მატებენ. დახვეწილმა ინტელიგენტმა, ცნობილი სამედიცინო დინასტიის წარმომადგენელმა, თავისი ოჯახის ღირსეულმა შვილმა, ბატონმა მერაბმა, დღევანდელი დღისთვის იშვიათი თავმდაბლობით იცხოვრა. პაციენტებისა და მეგობრებისთვის უსაზღვროდ თავდადებული, იგი, ამავე დროს, საოცარი პრინციპულობით და პირდაპირობით გამოირჩეოდა. მისთვის აბსოლუტურად უცხო იყო შური, დაუნდობლობა, გაუტანლობა, ბატონ მერაბის ნათელი ხსოვნა სამუდამო ადგილს დაიმკვიდრებს მისი ოჯახის, კოლეგების, მეგობრებისა და და პაციენტების მეხსიერებაში.

**პ.სარაჯიშვილის სახელობის კლინიკური ნევროლოგიისა და ნეიროქირურგიის ინსტიტუტი, საქართველოს ნევროლოგთა საზოგადოება, საქართველოს ნევროლოგთა და ნეიროქირურგთა ასოციაცია.**

# ალ პაჩინოს დებიუტი



14 აპრილისთვის ლოს ანჯელესი განსაკუთრებულად ემზადება. ამ დღეს ბროდვეის სცენაზე კინოვარსკვლავი ალ პაჩინო ოსკარ უაილდის პიესის მიხედვით დადგმულ მიუზიკლში "სალომეა" იროდის როლს შეასრულებს.

სპექტაკლი, იაპონელი კომპოზიტორის იოკიო ცუძის მუსიკაზე, რეჟისორმა ესტელ პარსონმა 1992 წელს დადგა. მაშინ იროდის როლში დევიდ სტრეტეინი იხილა ბროდვეის მაყურებელმა. ამჟამად პაჩინოს პარტნიორობას გაუწევს, ანუ სალომეას როლს შეასრულებს ჯესიკა ჩასტეი. რაც შეეხება იოანე ნათლისმცემელს, მას ერთ-ერთი თეატრის Steppenwolf-ის ვარსკვლავი კევინ ანდერსონი განასახიერებს.

ალ პაჩინოსთვის "სალომეა" არ არის პირველი თეატრალური წარმოდგენა. მას სხვადასხვა სცენაზე არაერთი პერსონაჟი გაუცოცხლებია, თუმცა ბროდვეის სცენაზე აქამდე მხოლოდ ორ წარმოდგენაში ("რიჩარდ III" და "ატარებს თუ არა პანტერა ჰალსტუხს", ამ უკანასკნელისთვის "ტონი" დაიმსახურა) მიიღო მონაწილეობა.

# "მაშველის" ვარსკვლავს შველა სჭირდება



იდეალური მამაკაცის იმიჯის მიუხედავად, რომელიც ამერიკულმა ტელესერიალმა "მაშველებმა" შეუქმნა, დევიდ ჰასელჰოფი საერთოდაც არ ყოფილა იდეალური, განსაკუთრებით კი ყოფილი ცოლისთვის, პამელა ბახისთვის. მათი გაყრის გამო წამოწყებულ ბოლო სასამართლო მოსმენაზე მოსამართლემ დაადგინა, რომ ჰასელჰოფს მხოლოდ ასი იარდის დისტანციიით აქვს ცოლთან კონტაქტის უფლება. მიახლოება არ შეიძლება. წყვილს ორი ქალიშვილი ჰყავს. პასუხისმგებლობას მათზე მშობლები თანაბრად ინაწილებენ.

პამელა ბახი ამტკიცებს, რომ მსახიობი მეუღლის შეურაცხყოფას არ ერიდებოდა და ერთ-ერთი ოჯახური სკანდალის დროს პოლიციის გამოძახებაც კი გახდა საჭირო. ჰასელჰოფი ბრალდებებს უარყოფს, მაგრამ დეტალებზე საუბრისგან თავს იკავებს და ამას, მისი აგენტის განცხადებით, ბავშვების გამო აკეთებს.

# 262 ათასი დოლარი... მოსაქმებისთვის



რამდენიმე დღის წინ პარიზის სასამართლოში ისმინებოდა 77 წლის მოქანდაკე-დადაისტის პიერ პინონჩელის საქმე. მას ვანდალიზმი ბრალდებოდა. პინონჩელი გამოცხადდა პომპიდუს ცენტრში გამოფენაზე "დადა", მოისაქმა, შემდეგ მარსელ დუშამპის კონცეპტუალური ხელოვნების ნიმუშს - საპირფარეშოს ჩაქუჩი დასცხო და ავტოგრაფიც დატოვა.

სასამართლომ მოქანდაკეს სამთვიანი პატიმრობა მიუსაჯა და პომპიდუს ცენტრისთვის ჯარიმის სახით 262 ათასი დოლარის გადახდა დააკისრა. დღეს მსოფლიოს სხვადასხვა გალერეებში მსგავსი შვიდი "პისუარია", მაგრამ ყველაზე ძვირადღირებული პომპიდუს ცენტრში აღმოჩნდა.

სასამართლოში პიერ პინონჩელი ირწმუნებოდა, რომ მისი ქმედება ვანდალიზმი კი არა, დადაიზმი იყო. ამ თემაზე მოსამართლესა და ბრალდებულს შორის ასეთი დიალოგი გაიმართა:

- არ იფიქროთ, რომ ვიღაც უაზრო ვანდალი ვარ. ვანდალები თავიანთ ნამოქმედართან ავტოგრაფებს არ ტოვებენ. რაც ჩავიდინე, დადაიზმის ნაყოფია.

- თქვენ, ცხადია, იცით, რომ საზოგადოებაში აუცილებელია კანონების დაცვა და კერძო საკუთრების პატივისცემა, - შეახსენა მოსამართლემ.

- კი მაგრამ, დადაიზმი სწორედ რომ არ ითვალისწინებს პატივისცემას! - წამოიძახა პინონჩელიმ.

- სწორად გაგიგეთ თუ არა, რომ მას მერე, რაც ასლს რაიმე დაუშავდება, ის ორიგინალად იქცევა? - გადაამოწმა მოსამართლემ.

- დიახ, ასეა, - უპასუხა დადაისტმა.

პიერ პინონჩელიმ სასამართლოს განაჩენის გასაჩივრება გადაწყვიტა.

# აზიური საღამო "ბერიკონში"

დღეს კლუბ "ბერიკონში" აზიური საღამო გაიმართება. ღონისძიებისთვის პროდიუსერმა რეგინა ღონღაძემ აზიური სიმღერების დედოფალი, უკრაინელი სოფი მოიწვია. საღამოზე სიმღერების გარდა, წარმოდგენილი იქნება ცეკვები უკრაინელი მოდელების შესრულებით.

როგორც რეგინა ღონღაძე აცხადებს, ეს იქნება სრულიად განსხვავებული საღამო. წარმოდგენილი იქნება ცეკვები, რომლის ყურებისას "დღეს ჩვენთან უხერხულად იშმუშნებიან".

# ფარაჯანოვის ფილმები პარიზში

სერგეი ფარაჯანოვის მიერ ფიროსმანის შესახებ გადაღებულ ორ ფილმს ფრანგული საზოგადოება 4 აპრილს გაეცნობა. კინოშედევრები ქართულ ენაზე იქნება წარმოდგენილი, რომელსაც ფრანგულ ენაზე ტიტრები დაერთვება. პრეზენტაციის შემდეგ კონფერენციაზე სერგეი ფარაჯანოვის შემოქმედებაზე დებატებს წარუძღვება სილვი როლე, რომელიც კავკასიური ფილმების შესახებ რამდენიმე გამოკვლევის ავტორია.

*ჯი-ეიჩ-ენი*

# ლენონის მკვლელზე ფილმს იღებენ



ნიუ იორკში იღებენ ახალ კინოფილმს "27-ე თავი". მთავარი მოქმედი გმირი ჯონ ლენონის მკვლელობით განთქმული მარკ დევიდ ჩეპმენია. მის როლს თინეიჯერ გოგონათა კერპი, სპეციალურად ამ ფილმისთვის წონაში მომატებული ჯარედ ლეტო ასრულებს. ლენონის როლს კი ჰოლივუდის ამომავალი ვარსკვლავი ლინდსი ლოგანი თამაშობს.

ფილმის აპოთეოზი, ცხადია, მუსიკოსის მკვლელობაა. "დაკოტას" სადარბაზოსთან, სადაც ამჟამად იოკო ონო ცხოვრობს, თავის მსხვერპლს ჩეპმენი დახვდა არა მხოლოდ რევოლვერით, არამედ სელინჯერის ტომეულითა და ლენონის დისკით "ორმაგი ფანტაზია". დისკის ყდაზე ლენონი და ონო ერთმანეთს კოცნიდნენ...

ლენონის ქვრივმა ფილმი უარყოფითად შეაფასა. მან საჯაროდ განაცხადა, რომ "მისი კონცეფცია შემზარავი და შეურაცხმყოფელია, რადგან ფილმის შემქმნელები მკვლელის სანუკვარ ოცნებას - სახელის უკვდავყოფას - რეალობად აქცევენ". თუმცა, ონოს შეხედულებებმა არავინ დააინტერესა. როგორც ამერიკის პრეზიდენტი იტყოდა, ამერიკის ბიზნესი ნამდვილი ბიზნესია.

ამ ყველაფრის შემდეგ იოკო შეეცადა წინააღმდეგობა გაეწია ნატურალური კადრების ანუ "დაკოტასთან" გადაღებებისთვის. იოკოს ქმედება სავსებით ბუნებრივია. აბა, ვის ესიამოვნებოდა იმ ტრაგედიის რეკონსტრუქცია, რომელმაც შენი საყვარელი ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა? თუმცა, ონო აქაც თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდა, რადგან ფილმის შემქმნელებმა ქალაქის ხელისუფლებას მიმართეს და იოკოს სახლთან გადაღების უფლება მოიპოვეს, გასულ კვირას კი უკვე გადაღებებსაც შეუდგნენ.

ნიუ იორკის ხელისუფლების ლოგიკა მართლაცდა გასაოცარია. თავის დროზე მან უარი განაცხადა ცენტრალურ პარკში ჯონ ლენონის ძეგლის დადგმაზე, ამავდროულად, "დაკოტას" წინ გადაღებაზე ნებართვა გასცა. რასთან გვაქვს საქმე - უცნაურ ლოგიკასთან თუ დაგვიანებულ შურისძიებასთან?



## 29 მარტი

### თეატრი

**ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრი**

ჯუზეპე ვერდი
**"ბალ-მასკარადი"**
დირიჟორი გოგი ჭიჭინაძე
დასაწყისი: 19.00

**თეატრალური სარდაფი**

**"თეთრი ბაირაღები"**
რეჟისორი გოგი ქავთარაძე
დასაწყისი: 19.00

**თეატრალური სარდაფი ვაკეში**

**"ქრონიკა"**
რეჟისორი ოთარ ეგაძე
დასაწყისი: 18.00

**თავისუფალი თეატრი**

**"ბერნალდა ალბას სახლი"**
დასაწყისი: 20.00

**თეატრი "ვერიკო"**

მურმან ჯინორიას მონო-სპექტაკლი
**"...და სიმღერით ვკვდები"**
დასაწყისი: 18.00

### კინო

**"ახმეტელი"**

**"ოპერაცია წითელქუდა"**
დასაწყისი: 14.15

**"ვარდისფერი პანტერა"**
დასაწყისი: 15.50

**"შეჯახება"**
დასაწყისი: 18.00
ბილეთის ფასი - 3-5 ლარი

**"ამირანი"**

**"ჩემი აუტანელი ძიძა"**
დასაწყისი:12.00; 14.00; 16.00; 18.00

**"ჭორები"**
დასაწყისი: 20.00; 22.00

**"რუსთაველი"**

**"ვარდისფერი პანტერა"**
დასაწყისი: 11.45;13.45;18.00; 20.00;22.00
**"შეჯახება"**
დასაწყისი: 15.30

### გალერეა

**"ქარვასლა"**

იტალიელი დიზაინერისა და გრაფიკოსის **ჯუზეპე დელ გრეკოს** გამოფენის გახსნა.
"მრავალსახეობათა ათი მარტივი შემთხვევა"

**"ვერნისაჟი"**

**"გაზაფხული"**
ქართველი მხატვრების გამოფენა.

# მხიარული ქართველობა



მზევინარ ხუციშვილი

იმედია, ამ სათაურს მკითხველი სწორად გამიგებს, რადგან ეს არც მინიშნებაა და არც ინტრიგა. უბრალოდ, თვალყურს ვადევნებდი საქართველოში მიმდინარე იტალიური კულტურის დღეებს, რომელიც იტალიის საელჩოს და საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს ხელშეწყობით მიმდინარეობდა და შევამჩნიე, რომ ქართველები ამ დღეებში გაცილებით უფრო მხიარულნი იყვნენ. გუშინ კი "ქარვასლის" საგამოფენო დარბაზში იტალიელი დიზაინერისა და გრაფიკოსის ჯუზეპე დელ გრეკოს ნამუშევრები შემოგვთავაზეს სახელწოდებით "მრავალსახეობათა ათი მარტივი შემთხვევა".

ჯუზეპე დელ გრეკო დაიბადა 1967 წელს ფლორენციაში. ახლა მილანში ცხოვრობს. ის გრაფიკოს-დიზაინერია. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო მისი ათი ნამუშევარი. იტალიის ელჩმა ფაბრიცო რომანომ მადლობა გადაუხადა ქართველ საზოგადოებას, რომ ასე მოსწონთ და უყვართ იტალიური კულტურა. ჯუზეპე დელ გრეკომ კი იმედი გამოთქვა, რომ მისი ნამუშევრებიც ისევე მოეწონებათ ქართველებს, როგორც სხვა იტალიური შემოქმედების ნაწილი, რომელიც ამ დღეებში საქართველოში იყო წარმოდგენილი. მიუხედავად იმისა, რომ ხმამაღლა საკუთარი აზრი არავის გამოუთქვამს, იქ შეკრებილი საზოგადოების ინტერესი ნამდვილად იგრძნობოდა.

გამოფენა 6 აპრილამდე გაგრძელდება. ჯუზეპე დელ გრეკო ამჟამად იტალიაში და ბევრ სხვა ქვეყანაში წიგნებისა და ჟურნალების დიზაინზე მუშაობს. ის თანამშრომლობს ისეთ მნიშვნელოვან საგამომცემლო კომპანიებთან და ფირმებთან, როგორებიცაა: Feltrineli, Mondadori, Rusconi - Hachette, Nokia, Ritzenhoff.

24 საათი B
© გაზეთი 24 საათი

# ბიზნესი

თქვენი რეკლამა "ბიზნესში"
☎ 995 32 31 93 90
995 32 31 93 86
899 26 20 19

გამოცემის ოფიციალური პარტნიორები:

## ფინანსთა სამინისტროს ცხელ ხაზზე 635-მა მოქალაქემ დარეკა



B4

## "ღვინის კონფლიქტი" არ ცხრება

## "ენგურჰესის" გადერება გადაიდო

B2

## ამერიკის საფონდო ბირჟაზე სიტუაცია უცვლელია

## უკრაინის რეიტინგი ჯერჯერობით არ შეცვლილა

B3

## "რუსთავის მეტალურგიული ქარხანა" ტექნიკური უნივერსიტეტის მეტალურგიულ ფაკულტეტს დაეხმარება

B4

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | | |
|---|---|---|
| 1 ავსტრალიური დოლარი | AUD | 1,2896 |
| 1 აზერბაიჯანული მანათი | AZN | 2,0100 |
| 1 აშშ დოლარი | USD | 1,8285 |
| 1000 ბელორუსიული მანათი | BYR | 0,8503 |
| 1 ბულგარული ლეი | BGL | 1,1260 |
| 1 დანიური კრონი | DKK | 0,2950 |
| 1 ეგვიპტური გირვანქა | EGP | 0,3184 |
| 1 ევრო | EUR | 2,2011 |
| 10 ესტონური კრონი | EEK | 1,4076 |
| 1000 თურქმენული მანათი | TMM | 0,3516 |
| 1 თურქული ლირა | TRY | 1,3615 |
| 10 იაპონური იენი | JPY | 0,1566 |
| 1 ინგლისური გირვანქა ს | GBP | 3,1960 |
| 1000 ირანული რეალი | IRR | 0,2004 |
| 10 ისლანდიური კრონი | ISK | 0,2502 |
| 1 ისრაელის სეკელი | ILS | 0,3910 |
| 1 კანადური დოლარი | CAD | 1,5630 |
| 1 ლატვიური ლატი | LVL | 3,1150 |
| 10 ლიტვური ლიტი | LTL | 6,3366 |
| 10 მოლდოვური ლეი | MDL | 1,4055 |
| 1 ნორვეგიული კრონი | NOK | 0,2762 |
| 1 პოლონური ზლოტი | PLZ | 0,5662 |
| 10000 რუმინული ლეი | ROL | 0,6143 |
| 1 რუსული რუბლი | RUB | 0,0658 |
| 1 სინგაპურული დოლარი | SGD | 1,1303 |
| 100 სომხური დრამი | AMD | 0,4067 |
| 1 ტაჯიკური რუბლი | TJR | 0,5691 |
| 1000 უზბეკური სუმი | UZS | 1,5140 |
| 10 უკრაინული გრივნა | UAG | 3,6133 |
| 100 უნგრული ფორინტი | HUF | 0,8344 |
| 1 ქუვეითური დოლარი | KWD | 6,2611 |
| 10 ყაზახური ტენგე | KZT | 0,1429 |
| 10 ყირგიზული სომი | KGS | 0,4420 |
| 1 შვედური კრონი | SEK | 0,2355 |
| 1 შვეიცარული ფრანკი | CHF | 1,3991 |
| 1 ჩეხური კრონი | CZK | 0,0769 |
| 1 ჩინური იუანი | CNY | 0,2280 |
| 1 ჰონ-კონგური დოლარი | HKD | 0,2357 |



# "თბილისი სითი"

## პროექტის პირველი ეტაპი დაიწყო

- საინვესტიციო კომპანია GRDC-მა, "თბილისი სითის" პროექტის განხორციელების ფარგლებში, მარჯანიშვილის ქუჩაზე მდებარე მრავალსაუკუნოვანი მწვანე შენობის რეკონსტრუქცია დაიწყო.
- შენობის რეკონსტრუქციაზე, უცხოელ სპეციალისტებთან ერთად, ქართველი არქიტექტორებიც მუშაობენ. მწვანე შენობის რეკონსტრუქციის დასრულება შემოდგომისთვის იგეგმება.



B2

# მადამ მილიარდი

## 83 წლის ლილიან ბეტანკური და მასზე 15 წლის უფროსი L'Oreal-ი

გოჩა ქიმუცაძე

*პლანეტის უმდიდრესი ქალი 83 წლის ფრანგი ლილიან ბეტანკურია, რომლის ქონება 16 მილიარდ დოლარადაა შეფასებული. ამ მაჩვენებლით, მსოფლიოს უმდიდრეს ადამიანთა რეიტინგში იგი მეთხუთმეტე ადგილზეა. თავისი დიდძალი სიმდიდრის უდიდესი ნაწილი ბეტანკურს მამის, კომპანია L'Oreal-ის დამაარსებლის იუჟინ შულერისაგან მემკვიდრეობით ერგო. მადამ ლილიანის საკუთრებაშია ჰოლდინგ Gesperal-ის აქციების 51 პროცენტი. ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ, L'Oreal Group-ის აქციების 53 პროცენტს ფლობს. ორი წლის წინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ თითქოს მადამ ბეტანკური Gesperal-ში თავისი წილის ჰოლდინგის მეორე აქციონერის, კვების პროდუქტების მწარმოებელი გიგანტი კომპანია Nestle-სათვის მიყიდვას აპირებდა, მაგრამ შემდეგ გადაიფიქრა და L'Oreal-ზე, რომელიც ამერიკული Procter $ Gamble-ის შემდეგ მსოფლიოს უმსხვილესი პარფიუმერული კომპანიაა, მართვის უფლება შეინარჩუნა.*

- ამბობენ, რომ 1907 წელს ლაბორატორიიდან შინ დაბრუნებულმა იუჟინ შულერმა მტირალი ცოლი იხილა. ცრემლის მიზეზი დალაქთან უიღბლო ვიზიტი იყო, რომლის შემდეგაც ქალის ქერა, ხვეული, მშვენიერი თმა ჩალის ყვითელ ღერებს დაემსგავსა. იუჟინმა მეუღლე დაამშვიდა და დაჰპირდა, რომ გამოიგონებდა ჯადოსნურ საღებავს, რომელიც მის თმებს ძველ სილამაზეს დაუბრუნებდა.
- უნდა ითქვას, რომ მადამ ბეტანკური, რომელიც ორი წლის წინ საფრანგეთის საპატიო ორდენის კავალერი გახდა, ამჯობინებს, შეძლებული უწოდონ. საერთოდ, მადამ ბეტანკურის სურვილია, პრესაში იშვიათად გამოჩნდეს. შესაძლოა იმიტომ, რომ დარწმუნებულია - ის პირველია.



B3

### ბიზნესმენთა ფედერაცია წლის შედეგებს შეაჯამებს

საქართველოს ბიზნესმენთა ფედერაცია წლის შედეგებს შეაჯამებს. საქართველოს ბიზნესმენთა ფედერაციაში დღეს ყრილობა გაიმართება, სადაც ფედერაციის გასული წლის საქმიანობა შეჯამდება და 2006 წლის გეგმები განიხილება. ყრილობას ფედერაციის პრეზიდენტი ბადრი პატარკაციშვილი და ბიზნესმენები დაესწრებიან. დამსწრე საზოგადოებას დაურიგდება ბუკლეტები, სადაც ფედერაციის ერთწლიანი საქმიანობის ანგარიშია გაწერილი. საქართველოს ბიზნესმენთა ფედერაციაში, დღეის მდგომარეობით, 110 კომპანიაა გაწევრიანებული. **ინტერპრესნიუსი.**

### საფონდო ბირჟაზე 138 426 ლარის ღირებულების ფასიანი ქაღალდები გაიყიდა

საქართველოს საფონდო ბირჟაზე გუშინ 138 426 ლარის ღირებულების ფასიანი ქაღალდები გაიყიდა. როგორც საქართველოს საფონდო ბირჟაზე განაცხადეს, სავაჭროდ წარდგენილი კომპანიების აქციებიდან გარიგება "საქართველოს ბანკის", "რეა-ქართუს", "თელასის", უნივერმაღი "თბილისის", "ბაგრატიონი 1882"-ის, "ცენტრალური სუპერმარკეტის", "ყაზბეგის", "თოლიას", "თბილისის 4 პურის ქარხნის", "ტრანსმომსახურების", "ცეკავშირის თბილისის უნივერსალური საბითუმო ბაზის" და "საქწყალპროექტის" აქციებზე დაიდო. გარიგების ჯამურმა მოცულობამ - 18 256 ფასიანი ქაღალდი, საერთო ღირებულებამ კი 138 429 ლარი შეადგინა. **ინტერპრესნიუსი.**

### მცირე მეწარმეები პრეზიდენტს დახმარებას სთხოვენ

თვითდასაქმებული მცირე მეწარმეები პრეზიდენტს წერილობით მიმართავენ და მას დახმარებას სთხოვენ. როგორც მცირე მეწარმეთა საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელმა განაცხადა, ისინი მოითხოვენ, პრეზიდენტის ბრძანების საფუძველზე შეიქმნას კომისია, რომელიც სპეციალისტებისაგან დაკომპლექტდება; კომისიას დაევალოს, შეისწავლოს მოვაჭრეთა მძიმე სამუშაო პირობები, და სალარო-აპარატების დადგმა-არდადგმის საკითხი მხოლოდ მას შემდეგ გადაწყდეს. როგორც მოვაჭრეები აცხადებენ, ისინი იმდენად მძიმე პირობებში მუშაობენ, იქ სალარო-აპარატების გამოყენება შეუძლებელია. მცირე მეწარმეთა განცხადებით, კომისიის დასკვნის საფუძველზე, ისინი მზად არიან, გადაიხადონ ყველა სახის ფიქსირებული გადასახადი. **ინტერპრესნიუსი.**

### "სანტე ჯი-ემ-თი პროდუქტები" - ISO და HACCP-ის სერტიფიკატის პირველი მფლობელი

ISO და HACCP სერთიფიკატის პირველი მფლობელი რძის პროდუქტების მწარმოებელი კომპანია სამხრეთ კავკასიაში - "სანტე ჯი-ემ-თი პროდუქტები" გახდა. კომპანია რძისა და რძის პროდუქტების მწარმოებელი პირველი კომპანიაა არა მხოლოდ საქართველოში, არამედ სამხრეთ კავკასიაშიც, რომელსაც ISO და HACCP-ის სერტიფიკატი მიენიჭა.

ექსპერტების განცხადებით, "სანტე ჯი-ემ-თი პროდუქტები" სრულებით აკმაყოფილებს ISO-ს (International Organization for Standardization) მიერ დადგენილ წარმოების პროცესის ნორმებს, კომპანიის მართვის ხარისხი შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს. ISO-ს სტანდარტი აღიარებულია მსოფლიოს 120 ქვეყნის მიერ (აშშ, ევრო გაერთიანების ქვეყნები და ა.შ.).

"სანტე ჯი-ემ-თი პროდუქტები" არის რძის ნაწარმისა და ნატურალური წვენების უდიდესი მწარმოებელი საქართველოში. ყოველდღიურად კომპანიის მიერ წარმოებული დაახლოებით 50 000 ერთეული სხვადასხვა დასახელების პროდუქტი იყიდება. საწარმოში დასაქმებულია 300 თანამშრომელი.

"სანტე-ჯი-ემ-თი პროდუქტები" არის "ჯი ემ თი ჯგუფში" შემავალი კომპანია. "ჯი-ემ-თი ჯგუფი" საქართველოს კერძო სექტორში ერთ-ერთი უმსხვილესი კომპანიაა, რომელსაც 80 მილიონი აშშ დოლარი აქვს დაბანდებული სხვადასხვა პროფილის 4 კომპანიაში. "ჯი-ემ-თი ჯგუფის" საკუთრებაში ირიცხება სასტუმროები "თბილისი მარიოტი" და "ქორთიარდ მარიოტი", საოფისე ფართი "ჯი-ემ-თი პლაზა", ყოფილი რესტორანი "მთაწმინდა" - რუსთაველის N7. **ჯი-ეიჩ-ენი.**

### ახალი პროექტი ეროვნულ ბანკში

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა "კომერციულ ბანკებში ნაღდ ფულსა და სხვა ფასეულობასთან დაკავშირებული ოპერაციების წარმოების წესების" ახალი პროექტი შეიმუშავა, რომელიც საბანკო სისტემაში ნაღდ ფულსა და ფასეულობებთან დაკავშირებულ ოპერაციებს მნიშვნელოვნად ამარტივებს. ახალი პროექტის თანახმად, კომერციულ ბანკებს უფლება ეძლევათ, დამოუკიდებლად განსაზღვრონ სალარო კვანძების ფართები და ობიექტის დაცვისა და უსაფრთხოების პირობები. ასევე აუცილებლობას აღარ წარმოადგენს სალაროს კვანძისა და ბანკომატის პასპორტიზაცია. კომერციულ ბანკებს უფლება ეძლევათ, დამოუკიდებლად განსაზღვრონ მატერიალურად პასუხისმგებელ პირთა თანამდებობები და მოვალეობები. გარდა ამისა, კომერციულ ბანკებს შეეძლებათ, დამოუკიდებლად შეიმუშავონ დებულებები, რომლებიც სალაროს ცალკეული ოპერაციების კონკრეტიზაციას უზრუნველყოფენ.

"კომერციულ ბანკებში ნაღდ ფულსა და სხვა ფასეულობასთან დაკავშირებული ოპერაციების წარმოების წესების" ახალი პროექტის თანახმად, კომერციულ ბანკებს ნაღდი ფულადი ოპერაციებისათვის საჭირო ბეჭდების, შტამპებისა და დასალუქი საშუალებების დამოუკიდებლად, საქართველოს ეროვნულ ბანკთან შეუთანხმებლად დამზადების უფლება მიეცემათ.

ახალი წესების მიხედვით, დაიხვეწება ნაღდი ფულისა და სხვა ფასეულობის ინკასაციის, საღამოს სალაროს მუშაობის, ფულის ნიშნების ფორმირება-შეფუთვის, ფასეულობის შენახვა-აღრიცხვისა და რევიზიის წესები, სალაროს საბუთების ფორმები. **მედიანიუსი.**

### ქობულეთს რკინიგზის ახალი სადგური ექნება

15 ივლისისთვის ქობულეთს განახლებული, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი რკინიგზის სადგური ექნება. "საქართველოს რკინიგზაში" აცხადებენ, რომ ქობულეთის რკინიგზის სადგურის სარეკონსტრუქციო სამუშაოები გუშინ დაიწყო. პროექტი შპს "დელტაპროექტმა" შეიმუშავა, სარეკონსტრუქციო სამუშაოებს კი ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს "ოქტანი" აწარმოებს. ქობულეთის რკინიგზის სადგური თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი იქნება. შეიცვლება როგორც შენობის იერსახე, ასევე მოსაცდელები და სამგზავრო ბაქანი. სადგურის სარეკონსტრუქციო სამუშაოების ღირებულება 877 000 ლარს შეადგენს. **ინტერპრესნიუსი.**

# "თბილისი სითი"

## პროექტის პირველი ეტაპი დაიწყო

სალომე ძაძამია

*საინვესტიციო კომპანია GRDC-მა, "თბილისი სითის" პროექტის განხორციელების ფარგლებში, მარჯანიშვილის ქუჩაზე მდებარე მრავალსაუკუნოვანი მწვანე შენობის რეკონსტრუქცია დაიწყო. როგორც უკვე ცნობილია, ამ ჯგუფმა რეკონსტრუქციის პროგრამა "თიბი-სის" ბანკის შენობის რეკონსტრუქციით დაიწყო. ისტორიული მწვანე შენობის ტერიტორიაზე GRDC-ი თანამედროვე ოფის-ცენტრის აშენებას გეგმავს. ოფის-ცენტრის პარალელურად, აღნიშნულ ტერიტორიაზე მიწისქვეშა ავტოსადგომიც იქნება, რომელიც ავტოტრანსპორტის მოძრაობის დარეგულირებას ხელს შეუწყობს.*



ნაგებობა მდებარეობს მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, ერთ-ერთი მთავარი არტერიის, მარჯანიშვილის ქუჩის საწყის მონაკვეთში, სადაც ერთმანეთის გვერდით განთავსებულია თბილისური მოდერნის ისეთი მნიშვნელოვანი ძეგლი-ნაგებობები, როგორიც არის მარჯანიშვილის სახ. სახელმწიფო აკადემიური თეატრის შენობა და "თი-ბი-სი" ბანკის სათაო ოფისის შენობა შედარებით გვიანდელი ნაგებობაა, სადა არქიტექტურულ-მხატვრული საფასადო კომპოზიციით, რომელიც ფონურ ნაგებობას წარმოადგენს და მხოლოდ ხელს უწყობს ზემოხსენებულ შენობათა წარმოჩენას. ამ შენობისაგან განსხვავებით, აგრესიულად აქტიურია მარჯანიშვილი-ჩხეიძის ქუჩათა გადაკვეთაზე აღმართული მაღლივი მომრგვალებულფასადიანი საცხოვრებელი სახლის ნაგებობა (XX საუკუნის ბოლო), რომელიც, გარკვეულწილად, ეხმაურება მოპირდაპირე კუთხეში მდგომ "წიგნის სახლს". თუმცა, თავისი პროპორციით, საფასადო კომპოზიციის გადაწყვეტით მხოლოდ დაარღვია ისტორიულად ჩამოყალიბებული განაშენიანების ხასიათი. თავის მხრივ, "წიგნის სახლმაც" გაითვალისწინა, თავის დროზე, უკვე არსებული უნივერმაღის შენობის არქიტექტურა ქუჩათა გადაკვეთის ორგანიზებაში - აქაც მომრგვალდა შენობის ცენტრალური ნაწილი და აქეთ-იქით თანაბრად განვითარდა, შეუერთდა უნივერმაღს, მაგრამ შედეგად, განაშენიანების მოცემულ მონაკვეთს ერთიანი, მოწესრიგებული და დასრულებული სახე მიეცა.

მწვანე შენობა 1903 წელს ინჟინერ ანტონოვის მიერ აიგო. თავდაპირველად მისი მფლობელი ევროსინია მარტინოვსკაია იყო, 1913 წელს შენობაში საქველმოქმედო ბაგა-ბაღი იყო გახსნილი. 1959 წელს აღნიშნულ შენობაში ერთდროულად განთავსებული იყო ირანის საკონსულო კავკასიაში, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მუშათა საორგანიზაციო შერჩევის სამმართველო.

კომპანია GRDC-ს გენერალური დირექტორი ირაკლი კილაურიძე აცხადებს, რომ შენობის რეკონსტრუქციაზე, უცხოელ სპეციალისტებთან ერთად, ქართველი არქიტექტორებიც მუშაობენ. მწვანე შენობის რეკონსტრუქციის დასრულება შემოდგომისთვის იგეგმება.

***- ბატონო ირაკლი, რატომ დაინტერესდა თქვენი კომპანია მწვანე შენობით?***

- მოგეხსენებათ, კომპანია GRDC ამ ტერიტორიაზე საქმიანი უბნის მშენებლობას აპირებს და ეს შენობა ჩვენი პირველი შენაძენი იყო. მწვანე შენობა ისტორიული ძეგლია და ქვეყნის პროტექციის ქვეშ იმყოფება. შენობის ფასადმა საბჭოთა პერიოდში ცვლილებები განიცადა და ჩვენ მას პირვანდელ სახეს ვუბრუნებთ. ისტორიული მწვანე შენობის ეზოში განთავსდება ულტრათანამედროვე ოფის-ცენტრი, რომლის მსგავსიც ჩვენს ქალაქში არ არის. ოფის-ცენტრში ტექნიკური მხარე მთლიანად კომპიუტერიზებული იქნება. ოფისში იქნება ხანძარსაწინააღმდეგო სისტემები, თანამედროვე ლიფტი. შენობის ეზოს გამწვანებაზე კონსულტაციებს ვერსალის სამეფო ბაღის დირექტორი გვიწევს.

***- როგორ ფიქრობთ, ამ შენობის რეკონსტრუქციით რა შეიცვლება ქალაქში?***

- ჩვენ მწვანე შენობასთან მიწისქვესა ავტოსადგომს ვაკეთებთ, რის შედეგადაც ამ ტერიტორიაზე სატრანსპორტო ქსელი არ გადაიტვირთება. უახლოეს მომავალში ჩვენ მერიაში წინადადებით შევალთ, რომ დარეგულირდეს ავტოპარკინგის საკითხი.

***- დაბოლოს, ვინ მუშაობს მწვანე შენობის რეკონსტრუქციაზე?***

- ამ პროექტის არქიტექტურულ მხარეს უზრუნველყოფს კომპანია GRDC-ის შვილობილი არქიტექტურული კომპანია, არქიტექტორები გაგა კიკნაძე და ლევან მუშკუდიანი. მშენებლობას აწარმოებს ასევე GRDC-ის შვილობილი "ახალი სამშენებლო კომპანია", და ინჟინერი ერჯან გუნეში, რომელმაც, სხვათა შორის, ამერიკის საელჩოს შენობა ააშენა. შენობის რეკონსტრუქციის დასრულება წელს იგეგმება.

"ორსართულიანი ნაგებობა სარდაფით, მდებარეობს მარჯანიშვილის ქუჩის სიღრმეში, მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრისა და საცხოვრებელ სახლ N4-ს შორის. არქიტექტურულ-გეგმარებითი სტრუქტურით არის რუსული ასო -ს ფორმის - შედგება ძირითადი მოცულობისაგან და ორი ფლიგელისაგან, რომლებიც შიდა ეზოს ქმნის. მთავარი ფასადის წინ განთავსებულია ორმაგი ტროტუარი ავტოსადგომით.

შენობის მთავარი ფასადის პარადული პორტიკი გადაკეთებულია - სვეტები მიდგმულია კედელთან. გადაკეთება ჩატარებულია "უხეშად" და აშკარად შეიმჩნევა პორტიკის გვერდითი ფასადებიდან.

შენობის წინ, მარჯანიშვილის ქუჩის წითელ ხაზზე მოწყობილი იყო დაბალი ქვის გალავნით შემოზღუდული ეზო ლითონის შესასვლელებით შენობის პორტიკისა და გვირაბის გასწვრივ. ეზო, სავარაუდოდ, მოირღვა 1970-იან წლებში.

შენობის შიდა ეზოში შემავალი გვირაბის პილასტრები გარკვეულ სიმაღლეზე ჩამოფხეკილია საბარგო მანქანების გასატარებლად.

შენობის ფლიგელები თავდაპირველად ღია აივნებით იხსნებოდა შიდა ეზოს მხარეს. აივანთა დეტალები ნაწილობრივ შემორჩა მარჯვენა ფლიგელს (ოთხწახნაგა ბოძები და კრონშტეინები). შეიცვალა ფლიგელების გეგმარება.

არქიტექტურული თვალსაზრისით, მწვანე შენობა ძალიან აკურატულია. ჩვენ ვაპირებთ, აღვადგინოთ ძველი ფასადი. ვაპირებთ ძველი პორტიკის აღდგენასაც, თუმცა ჯერჯერობით ნებართვასთან გვაქვს პრობლემა," - აცხადებს არქიტექტორი გაგა კიკნაძე.

აღსანიშნავია, რომ საინვესტიციო კომპანია GRDC-ი, იმის მიუხედავად, რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე ულტრათანამედროვე ოფის-ცენტრის მშენებლობას იწყებს, ისტორიულ და უნიკალურ ძეგლებს პირვანდელ იერსახეს არ უკარგავს და ანვითარებს თბილისის ისეთ ისტორიულ უბანს, როგორიც ძველი პლეხანოვია.

# "ღვინის კონფლიქტი" არ ცხრება

*ამ დრომდე არც საქართველოს მთავრობას და არც სოფლის მეურნეობის სამინისტროს რუსეთში ქართული ღვინის შეტანის აკრძალვასთან დაკავშირებით ოფიციალური შეტყობინება არ მიუღია. ქართული მხარე მზად არის, ღვინის ექსპორტთან დაკავშირებული ყველა პრეტენზია რუს კოლეგებთან ერთად განიხილოს, საქართველოში წარმოებული ღვინო კი ნეიტრალურ ლაბორატორიაში შემოწმდეს. და კიდევ ერთი: როგორც ჩანს, ამ სანქციებით არა მხოლოდ საქართველო და მოლდოვა დაზარალდებიან...*

ცნობისათვის: "როსპოტრებნადზორის" განკარგულებით, 27 მარტიდან, რუსეთის ტერიტორიაზე საქართველოსა და მოლდოვაში დამზადებული ღვინის და ღვინომასალების შეტანა აიკრძალა. ასევე შეჩერებულია ამ ქვეყნების ტერიტორიაზე გამოშვებულ პროდუქციაზე უკვე გაცემული სანიტარული დასკვნების მოქმედება. როგორც "როსპოტრებნადზორის" ხელმძღვანელის გენადი ონიშჩენკოს წერილშია ნათქვამი, მოლდოვადან და საქართველოდან ღვინის და ღვინომასალების შეტანა მას შემდეგ აიკრძალა, რაც მარტში ჩატარებული შემოწმების თანახმად, რუსეთში შეტანილი ალკოჰოლური პროდუქციის დიდი მოცულობა სანიტარული უსაფრთხოების ნორმებს არ შეესაბამება.

რუსული გაზეთ "კომერსანტის" ინფორმაციით, ღვინის იმპორტის აკრძალვიდან პირველივე დღეს რუსეთ-უკრაინის საზღვართან, საიდანაც მოლდოვური ღვინო შედის, პროდუქციით დატვირთული 200 ვაგონია გაჩერებული. ამასთან, ამ აკრძალვით არა მარტო საქართველო და მოლდოვა, არამედ თავად რუსეთიც დაზარალდება: რუსული ღვინის 50 პროცენტი მოლდოვური ღვინის მასალებისგან მზადდება. ამის შესახებ გუშინ რუსული მედია წერდა.

გუშინ რუსეთის მიერ მიღებული გადაწყვეტილების პოლიტიკურ მოტივებზე იყო საუბარი მეწარმეებშიც და ხელისუფლებაშიც: "ქართული ღვინო მსოფლიოს 35 ქვეყნის ბაზარზე იყიდება. მათ შორის, ისეთ ბაზრებზე, როგორიცაა საფრანგეთი, გერმანია, აშშ და სხვა. თუმცა, რუსეთის გარდა, ქართული ღვინის მიმართ პრეტენზია არავის გამოუხატავს," - განაცხადა გუშინ სოფლის მეურნეობის მინისტრმა მიხეილ სვიმონიშვილმა. მისივე განმარტებით, აშშ-ს მომხმარებელთა დაცვის სამსახურმაც კი, რომელიც თავისი მოთხოვნებით უმკაცრესია, აღიარა, რომ ქართული ღვინო ხარისხის ყველა ნორმას აკმაყოფილებს. მინისტრის თქმით, ცნობილ ქართულ ღვინის მწარმოებელ კომპანიებში კი რუსული კაპიტალი და რუსი ინვესტორებიც მონაწილეობენ. რაც შეეხება ქართული ღვინის გაყალბების ფაქტებს რუსეთში, ეს პრობლემა, მინისტრის განცხადებით, მართლაც არსებობს.

მისივე თქმით, ქართულ მხარეს რუსეთში რამდენიმე ქარხნის დასახელება შეუძლია, სადაც ქართული ღვინის ფალსიფიკაცია ხდება, მათ შორის - სანკტ-პეტერბურგში და ვლადიკავკაზში. **24 საათი.**

# "ენგურჰესის" გაჩერება გადაიდო

"ენგურჰესის" გაჩერების ერთი დღის გადადების შესახებ გადაწყვეტილება ენერგეტიკის სამინისტრომ მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის "კავკასიონის" დაზიანების გამო მიიღო. "კავკასიონზე" კომპანია "საქრუსენერგოს" წარმომადგენლები სარემონტო სამუშაოებს ახორციელებენ, რომელიც, სავარაუდოდ, დღეს საღამომდე დასრულდება. მიმდინარეობს დაზიანებული იზოლატორებისა და ხაზის აღდგენა.

შეგახსენებთ, რომ აღნიშნული ელექტროგადამცემი ხაზით, "ენგურჰესის" გაჩერების პარალელურად, რუსეთიდან დენის იმპორტის 200 მეგავატამდე გაზრდა უნდა განხორციელებულიყო. მაგრამ, ვინაიდან ხაზი პარალიზებულია, იმპორტის განხორციელება გუშინ ვერ მოხერხდა. უფრო მეტიც, შეწყდა იმ 100 მეგავატი ელექტროენერგიის იმპორტიც, რომელიც "კავკასიონით" დივერსიული ფაქტის განხორციელებამდე შემოდიოდა.

"ენგურჰესი" სადერევაციო გვირაბის რეაბილიტაციის მიზნით ივლისის შუა რიცხვებამდე გაჩერდება. გვირაბში სარეაბილიტაციო სამუშაოებს კომპანია "სიმენსი" და "საქჰიდრომშენი" განახორციელებენ.

როგორც ენერგეტიკის მინისტრი ნიკა გილაური აცხადებს, ხაზის დაზიანების მიუხედავად, რუსეთიდან ელექტროენერგიის იმპორტი არ შეწყვეტილა. ჩართულია "თბილსრესის" მე-9 და მე-4 ენერგობლოკები, ახალი აირტურბინული ელექტროსადგური და ქვეყნის ყველა რეგიონი ელექტროენერგიას შეუფერხებლად იღებს.

შეგახსენებთ, რომ ორი დღის წინ მაღალი ძაბვის 500-კილოვოლტიან ელექტროგადამცემ ხაზ "კავკასიონზე" დივერსიული აქტი მოხდა. დაუდგენელმა პირებმა ცეცხლსასროლი იარაღით 190 ანძის იზოლატორები დააზიანეს. როგორც "საქრუსენერგოში" აცხადებენ, მიყენებული ზარალი დაახლოებით 2500 ლარს შეადგენს. **24 საათი.**

### აზერბაიჯანი ირანიდან გაზის მიღებაზე მოლაპარაკებებს მართავს

აზერბაიჯანის მრეწველობის და ენერგეტიკის მინისტრი ნათიკ ალიევი დარწმუნებულია, რომ მომავალ წელს რუსეთი დსთ-ს ქვეყნებისთვის ბუნებრივი აირის ფასს გაზრდის. მინისტრის განცხადებით, აზერბაიჯანი ირანთან მოლაპარაკებას მართავს წელიწადში 1 მილიარდი კუბური მეტრი გაზის შეძენის შესახებ. "ეს საშუალებას მოგვცემს, უფრო მოქნილად ვაწარმოოთ მოლაპარაკებები რუსულ მხარესთან," - აღნიშნა ნათიკ ალიევმა. მისივე თქმით, ირანიდან გაზის შეძენა მის ღირებულებაზე იქნება დამოკიდებული. მიმდინარე წლის ზამთარში საქართველომ ირანული გაზი, აზერბაიჯანის ტერიტორიის გავლით, 110-120 დოლარად შეიძინა. თუ ირანული გაზი აზერბაიჯანისთვის უფრო იაფი იქნება, ეს ქვეყნის ხელისუფლებას საშუალებას მისცემს, უფრო ეფექტურად უზრუნველყოს ქვეყნის მოთხოვნილება.

გარდა ამისა, როგორც მინისტრმა აღნიშნა, აზერბაიჯანს შეუძლია, სატრანზიტო ქვეყნის როლი შეასრულოს. ირანს სურს, გაზი არა მარტო საქართველოს მიაწოდოს, არამედ ამ ქვეყნის და უკრაინის ტერიტორიების გავლით ევროპაშიც გაიტანოს. ამავე დროს, აზერბაიჯანს საკუთარი გაზის პროგრამაც აქვს - 2-3 წლის განმავლობაში ბუნებრივი აირის მოპოვება წელიწადში 2 მილიარდი კუბური მეტრით უნდა გაიზარდოს. "ამჟამად აზერბაიჯანი გაზის მარაგს მარტო "შაჰდენიზის" საბადოში როდი ფლობს," - თქვა ნათიკ ალიევმა. მისი მონაცემებით, დიდი მარაგი არსებობს "გიუნეშლის", "8 მარტის", "ბაჰარის" და სხვა საბადოებშიც. დღეს აზერბაიჯანს ამ საბადოებში გაზის მოპოვების დაწყებისა და გაზრდისთვის საკმარისი შესაძლებლობები გააჩნია. **ინტერპრესნიუსი.**

### ნავთობპროდუქტების იმპორტში კონტრაბანდა მცირდება

ბოლო სამი წლის ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების თანახმად, საქართველოს ნავთობპროდუქტების ბაზარზე კონტრაბანდის მკვეთრი შემცირება და საბიუჯეტო გადასახადების საგრძნობი ზრდა აღინიშნება, - განაცხადეს ნავთობპროდუქტების მწარმოებელთა, იმპორტიორთა და მომხმარებელთა კავშირში. კავშირში იმპორტის ზრდას მის ლეგალიზაციასთან აკავშირებენ. ბენზინის საშუალო თვიური მოხმარება საქართველოში, კავშირის გათვლებით, სულ მცირე 35 ათასი ტონაა (წელიწადში 420 ათასი ტონა), დიზელის საწვავის მოხმარება კი თვეში მინიმუმ 25 ათასი ტონა უნდა იყოს (წელიწადში 300 ათასი ტონა). მოხმარებულსა და დეკლარირებულ რაოდენობას შორის დისბალანსი კონტრაბანდის ხვედრითი წილის გამოთვლის საშუალებას იძლევა.

კონტრაბანდა 2005 წელს შეადგენს: ბენზინზე 82 000 ტონას (20%), დიზელზე 49 999 ტონას (15%). 2005 წელს, წინა წელთან შედარებით, სახელმწიფო ბიუჯეტში მხოლოდ საბაჟო გადასახადების სახით შევიდა 75 054 908 ლარით მეტი, წინა წლის მონაცემებთან შედარებით. ნავთობპროდუქტების მწარმოებელთა, იმპორტიორთა და მომხმარებელთა კავშირში ასევე სხვა ნავთობპროდუქტების იმპორტის მაჩვენებლებს აქვეყნებენ: ნავთის იმპორტი 2004 წელს შეადგენდა 29 000 ტონას, 2005 წელს - 37 000 ტონას; საცხებ-საპოხი ზეთის იმპორტი შეადგენდა 2004 წელს 7 500 ტონას, 2005 წელს 10 628 ტონას. კავშირში იმედს გამოთქვამენ ამ ტენდენციის 2006 წელსაც შენარჩუნების შესახებ, რაც ლეგალური ბიზნესის განვითარებაზე და, შესაბამისად, საბიუჯეტო შემოსავლების ზრდაზე დადებითად იმოქმედებს. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი.**

### ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი ექსპლუატაციაში ივნისის ბოლოს შევა

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის ექსპლუატაციაში გაშვება, სავარაუდოდ, 2006 წლის ივნისის მეორე ნახევრიდან იგეგმება, - განუცხადა სააგენტო ტრენდს თურქეთის რესპუბლიკის სრულუფლებიანმა და საგანგებო ელჩმა აზერბაიჯანში თურან მორალიმ. "სამუშაოების მიმდინარე ეტაპის ანალიზის საფუძველზე შემიძლია ვთქვა, რომ თურქეთის ჯეიჰანის ტერმინალის ოფიციალური გახსნა ივნისის მეორე ნახევარში შედგება," - განაცხადა ელჩმა. მისი თქმით, ტერმინალის გახსნის ცერემონიის ზუსტი თარიღი ჯერ არ არის ცნობილი. ჯეიჰანის ტერმინალის გახსნა მაისში იგეგმებოდა, თუმცა თურქეთის პრეზიდენტმა ახმედ ნეჯეთ სეზერმა განაცხადა, რომ ტერმინალი ივნისში გაიხსნება. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი.**

# მადამ მილიარდი

83 წლის ლილიან ბეტანკური და მასზე 15 წლის უფროსი L'Oreal-ი

პირველი გვერდიდან

მსოფლიოს უმდიდრესი ქალბატონი, რომლის ოჯახს, როგორც ამბობენ, თავის დროზე საკმაოდ მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა ნაცისტურ რეჟიმთან, ქველმოქმედებითაც არის განთქმული. კერძოდ, მან დააარსა შულერ-ბეტანკურის ფონდი, რომელიც ყოველწლიურად განსაკუთრებით წარმატებულ, 45 წლამდე ასაკის ახალგაზრდა ნიჭიერ ევროპელებს 300 ათასი დოლარით აჯილდოვებს.

## არშემდგარი კონდიტერის გენია

L'Oreal-ის დამაარსებელი, ლილიან ბეტანკურის მამა იუჟინ შულერი 1881 წელს პარიზში დაიბადა. სკოლაში სწავლის პერიოდში იგი თავის მშობლებს საკონდიტრო ფარდულში ეხმარებოდა და თავადაც ოჯახური ბიზნესისათვის ხელის მოკიდებას, ანუ კონდიტერად გახდომას აპირებდა. მაგრამ როცა იუჟინი 10 წლის გახდა, მისი მშობლები გაკოტრდნენ და პატარა ქალაქ ნელიში გადასახლდნენ. იქ მოულოდნელად გაუმართლათ: სენტ-კრუას კოლეჯმა გამოცდილ კონდიტერებს მოსწავლეებისათვის ფუნთუშები შეუკვეთა, სანაცვლოდ კი იუჟინს უფასოდ სწავლის უფლება მისცეს.

ამ პრესტიჟულ კოლეჯში სწავლის მოკლე დროის განმავლობაში ბიჭი ქიმიით დაინტერესდა, თუმცა, განათლების მიღება არ დასცალდა. მისი მშობლები კვლავ გაკოტრდნენ და ამჯერად ელვასში გადაბარგდნენ, სადაც იუჟინი მებარგულად მუშაობდა. საღამოობით კი ფარდულში ჩაიკეტებოდა, ქიმიის სახელმძღვანელოებს კითხულობდა და ზოგჯერ ცდებსაც ატარებდა.

1900 წლისათვის მან ცოტა ფული შეაგროვა, პარიზში გაემგზავრა და ქიმიის ინსტიტუტში ჩააბარა. სამი წლის შემდეგ ინჟინერ-ქიმიკოსის დიპლომით ხელდამშვენებულმა, 22 წლის იუჟინმა სორბონაში ლაბორანტის თანაშემწის სამუშაო იშოვნა.

ამბობენ, რომ 1907 წელს ლაბორატორიიდან შინ დაბრუნებულმა იუჟინმა მტირალი ცოლი იხილა. ცრემლის მიზეზი დალაქთან უილბლო ვიზიტი იყო, რომლის შემდეგაც ქალის ქერა, ხვეული, მშვენიერი თმა ჩალის ყვითელ ღერებს დაემსგავსა. იუჟინმა მეუღლე დაამშვიდა და დაჰპირდა, რომ გამოიგონებდა ჯადოსნურ საღებავს, რომელიც მის თმებს ძველ სილამაზეს დაუბრუნებდა.

იმ პერიოდში ქალები ბუნებრივ მინერალებზე დამზადებულ თმის საღებავს იყენებდნენ, რომლის მთავარი ნაკლი ფერთა გამის არქონა იყო. იუჟინმა გადაწყვიტა, სპილენძის, რკინის მარილების და ნატრიუმის სულფატის შემცველი სინთეტიკური საღებავი შეექმნა, რომელიც ქალებს სასურველი ფერის არჩევის საშუალებას მისცემდა და თმასაც დაარბილებდა.

ახალგაზრდა სწავლულმა პარიზის ცენტრალურ აფთიაქში მუშაობა დაიწყო. აქ მას თავისი ქიმიური ხელოვნების გამოყენებისათვის უკეთესი პირობები ჰქონდა შექმნილი და მალე მისმა ცოლმა ახალი საღებავი გამოსცადა. წარმატებული ტესტირების შემდეგ შულერმა გადაწყვიტა, საღებავი ადგილობრივი, ნაცნობი სტილისტისათვის L'Aureale-ს სახელით შეეთავაზებინა. როცა ცოტა ხანში სტილისტმა საღებავის ახალი პარტია მოითხოვა, მისი წარმოების საკითხი დადგა. ამისათვის შულერმა თავისი ოროთახიანი ბინა გამოიყენა: სასადილო სადემონსტრაციო დარბაზის მაგივრობას ასრულებდა, საძინებელი კი - ლაბორატორიის. იუჟინი ღამით საღებავს ამზადებდა, დილით დალაქებთან მიჰქონდა.

## მარად ნოვატორული

შულერის მიერ 1907 წელს დაარსებული კომპანიის - "თმის უსაფრთხო საღებავები" - საწყისი კაპიტალი 800 ფრანკი იყო. ორი წლის შემდეგ მან ბუღალტერი ეპერნზი გაიცნო, რომელმაც მემკვიდრეობით 25 ათასი ფრანკი მიიღო. მადამ ეპერნზი და მისი მეგობარი ქალები L'Aureale-ს საღებავებით აღტაცებულნი იყვნენ და ბუღალტერმა თავისი ფულის ახალ საწარმოში ჩადება გარისკა.

კომპანიას სახელი გადაარქვეს და L'Oreal-ი უწოდეს. მარკა რომ ცნობილი გამხდარიყო, გამოუშვეს გაზეთი "პარიზელი დალაქი", რომელშიც შულერი მკითხველს საკუთარი პროდუქციის შესახებ უამბობდა და, კიდევ, კონკურენტთა შესახებ ფასიან ინფორმაციასაც ათავსებდა. ეს გაზეთი მალე ძალიან პოპულარული გახდა და მას უკვე არა მარტო საფრანგეთში, არამედ იტალიაში, ავსტრიასა და ჰოლანდიაშიც კითხულობდნენ.

1918 წელს არმიიდან დაბრუნებული შულერი სათავეში ჩაუდგა პოლიმერების მწარმოებელ პატარა ფირმას და იგი ძლიერ კომპანია Nobel Franciase-ედ აქცია. რამდენიმე წლის შემდეგ მან ამერიკული კომპანია Valentune-ს ფრანგული ფილიალი შექმნა და ცელულიტური ლაქის წარმოებას შეუდგა. 20-იან წლებში "ბინის ლაბორატორია" ქარხნად იქცა, რომელშიც 100 ადამიანი მუშაობდა.

30-იანი წლების აღორძინებულ ევროპაში კოსმეტიკური ბიზნესის განვითარებისათვის მშვენიერი სიტუაცია იყო შექმნილი - ადამიანები თავიანთი გარეგნობის გაუმჯობესებაზე სულ უფრო მეტს ფიქრობდნენ. 1928 წელს შულერმა შეიძინა ტუალეტის საპონის მწარმოებელი პატარა კომპანია Monsavon, რამაც L'Oreal-ს ტუალეტის საშუალებათა მეტად სწრაფად მზარდ ბაზარზე ფეხის მოკიდების საშუალება მისცა. ათი წლის შემდეგ Monsavon-ის საპონი საფრანგეთში ყველაზე პოპულარული გახდა. 1934 წელს L'Oreal-მა გამოუშვა პირველი თხევადი შამპუნი Dop. ეს ნამდვილი რევოლუცია იყო, რადგან იქამდე თავის დასაბანად ჩვეულებრივ საპონს იყენებდნენ. 1936 წელს კი შულერმა გამოიგონა პირველი, მზისგან დამცავი კრემი Ambore Solaire.

მეორე მსოფლიო ომის წინ L'Oreal-ს 300-ზე მეტი წარმომადგენელი ჰყავდა და მის ქარხნებში 1000-მდე ადამიანი მუშაობდა. მათ შორის იყო დამაარსებლის გოგონა. სამწუხაროდ, მეუღლის ნაადრევად გარდაცვალების გამო იუჟინს მხოლოდ ერთი შვილი ჰყავდა. 1922 წელს დაბადებული ლილიანი, ეკონომიკური განათლების მიღებასთან ერთად, მამის კომპანიის პროდუქციაზე იარლიყების დაკვრასაც ახერხებდა.

ომის პერიოდს კი უკავშირდება კომპანიის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ხმაურიანი სკანდალი. კერძოდ, შარშანწინ ნაცისტური რეჟიმის პერიოდში დაზარალებულმა პარიზელმა ებრაელებმა პარფიუმერული გიგანტი დამპყრობლებთან თანამშრომლობაში და რეპრესირებულთა ქონების მითვისებაში დაადანაშაულეს. როგორც ამბობენ, L'Oreal-ის ფაშისტებთან კარგ ურთიერთობას ხელი შულერის მომავალმა სიძემ ანდრე ბეტანკურმა შეუწყო, რომელმაც ლილიანი 1950 წელს შეირთო.

ასე იყო თუ ისე, მეორე მსოფლიო ომის დასრულებას L'Oreal-ი საკმაოდ წელგამართული შეხვდა და მომხმარებელს კიდევ ერთი სიახლე - თმის ძირების გასამაგრებული ქიმიური საშუალება შესთავაზა. ორი წლის შემდეგ კი ბაზარზე გამოჩნდა თვითგამოყენებისათვის გათვლილი, თმის პირველი საღებავი Rege-Color -ი. სწორედ ამ პერიოდიდან კომპანიის პროდუქცია უკვე არა მარტო სილამაზის სალონებში, არამედ მაღაზიებსა და აფთიაქებში იყიდებოდა. ამასთან, ერთ-ერთმა პირველმა, შულერმა განახორციელა ძალზე მსხვილი და ხანგრძლივი სარეკლამო კამპანია.

## შულერის მემკვიდრეობა

1953 წელს შულერმა აშშ-ში გახსნა L'Oreal-ის პირველი ფილიალი. იმავე წელს კომპანიას საუკეთესო რეკლამისათვის "ოსკარი" გადაეცა. სამი წლის შემდეგ კი შულერი გარდაიცვალა და კომპანია ლილიან და ანდრე ბეტანკურებს დარჩათ. მათ L'Oreal-ის მმართველად იუჟინის მეგობარი და თანამოაზრე ფრანსუა დალი დანიშნეს. სწორედ მან განახორციელა ბიზნესის დივერსიფიკაცია და რამდენიმე ახალი მარკაც გამოუშვა. ამასთან, დალის ინიციატივით 1963 წელს L'Oreal-ი პარიზის საფონდო ბირჟაზე დარეგისტრირდა.

დალმა ცოლ-ქმარ ბეტანკურთა ზედამხედველობით იუჟინ შულერის კურსი გააგრძელა, რაც მომხმარებლისათვის გამუდმებით სიახლის შეთავაზებაში, სხვადასხვა ქვეყნებში ფილიალების გახსნასა და ფართომასშტაბიანი სარეკლამო კამპანიის, რომელშიც მუდამ უამრავი ცნობილი სახე მონაწილეობდა, წარმოებაში გამოიხატებოდა. აღსანიშნავია, რომ დღემდე კომპანია თავისი შემოსავლის 30 პროცენტს რეკლამაში ხარჯავს. 1967 წელს სარეკლამო სააგენტომ McCann Ericksoნ-მა შეიმუშავა L'Oreal-ის სარეკლამო ფრაზა "მე ხომ ამას ვიმსახურებ."

1970 წელს L'Oreal-მა შეიერთა კომპანიები: Biotherm, Laboratories, Vichy, ფარმაცევტული ცენტრი Synthelado და მარკა Gemey. 4 წლის შემდეგ ლილიან ბეტანკურის ინიციატივით გაფორმდა ხელშეკრულება Nestle-სთან.

1984 წელს ლილიან ბეტანკურმა, გადაბერებული დალის ნაცვლად, კომპანიის პრეზიდენტად შარლ ზვიაკი მოიწვია. მისი ოთხწლიანი მოღვაწეობის პერიოდში შეიქმნა Studio Line და კვლევითი ცენტრი Galderm.

1987 წელს ლილიანმა დააარსა თავისი საქველმოქმედო ფონდი, რომელიც თავდაპირველად ნიჭიერ ხელოვან ახალგაზრდებს აჯილდოებდა. მოგვიანებით ბეტარკურტმა სპექტრი გააფართოვა და სხვა, კერძოდ კი მეცნიერების სფეროში დასაქმებულთა დახმარებაც გადაწყვიტა.

1988 წელს L'Oreal-ს სათავეში ლინდსი ოუენ-ჯონსი ჩაუდგა, რომელიც პოსტს დღემდე ინარჩუნებს. მისი ხელმძღვანელობით კომპანიამ პოზიციები კიდევ უფრო განიმტკიცა და აღმოსავლეთევროპულ, აზიურ და აფრიკულ ბაზრებზე გავიდა. რაც მთავარია, ამ პერიოდში გამოჩნდა ისეთი ცნობილი მარკები, როგორებიცაა: Jade, Meybelline, Ombrelle, Matrix და ა.შ. დიდი მნიშვნელობა მიენიჭა ახალგაზრდული ბაზრის ათვისებას, რასაც ადრე ნაკლები ყურადღება ექცეოდა. ამან კომპანიას დიდძალი მოგება მოუტანა.

ძალზე მნიშვნელოვანი აღმოჩნდა 2002 წელს L'Oreal-ის ჩინეთში ექსპანსია. ამან კომპანიის მოგება 61 პროცენტით გაზარდა, და ეს მაშინ, როცა ამ ქვეყანაში კოსმეტიკური ბაზარი მთლიანად 14 პროცენტით გაფართოვდა.

ამ დროისათვის L'Oreal-ს საკუთარი წარმომადგენლობები აქვს მსოფლიოს 130-ზე მეტ ქვეყანაში. გარდა ამისა, კომპანია დიდ მნიშვნელობას ანიჭებს გამოკვლევებს, რაზეც არის სწორედ დაფუძნებული მისი კონკურენტუნარიანობა. სხვადასხვა ქვეყანაში არსებულ, კომპანიის 42 ქარხანაში და 13 კვლევით ცენტრში 98 ეროვნების 52 ათასამდე ადამიანი მუშაობს.

ამდენად, გასაკვირი არ არის, რომ ეგზომ წარმატებული კომპანიის მემკვიდრეობითი მფლობელი მსოფლიოს უმდიდრესი ქალბატონია. თუმცა, უნდა ითქვას, რომ მადამ ბეტანკური, რომელიც ორი წლის წინ საფრანგეთის საპატიო ორდენის კავალერი გახდა, ამჯობინებს, შეძლებული უწოდონ. საერთოდ, თავისი ოჯახის ყველა წევრს, მათ შორის, რა თქმა უნდა, ერთადერთ გოგონას და მემკვიდრეს ფრანსუაზას, რომელიც, თუ ქალბატონ ლილიანის ასაკიდან გამომდინარე ვიმსჯელებთ, მალე, ალბათ, მსოფლიოს უმდიდრესი ქალი გახდება, ურჩევს, რეიტინგებს ნაკლები ყურადღება მიაქციონ. საერთოდ, მადამ ბეტანკური ამჯობინებს, პრესაში იშვიათად გამოჩნდეს. შესაძლოა იმიტომ, რომ დარწმუნებულია - ის პირველია.












## ამერიკის საფონდო ბირჟაზე სიტუაცია არ შეცვლილა

გუშინ ამერიკის საფონდო ბირჟაზე სიტუაცია, პრაქტიკულად, არ შეცვლილა, რაც ინვესტორთა მიერ ფედერალური სარეზერვო სისტემის შემაჯამებელი სხდომის შედეგების მოლოდინმა განაპირობა.

თბილისის დროით 18.35-ზე Dow Jones Industrial Index მხოლოდ 0,02 პროცენტით 11.247,147-მდე შემცირდა. ხოლო Nasdaq Hi-Tech Composite Index 0,06 პროცენტით გაიზარდა და 2.317,07 პუნქტი შეადგინა.

*29 მარტი. 01:00.*










## მობილური კავშირგაბმულობის კომპანიები ევროკომისიის ინიციატივით დაზარალდებიან

მობილური ტელეფონების ევროპელმა მფლობელებმა მალე, შეიძლება, უცხოეთიდან შინ დარეკვისათვის ნაკლები თანხა გადაიხადონ. შესაბამისი კანონპროექტის მომზადების ინიციატივით ევროკომისია გამოვიდა.

თუ აღნიშნულ პროექტს ევროპარლამენტი დაამტკიცებს, როუმინგული მომსახურებისათვის არსებული დამატებითი გადასახადები გაუქმდება და უცხოეთიდან დარეკვა იმდენივე ეღირება, რამდენიც ევროპის ტერიტორიაზე განხორციელებული ზარი.

ცხადია, აღნიშნული კანონით გვარიანად დაზარალდებიან მობილური კავშირგაბმულობის კომპანიები. როგორც ბანკ Dresden Kleinwort Wasserstein-ის ექსპერტები აცხადებენ, კომპანიების საერთო მოგების 8-დან 15 პროცენტს სწორედ როუმინგული მომსახურებისაგან მიღებული შემოსავალი შეადგენს.

## უკრაინის რეიტინგი ჯერჯერობით არ შეცვლილა

საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტომ Moody's განაცხადა, რომ უკრაინაში გამართული საპარლამენტო არჩევნების შედეგები ქვეყნის კრედუნარიანობის რეიტინგზე არ აისახება და იგი კვლავ მყარად B1 ნიშნულზე რჩება. თუმცა, ისიც ითქვა, რომ სააგენტო ყურადღებით დააკვირდება მმართველი კოალიციის შექმნას, რომელმაც მაკროეკონომიკური რეფორმები უნდა განახორციელოს.

კიდევ ორმა წამყვანმა სარეიტინგო სააგენტომ Standard & Pool's და Fitch განაცხადეს, რომ საპარლამენტო არჩევნების შედეგს გავლენა, ჯერჯერობით, ქვეყნის სუვერენულ რეიტინგებზე არ მოუხდენია. მათ, აგრეთვე, აღნიშნეს, რომ ახალი მთავრობის მიერ სუსტი ეკონომიკის ფეხზე დასაყენებლად მიმართული ძალისხმევა ქვეყნის შეფასებაზე გადამწყვეტ გავლენას მოახდენს.

## ჩინეთს მსოფლიოში უდიდესი სავალუტო რეზერვი აქვს

ჩინეთის უცხოური ვალუტის რეზერვი თებერვალში 8,5 მილიარდი დოლარით გაიზარდა და 853,7 მილიარდ დოლარს მიაღწია. შედეგად, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ იაპონიას, რომლის სავალუტო რეზერვი 850,1 მილიარდ დოლარს შეადგენს, გაუსწრო და მსოფლიოში პირველი ადგილი დაიკავა. თუმცა ამასთან, აღინიშნა, რომ თებერვალში ზრდის ტემპი აშკარად შენელდა იანვართან შედარებით, როცა უცხოური ვალუტის რეზერვი 26,3 მილიარდი დოლარით გაიზარდა. ისიც ითქვა, რომ ჩინეთის ეკონომიკაში კვლავინდებურად გარკვეული დაუბალანსებლობა აღინიშნება.

## სს "კარტოგრაფიის" 32,28-პროცენტიანი სახელმწიფო წილი იყიდება

სს "კარტოგრაფიის" 32,28-პროცენტიანი სახელმწიფო წილი 150 000 დოლარად იყიდება. მისი პრივატიზაციის მიზნით, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ განაცხადების მიღება უკვე დაიწყო, რაც 27 აპრილამდე გაგრძელდება.

სს "კარტოგრაფიის" საქმიანობის სფეროს წარმოადგენს ტოპოგეოდეზიური, თემატური, ეკოლოგიური, საცნობარო, ტურისტული რუკებისა და ატლასების, ფოტოგეგმების და სხვა კარტოგრაფიული პროდუქციის გამოსაცემად მომზადება და მათი გამოცემა.

ობიექტი თბილისში, ფორე მოსულიშვილის ქუჩის N1-ში მდებარეობს. მისი საწესდებო კაპიტალი 687 103 ლარია, დებიტორული დავალიანება - 88 565, ხოლო კრედიტორული დავალიანება - 44 921 ლარი. აუქციონი ეკონომიკური განვითარების სამინისტროში 27 აპრილს 18 საათზე გაიმართება. **ჯი-ეიჩ-ენი.**

## ინდივიდუალური გამრიცხველიანება გრძელდება

"საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" ქვემო ქართლის ფილიალმა ქალაქ ბოლნისის მოსახლეობის ნახევარს ინდივიდუალური მრიცხველები დაუმონტაჟა. ენერგოკომპანიაში აცხადებენ, რომ სათანადო სტანდარტების შესაბამისი ინდივიდუალური აღრიცხვის კვანძი უკვე დაახლოებით 1 500 აბონენტს გააჩნია.

ბოლნისის რაიონის გამგეობისა და ენერგოკომპანიის ერთობლივი პროექტის ფარგლებში, ქალაქ ბოლნისის ინდივიდუალური გამრიცხველიანება 2005 წლის დეკემბერში დაიწყო. ქალაქ ბოლნისში სულ 3 000-მდე ინდივიდუალური მრიცხველის განთავსება იგეგმება, პროექტის ღირებულება კი 420 000 ლარს შეადგენს.

"ბოლნისის გამგეობასა და ენერგოკომპანიას შორის გაფორმებული ხელშეკრულებით, ქალაქის ინდივიდუალური გამრიცხველიანება მიმდინარე წლის მაისის ბოლოს დასრულდება," - აცხადებენ ქვემო ქართლის ფილიალის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში.

"საქართველოს გაერთიანებულმა სადისტრიბუციო ენერგოკომპანიამ" გუშინ ოზურგეთის ინდივიდუალური გამრიცხველიანებაც დაიწყო. ენერგოკომპანიაში აცხადებენ, რომ საქართველოს მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით, ენერგოკომპანია ოზურგეთში ინდივიდუალურ მრიცხველს 6 900 აბონენტს დაუყენებს. სამუშაოებს ადგილობრივი მცხოვრებლებით დაკომპლექტებული სპეციალურად შექმნილი ბრიგადები განახორციელებენ. გამრიცხველიანება, სავარაუდოდ, 4 თვეში დასრულდება. პარალელურად, გათვალისწინებულია სარეაბილიტაციო სამუშაოების შესრულებაც. კერძოდ, მოძველებული სადენებისა და ბოძების გამოცვლა. **ინტერპრესნიუსი.**

## სავალუტო ფონდი საქართველოს საკითხს განიხილავს

გუშინ საერთაშორისო სავალუტო ფონდის დირექტორთა საბჭომ "ეკონომიკური და ფინანსური პოლიტიკის შესახებ" ის მემორანდუმი განიხილა, რომელიც საქართველოს მთავრობასა და ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობას შორის გაფორმდა. მემორანდუმის დამტკიცების შემთხვევაში, საქართველო საერთაშორისო სავალუტო რეზერვების შესავსებად მორიგ ტრანშს - დაახლოებით 20 მილიონ აშშ დოლარს მიიღებს. ტრანში, სავარაუდოდ, აპრილში გადმოირიცხება. მემორანდუმის მიხედვით, 2006 წლის ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები შემდეგნაირად განისაზღვრა: მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა დაიგეგმა 7,5 პროცენტის ფარგლებში, ინფლაციის ზღვრული მაჩვენებელი კი 5-6 პროცენტის დონეზე შენარჩუნდება.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის "სიღარიბის დაძლევისა და ეკონომიკური ზრდის" პროგრამა, დაახლოებით, 141,6 მილიონი აშშ დოლარის მოცულობით, 2004 წლის 4 ივნისს დამტკიცდა. აღნიშნული სამწლიანი პროგრამის ფარგლებში პირველი ტრანში, დაახლოებით 20 მლნ აშშ დოლარის ოდენობით, ეროვნულმა ბანკმა 2004 წლის 21 ივნისს მიიღო. მეორე ტრანში საქართველოს ეროვნული ბანკის ანგარიშზე 2005 წლის 11 იანვარს, ხოლო მესამე - 5 აგვისტოს ჩაირიცხა.

"სიღარიბის დაძლევისა და ეკონომიკური ზრდის" პროგრამის კრედიტების ვადა განისაზღვრება 10 წლით, 0,5 პროცენტი წლიური სარგებლის გადახდითა და 5,5-წლიანი შეღავათიანი პერიოდით. **ჯი-ეიჩ-ენი.**

## ამინდი

| | 29/03 | 30/03 | 31/03 |
|---|---|---|---|
| კიევი | 7 | 3 | 7 |
| რიგა | 6 | 6 | 6 |
| ვილნიუსი | 5 | 2 | 7 |
| მოსკოვი | 3 | 3 | 1 |
| მინსკი | 6 | 2 | 3 |
| პარიზი | 10 | 12 | 15 |
| რომი | 15 | 18 | 18 |
| ლონდონი | 11 | 12 | 12 |
| მადრიდი | 18 | 22 | 25 |
| ბონი | 9 | 11 | 12 |
| ვარშავა | 10 | 7 | 7 |
| ათენა | 20 | 20 | 21 |
| ბერნი | 8 | 8 | 17 |
| ამსტერდამი | 4 | 6 | 6 |
| ოსლო | 3 | 2 | 4 |
| ანკარა | 22 | 21 | 21 |
| ვარნა | 21 | 17 | 21 |
| დელი | 35 | 37 | 37 |
| ტოკიო | 14 | 16 | 11 |
| კოპენჰაგენი | 1 | 2 | 5 |
| ბაქო | 13 | 18 | 21 |
| ერევანი | 18 | 21 | 22 |
| ასტანა | -6 | -2 | 6 |
| ჰელსინკი | 0 | 0 | -6 |
| დუბლინი | 5 | 4 | 5 |
| ლისაბონი | 18 | 22 | 23 |
| პრაღა | 3 | 2 | 10 |
| სოფია | 16 | 17 | 17 |
| ბუდაპეშტი | 8 | 16 | 15 |
| ბუხარესტი | 20 | 20 | 17 |

# ანონიმური ბიზნესშეტყობინება

თინა შავაძე


№02-03/9151-4

სამსახურებრივი ბარათი

[redacted]

[redacted]

13.03.06


№02-03/5197-4

სამსახურებრივი ბარათი

[redacted]

22.02.06

"სახანძრო სამსახურის თანამშრომლებს თუ მოემატებათ ხელფასი, მარტოხელების 22-ლარიანი დახმარება გაიზრდება თუ არა?" - კასპისა და ახალციხის რაიონებიდან ასეთი სახის სატელეფონო შეკითხვები გუშინ, დღის პირველ ნახევარში, ფინანსთა სამინისტროში მოქმედ "ცხელ ხაზზე" შევიდა. სატელეფონო ზარების კლასიფიკაციით ირკვევა, რომ მეწარმესა და სახელმწიფო მოხელეს შორის ურთიერთობის შესახებ შეტყობინება ხშირად ანონიმურ ხასიათს ატარებს, რაც იმას ნიშნავს, რომ შიშის ფაქტორი ჯერ კიდევ არსებობს.

სახელმწიფო სტრუქტურასა და საზოგადოებას შორის ნდობის მოპოვება სხვადასხვა მექანიზმების გამოყენებით ხდება. მათ შორის ერთ-ერთია "ცხელი ხაზი", როცა მითითებულ ნომერზე მოქალაქეები კონკრეტულ საკითხებზე რეკავენ და კომპეტენტური სამსახურებისგან შესაბამის პასუხებსაც იღებენ. ამ მიზნით ბევრ სახელმწიფო სამსახურში სამუშაო საათებში მოქმედებს ცხელი ხაზი. მიმდინარე წელს ფინანსთა სამინისტროში 635-მა მოქალაქემ დარეკა. სამინისტროში ყოველდღიურად საშუალოდ 15-17 სატელეფონო შეტყობინება შედის. თებერვალში 271-მა მოქალაქემ დარეკა. შეკითხვების ძირითადი თემებია: როდის მოხდება სახელფასო დავალიანების დაფარვა - 32 ზარი; სახელმწიფო ჯილდოებთან დაკავშირებული ერთდროული ფულადი პრემიის მისაღებად რა საბუთების წარდგენაა საჭირო და როდის მიიღებენ კუთვნილ თანხას - 73 ზარი; საჯარო სამსახურებიდან გათავისუფლებულ მოხელეს, კომპენსაციის სახით, ეძლევა თუ არა 2 თვის თანამდებობრივი სარგო - 15 ზარი; როდის მოხდება 2003 წლის საპენსიო დავალიანების დაფარვა - 12 ზარი; ფინანსთა სამინისტროში როდის დაიწყება კონკურსი სტაჟირებასთან დაკავშირებით - 13 ზარი; საკონტროლო-სალარო აპარატების შეძენის საკითხი ვის ეხება და სად შეიძლება მისი შეძენა - 28 ზარი.

რამდენიმე შეკითხვა შეეხებოდა საკითხებს: როდის მოხდება პრეზიდენტის სტიპენდიების დავალიანების გასტუმრება; საქართველოს 1992 წლის შინაგანი მომგებიანი სესხის ობლიგაციების ანაზღაურება; ყოფილ სახელმწიფო კომერციულ ბანკებში მოსახლეობის მიერ შეტანილი ანაბრების გასტუმრება, კოოპერატიულ ბინათმშენებლობაზე შეტანილი თანხების დაბრუნება; ვინ გასცემს ლომბარდის ლიცენზიას და სხვა.

ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო დეპარტამენტის უფროსი დავით ხოსრუაშვილი ობლიგაციებისა და კოოპერატიული ბინათმშენებლობის შესახებ განმარტავს: "გაცნობებთ, რომ "სახელმწიფო ვალის შესახებ" საქართველოს კანონის 48-ე მუხლის პირველი პუნქტით აღიარებული სახელმწიფო საშინაო ვალის პრობლემების განხილვის, მოწესრიგებისა და რეკომენდაციების შემუშავების მიზნით საქართველოს მთავრობის 2004 წლის 15 ნოემბრის N108 დადგენილებით შექმნილ საქართველოს სახელმწიფო საშინაო ვალის პრობლემათა შემსწავლელ სახელმწიფო კომისიის უახლოეს სხდომაზე განხილული იქნება კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ აღიარებული ვალდებულებები დავალიანების ანაზღაურების შესაძლო მექანიზმები და, აგრეთვე, ფინანსთა მინისტრის ბრძანების პროექტი საქართველოს 1992 წლის შინაგანი მომგებიანი სესხის ობლიგაციების აუნაზღაურებლობით წარმოქმნილი და ყოფილი სსრკ-ს 1990 წლის სახელმწიფო უპროცენტო მიზნობრივი ობლიგაციების აუნაზღაურებლობით წარმოქმნილი დავალიანების ინვენტარიზაციის ჩატარების შესახებ."

სხვადასხვა დარღვევებთან დაკავშირებით არსებული სატელეფონო შეტყობინება წერილობითი სახით, რეაგირებისთვის, სამინისტროდან ფინანსურ პოლიციასა და საგადასახადო დეპარტამენტების უფროსებს გადაეგზავნება. გასული თვის ანონიმური შეტყობინების რამდენიმე მაგალითი.

ანონიმური ზარები:

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის უფროსს ვაჟა პეტრიაშვილს თხოვნით მიმართავს ფინანსთა სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ზაურ სესიტაშვილი, რათა შემდეგ წერილზე მიიღოს სათანადო ზომები. სამინისტროს "ცხელ ხაზზე" შემოსული ზარით ანონიმი აბონენტი გვატყობინებს: "ქ. ზესტაფონში მოქმედ სააქციო საზოგადოებას (რედაქცია არ ასახელებს საწარმოს ინტერესებიდან გამომდინარე) ბიუჯეტის წინაშე გააჩნია 160 ათასი ლარის ოდენობის დავალიანება.

ქ. ქუთაისის საგადასახადო ინსპექციის მიერ, 2005 წლის სექტემბერში, ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში შეტანილი იქნა განცხადება აღნიშნული საზოგადოების გაკოტრების წარმოების გახსნის თაობაზე, მაგრამ პროცესი 2 თვით გადაიდო, რამაც გამოიწვია ბიუჯეტის წინაშე მათი დავალიანების გაზრდა.

2006 წელს სააქციო საზოგადოების მიერ წარმოდგენილ იქნა სარეაბილიტაციო გეგმა, რომელიც არავითარ ეკონომიკურ და ფინანსურ პროგრამას არ შეიცავს. ამ გეგმის მიხედვით, პრაქტიკულად, შეუძლებელია საწარმოს აღორძინება. საგადასახადო ინსპექციამ, ნაცვლად იმისა, რომ კვლავ დაუჭიროს მხარი ბიუჯეტის სასარგებლოდ კუთვნილი თანხების ამოღებას, ხელოვნურად აჭიანურებს გაკოტრების პროცესს და უფრო მეტად ცდილობს სარეაბილიტაციო ღონისძიებების მხარდაჭერას და გაკოტრების საქმის წარმოებაზე საერთოდ უარის თქმას. ეს კი, ეკონომიკური თვალსაზრისით, სახელმწიფოს მიმართ ზიანის მიყენებას გამოიწვევს."

შემდეგი ანონიმური შეტყობინებები კი რეაგირებისთვის ფინანსური პოლიციის უფროსს დავით კეზერაშვილს გადაეგზავნა. ქ. სენაკის აეროპორტის ადმინისტრაციის საქმიანობაში არსებული ფინანსური დარღვევების გამო, აბონენტი ითხოვს მათი საფინანსო საქმიანობის დეტალურ შემოწმებას; ქ, თბილისში, რეგიონული საბაჟო "აღმოსავლეთი"-ს მიერ ყოველთვის ხდება ფირმის (კონკრეტული ფირმის სახელს რედაქცია არ ასახელებს, პრობლემები რომ არ შეექმნას) მიერ თურქეთიდან შემოტანილი "კვადრატული მილები"-ს განბაჟება 18 პროცენტში, ნაცვლად 30 პროცენტისა. განბაჟების დროს მებაჟე აღნიშნულ საქონელს უყენებს დიდი პროფილის საქონლის კოდს, ბუღალტერიაში კი ანგარიშფაქტურები გადაკეთებულია დაბალ ფასებში და კეთდება უსაქონლო ოპერაციები. მოქალაქე აღშფოთებულია მითითებული ფაქტებით და მსგავსი მოვლენების აღმოფხვრას მოითხოვს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ადგილი ექნება არაჯანსაღ კონკურენციას; თბილისში, ბაქტრიონისა და დოლიძის ქუჩების მცხოვრებთა სახელით შეტყობინება მითითებული ტერიტორიიდან გარემოვაჭრეების გაძევების მოთხოვნით.

სატელეფონო ზარების გარკვეული რაოდენობა ეხება საგადასახადო და საბაჟო დეპარტამენტის კომპეტენციაში არსებულ საკითხებს, აგრეთვე, არსებობს ისეთი ხასიათის შეკითხვებიც, რომელიც ფინანსთა სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებს სცილდება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, თითოეულ მათგანს ზუსტი ადრესატი მიეთითა.

# "რუსთავის მეტალურგიული ქარხანა" ტექნიკური უნივერსიტეტის მეტალურგიულ ფაკულტეტს დაეხმარება

მარტის მეორე ნახევარში გაიმართა შეხვედრა "რუსთავის მეტალურგიული ქარხნისა" და სტუ-ს ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის წარმომადგენლებს შორის. ორივე მხარის განცხადებით შეხვედრამ წარმატებულად ჩაიარა. დაისახა თანამშრომლობის სამომავლო გეგმები და უახლოეს პერიოდში სპეციალური მემორანდუმის გაფორმება დაიგეგმა. ზეპირი შეთანხმების საფუძველზე მეტალურგიული ქარხნის მხარე საკუთარ თავზე იღებს საუკეთესო სტუდენტების დასაქმებას და სტიპენდიების დანიშვნას. ამასთან, ქარხანა დაეხმარება ფაკულტეტს პრაქტიკული სამუშაოების ორგანიზებასა და წარმატებულად ჩატარებაში, ხელს შეუწყობს სასწავლო ლაბორატორიების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება-გაუმჯობესებას. მეტალურგიული ფაკულტეტი კი იღებს ვალდებულებას მომავალი კადრების სათანადო დონის შესაბამისად მომზადებაზე.

### მეტალურგიის ფაკულტეტის პირველ კურსზე 12 სტუდენტი ირიცხება

2005 წელს უმაღლეს სასწავლებელში მისაღები გამოცდების შემდეგ, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მეტალურგიის ფაკულტეტზე ჩარიცხულთა საერთო რაოდენობამ სულ 12 სტუდენტი შეადგინა, აქედან 8 სტუდენტი არის შავი ლითონების მეტალურგიის განხრით.

ეს ფაქტი მეტყველებს იმაზე, რომ საქართველოში მეტალურგიული დარგი სტაგნაციას განიცდის. შავი ლითონების მეტალურგიის კათედრის გამგის, საქართველოს საინჟინრო აკადემიისა და რუსეთის საბუნებისმეტყველო აკადემიის წევრ-კორესპონდენტ, **პროფესორ გურამ ლომთათიძის** თქმით: "დღესდღეობით ის სტუდენტები, ვინც ამთავრებენ უმაღლეს სასწავლებელს, არ მუშაობენ პროფესიის შესაბამისად ან საერთოდ უმუშევრები არიან. ეს ადრე იყო ვალდებულება, რომ კურსდამთავრებულს საშუალოდ 3 წელი ემუშავა იქ, სადაც მოხვდებოდა განაწილებით, რომელიც მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით ხდებოდა.

დღეს კი მოთხოვნა მეტალურგების სპეციალისტებზე თითქმის აღარ არსებობს. ამას ემატება ისიც, რომ სტუდენტთა პრაქტიკები და კათედრის წევრთა სამეცნიერო-პრაქტიკული სამუშაოები დიდი საწარმოების არქონის გამო აღარ წარმოებს".

### მეტალურგიული ქარხნის ხელმძღვანელობა ფაკულტეტის დეკანატთან მჭიდრო თანამშრომლობას გეგმავს

არსებული მძიმე მდგომარეობის გამოსწორების მიზნით მოხდა სწორედ, ზემოთ აღნიშნული შეხვედრის ორგანიზება, რომლის ინიციატორები მეტალურგიული ქარხნის წარმომადგენლები იყვნენ. სტუ-ს ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის დეკანმა, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორმა, **პროფესორმა ნუგზარ წერეთელმა** ჩვენთან საუბრისას განაცხადა, რომ: "ეს შეხვედრა მართლაც საჭირო, დროული და ნაყოფიერი აღმოჩნდა. კერძოდ ამ ბოლო წლების განმავლობაში პირველად დავინახეთ ქარხნის მესვეურთა რეალური ინტერესი კადრების მიმართ, რაც დიდ იმედს გვაძლევს, რომ ამჟამინდელი ხელმძღვანელობა საწარმოს ამუშავებით დაინტერესებულია. ჩვენი ინფორმაციით, ქარხანაში მართლაც გაცხოველებული ტემპით მიმდინარეობს აღდგენითი და სარემონტო სამუშაოები, მისი ტერიტორია და წიდა საყარი მთლიანად დაცულია, რათა არ მოხდეს ქარხნის საკუთრების შემდგომი ძარცვა. ბოლო ერთი თვის განმავლობაში მუშა-მოსამსახურეთა რაოდენობა თითქმის გაორმაგდა, დაიწყო ხელფასების დავალიანების გაცემა და სხვა".

"ჩვენ სხდომაზე ასევე შევთანხმდით, რომ უახლოეს დღეებში გაფორმდეს ფართო ხელშეკრულება საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტსა და "რუსთავის მეტალურგიულ ქარხანას" შორის ურთიერთთანამშრომლობის შესახებ. წინასწარი მოლაპარაკებით ქარხანა მზადაა ფაკულტეტის კურსდამთავრებულები სამუშაოთი უზრუნველყოს, სტუდენტებს დაუნიშნოს სტიპენდია, აამოქმედოს სპეციალისტების მომზადებისა და გადამზადების კურსები, ითანამშრომლოს ყველა იმ მეცნიერთან, რომლებიც მათთვის მისაღებ ტექნოლოგიას შესთავაზებენ, მონაწილეობა მიიღოს ფაკულტეტის თანამედროვე აპარატურით აღჭურვაში, გადაუხადოს მათ მიერ შერჩეულ სტუდენტებს სწავლების საფასური და სხვა. განუზომელია მეტალურგიული ქარხნის როლი თვით რუსთავის კეთილმოწყობასა და მოსახლეობისათვის გაზით უზრუნველყოფის საქმეში. ბოლოს მინდა იმედი ვიქონიო იმისა, რომ საქართველოში კერძოდ კი რუსთავში მეტალურგიის წარმოება კვლავ აღორძინდება და მეტალურგიის პროფესია ისეთივე საამაყო, მიმზიდველი და მოდური გახდება, როგორც გასული საუკუნის ორმოცდაათიან წლებში, როდესაც თითქმის ყველა მედალოსანი სკოლადამთავრებული ჩვენი ფაკულტეტის სტუდენტი ხდებოდა", - დაამატა ბატონმა ნუგზარმა.

### სიახლეები "რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში"

დღეისათვის რუსთავის მეტალურგიულ ქარხანას ჰყავს ახალი ინვესტორი **"ენერგია და ინდუსტრია კომპლექსის"** სახით, რომელსაც მიზნად აქვს დასახული ქარხნის სრული ამუშავება და ყველაფერს აკეთებს ამისთვის. ამის მისაღწევად ახალმა ხელმძღვანელობამ უკვე გაატარა მნიშვნელოვანი ღონისძიებები: აიკრძალა ტერიტორიიდან ჯართის და წიდის გატანა, ხდება ახალ თანამშრომლების მიღება, იზრდება ხელფასები და სხვ. ამასთან, მოწვეული სპეციალისტები წამყვანი უცხოური კომპანიებიდან სწავლობენ ქარხნის მდგომარეობას და მისი შემდგომი განვითარების პოტენციალს.

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგური" (საქართველო, 4401 ფოთი, დ. აღმაშენებლის N52, ტელ-ფაქსი: 8(293) 7-01-48), **bjojua@potiseaport.com,** საინდ/კოდი 215080999, საბანკო რეკვიზიტები "თი-ბი-სი" ბანკის ფოთის ფილიალი ა/ა 609103, ბ/კ 220101937; ან Bankers Trust Company, New york Ny 10006, Swift BKTRU 33, FED. ABA-021001003, CHIPS UID-090400, Cor. Acc. 04414200. TBS - BANK. CHIPS UID N368655. SWIFT TBCB GE22. for TBC BANK P0ti Branch. acc N10070337. LTD Poti SEA PORT აცხადებს ღია ტენდერს რკინიგზის სათადარიგო ნაწილების შესყიდვაზე.

2. შესასყიდი საქონლის დასახელება და რაოდენობა:

- რელსი ღ-65 - 175ტ;
- რკინა ბეტონის შპალი 1700ც;
- სამაგრი ელემენტები R-65 - 57ტ;
- საისრე გადამყვანი R-65 1/9 ტიპიის - 2 კომპლექტი;
- შპალი ხის - L=5,5 - 6,0მ ისრული გადამყვანისათვის - 30მ3;
- რეზინის საფენი - 3800ც;
- ხის შპალი L=2,75მ - 1100ც;
- ომბოხი - 5ტ;
- სამაგრი ელემენტები R-50-ის ხის შპალებისათვის - 2ტ; რკინა ბეტონის შპლაებისათვის - 6ტ.

2.1 საქონლის მოწოდება უნდა განხორციელდეს შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგური"-ს ცენტრალურ საწყობში "მიმწოდებლის" ხარჯებითა და სატრანსპორტო საშუალებებით.

3. საქონლის მიწოდების სასურველი ვადაა: 2006 წლის მაისი-ივნისი (ეტაპობრივად)

4. დაინტერესებულმა პირებმა სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ ქართველმა "მიმწოდებელმა" - ქართულად, ხოლო უცხოელმა "მიმწოდებელმა", თავისი ქვეყნის კანონით დადგენილი შესაბამისი უწყებებიდან მისთვის სასურველ ენაზე, რომელსაც აუცილებლად უნდა ახლდეს ნოტარიულად დამოწმებული ქართულენოვანი თარგმანი შემდეგ მისამართზე: ქ. ფოთი, დ. აღმაშენებლის ქ. N52, შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგური"-ს ადმინისტაციული შენობის პირველი სართული, კანცელარია

4.1 წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა იქნეს ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლების სახით.

5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას;

**5.1 იურდიული პირებისათვის;**

5.1.1. ცნობა სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს მისი გაკოტრების ან სანაციის საქმე;

5.1.2. ცნობა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის

ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

5.1.3 ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 3 (სამი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული.

**5.2 ფიზიკური პირისათვის:**

5.2.1. ცნობა სასამართლოდან, რომ ის ქმედითუნარიანია;

52.2. ცნობა საქ. შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ იგი უკანასკნელი 3 (სამი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული.

5.2.3 ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე.

5.3 იურიდიული და ფიზიკური პირებისათვის:

5.3.1. მონაწილის იურიდიული სტატუსი (ასლის დართვით) რეგისტრაციის ადგილი, საბანკო რეკვიზიტები, მოღვაწეობის ძირითადი ადგილი (მიუთითეთ საკონტაქტო პირის ტელეფონი-ფაქსი)

5.3.2. ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან მისი ფინანსური მდგომარეობის შესახებ.

5.3.3. უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდება

| N | საქონლის დასახელება | შემსყიდველის დასახახელება | ხელშეკრულების ღირებულება |
|---|---|---|---|
| 1 | | | |
| 2 | | | |
| | | | |
| | | | |

6. ტენდერში მონაწილე ვერ გაივლის (საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება) თუ ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-5 პუნქტში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

7. სატენდერო დოკუმენტაციის (პაკეტის) გატანისათვის პრეტენდენტმა უნდა გადაიხადოს სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით განცხადების პირველ პუნქტში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

8. სატენდერო დოკუმენტაციის გაცემა (სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ) განხორციელდება 2006 წლის 11 აპრილიდან 2006 წლის 14 აპრილის 1700 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. ფოთი, დ. აღმაშენებლის ქ. N52, შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგური"-ს ადმინისტრაციული შენობის პირველ სართული. სატენდერო კომისიის აპარატი. საკონტაქტო ტელ-ფაქსი: 8(293) 7-01-48.

9. დალუქულ კონვერტებში სატენდერო წინადადებისა და საკვალიფიკაციო მონაცემების წამოდგენის ბოლო ვადაა: 2006 წლის 21 აპრილის 1700 საათამდე განცხადების მე-4 პუნქტში მითითებულ მისამართზე.

10. ტენდერში გამოიყენება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტია სატენდერო წინადადების მთლიანი ღირებულების 1%-ის ოდენობით.

11. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტიის მოქმედების ვადა 30 დღით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას.

12. ტენდერში პრეტენდენტის გამარჯვების შემთხვევაში გამოიყენება ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტია, ხელშეკრულების ფასის 5%-ის ოდენობით.

13. ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტიის ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების პირობების შესრულების ბოლომდე.

14. სატენდერო კომისიის მიერ მითითებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ასევე ეხება სუბკონტრაქტორებს, რომლებიც იქნებიან ჩართულნი "სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შესრულების პროცესში.

15. ტენდერში შესაძლებელია რამდენიმე გმარჯვებულის გამოვლენა.

16. ტენდერში მონაწილეებმა სატენდერო წინადადებასა და საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად უნდა წარმოადგინონ მოსაწოდებელი საქონლის ხარისხისა და შესაბამისობის სერთიფიკატები.

17. დამატებითი ინფორმაცია ტენდერის პროცედურების შესახებ დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ - ლალი კეშელავასაგან და მანანა დანელიასაგან ტელ-ფაქსი: (+995 393) 7-01-48, ტექნიკური მონაცემების შესახებ ვლადიმერ ხოხობაიასაგან შპს "ფ.ს.ნ."-ს დირექტორი წარმოებისა და ექსპლუატაციის დარგში ტელ-ფაქსი: (+995 393) 7-01-02 მობ/ტელ: 8(99) 57-01-03, ელ. ფოსტა: contact@potiseaport.com ან admin@potiseaport.com.

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

შპს "ბათუმის საზღვაო-სავაჭრო ნავსადგური" აცხადებს ტენდერს ***"ალბატროსისა" და "განცის" ტიპის პორტალური ამწეების ელექტრო მოწყობილობების რეკონსტრუქცია - მოდერნიზაციაზე*** და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად:

დაინტერესებულმა პირებმა სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით უნდა გადაიხადონ შპს "ბათუმის საზღვაო-სავაჭრო ნავსადგური"-ს საბანკო ანგარიშზე: : ს.ს. თიბისი ბანკის ბათუმის ფილიალი; მფო 220 101 835; ანგარიშის N 34700347; საიდენტიფიკაციო N 245383678 მიუთითონ გადახდის მიზნობრიობა და წარმოადგინონ თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, ქუთაისის ქ. N1 რის შემდგომაც გადმოგეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია. სატენდერო დოკუმენტაციის მიღების საბოლოო ვადაა 2006 წლის 18 აპრილი

ღეკონსტრუქცია-მოდერნიზაციის ადგილია - ქ.ბათუმი, გოგებაშვილის ქ. N11

დაფინანსების წყარო - საზოგადოების სახსრები.

განხორციელდება 1(ერთ) ეტაპად 90(ოთხმოცდაათი) დღის ვადაში. პრედენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები ქართულ ან ინგლისურ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 19 მარტიდან 21 მარტის 16 საათამდე. მისამართი ქ. ბათუმი, ქუთაისის ქ. N1

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

იურიდიულ პირთათვის:

- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
- ცნობა საჯარო რეესტრიდან პრეტენდენტის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ;
- ცნობა სასამართლოდან, რეგისტრაციის ადგილის მიხედვით, რომ პრეტენდენტის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების, ან რეაბილიტაციის საქმის წარმოების პროცესი;
- ინფორმაცია ანალოგიური საქონლის მიწოდების გამოცდილების შესახებ;
- ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ფინანსური მდგომარეობის შესახებ
- ცნობა ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობებზე მომუშავეთა კვალიფიკაციის შესახებ.
- ცნობა იმის შესახებ, რომ ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობებზე მომუშავეთა მიმართ არ მიმდინარეობს წინასწარი გამოძიების პროცესი;
- პრეტენდენტის რეკვიზიტები (მისამართი, საიდენტიფიკაციო კოდი, ტელეფონისა და ფაქსის ნომერი, საბანკო რეკვიზიტები)

ფიზიკურ პირთათვის:

- პრეტენდენტის პირადი რეკვიზიტები (პირადობის მოწმობის ასლი, საიდენტიფიკაციო კოდი, საკონტაქტო რეკვიზიტები)
- ცნობას, შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან იმის თაობაზე, რომ პრეტენდენტს მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედუნარიანობა;
- ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოების პროცესი (სასამართლოდან რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);
- ინფორმაცია ანალოგიური საქონლის მიწოდების გამოცდილების შესახებ;

საკვალიფიკაციო მოთხოვნების დაკმაყოფილების დამადასტურებელი დოკუმენტები წარმოდგენილი უნდა იქნეს ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლების სახით.

სუბკონტრაქტორის არსებობის შემთხვევაში წარმოდგენილ უნდა იქნეს დამატებით მათი საკვალიფიკაციო მონაცემებიც.

ყველა სავალდებულო დოკუმენტაცია წარმოდგენილ უნდა იქნას დალუქული სახით.

პრედენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წიმადადებები არ შეესაბამებიან სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადებების მოთხოვნებს.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან ირაკლი ცივაძე ტელ. სამსახურის 888 222 76126, მობ. 899 542 700. ქ. ბათუმი, ქუთაისის ქ. N1, შ.პ.ს. "ბათუმის საზღვაო-სავაჭრო ნავსადგური"

**სატენდერო კომისია**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ქ. თბილისის მთაწმინდა-კრწანისის რაიონის გამგეობა, მდებარე: 0114, ქ. თბილისი, გენერალ გ. გულუას ქ. N4-ში აცხადებს ტენდერს მთაწმინდა-კრწანისის რაიონის ტერიტორიაზე განლაგებული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებისათვის კვების პროდუქტების მიწოდების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. სკოლამდელი აღზრდის 21 დაწესებულებისათვის მისაწოდებელია შემდეგი სახისა და რაოდენობის კვების პროდუქტები:

| | N | პროდუქტის დასახელება | ზომის ერთეული | სატენდერო ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მისაწოდებელი რაოდენობა |
|---|---|---|---|---|
| ლოტი N1 | 1. | პური ჭვავის | კილოგრამი | 7893 |
| | 2. | პური ხორბლის | კილოგრამი | 23679 |
| ლოტი N2 | 3. | ფქვილი ხორბლის | კილოგრამი | 1842 |
| | 4. | ფქვილი კარტოფილის | კილოგრამი | 395 |
| | 5. | მაკარონის ნაწარმი | კილოგრამი | 2105 |
| | 6. | ბურღულეული | კილოგრამი | 5262 |
| | 7. | პარკოსნები | კილოგრამი | 1052 |
| | 8. | ხორცი | კილოგრამი | 13155 |
| | 9. | კვერცხი | ცალი | 65774 |
| | 10. | რძე (რძის ფხვნილი, ან შედედებული რძე) | კილოგრამი | 5262 |
| | 11. | ხაჭო ან ყველი | კილოგრამი | 5262 |
| | 12. | კარაქი | კილოგრამი | 3157 |
| | 13. | ზეთი | კილოგრამი | 1842 |
| | 14. | კარტოფილი | კილოგრამი | 31572 |
| | 15. | ბოსტნეული | კილოგრამი | 36834 |
| | 16. | ხილი ახალი | კილოგრამი | 34203 |
| | 17. | შაქარი და საკონდიტრო ნაწარმი შაქარზე გადაანგარიშებით | კილოგრამი | 9208 |
| | 18. | ჩაი | კილოგრამი | 26 |
| | 19. | კაკაო | კილოგრამი | 53 |
| | 20. | მარილი | კილოგრამი | 789 |

სკოლამდელი აღზრდის თვითოეული დაწესებულებისათვის მისაწოდებელი პროდუქტების

კონკრეტული რაოდენობა დაზუსტდება ყოველთვიური განაცხადის შესაბამისად.

3. მიწოდების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან (სავარაუდოდ 2006 წლის 01 მაისიდან) 2006 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

4. დაინტერესებულმა პირებმა განაცხადი ტენდერში მონაწილეობის სურვილის შესახებ, საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადებები (დახურულ კონვერტში) ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 18 აპრილიდან 2006 წლის 20 აპრილის 12 საათამდე შემდეგ მისამართზე: 0114 ქ. თბილისი გენერალ გ. გულუას ქ. N4, VI სართული, ოთახი N613.

5. ტენდერის შედეგად, ლოტების შესაბამისად გამოვლინდება ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული.

6. ტენდერში მონაწილის საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

6.1 იურიდიული პირისათვის:

ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

ბ) ცნობა სასამართლოდან, ან საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება მისი

რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

გ) ცნობა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა.

6.2. ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობა, შესაბამისი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არა აქვს შეზღუდული ქმედუნარიანობა.

6.3. ფიზიკური და იურიდიული პირისათვის:

ა) ცნობა სასამართლოდან, ან საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ მიმდინარეობს მისი

გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება;

ბ) უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული, ან მოცემულ პერიოდში

მიმდინარე ანალოგიური მიწოდების შესახებ.

7. განცხადებას, ტენდერში მონაწილეობის შესახებ, საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად, რომელიც შედგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე, თან უნდა ახლდეს წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნუსხა, ხელმოწერილი განმცხადებლის მიერ. კვალიფიკაციის გასავლელად განმცხადებელმა უნდა დააკმაყოფილოს ყველა ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მოთხოვნა. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას თუ ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-6 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

8. სატენდერო მოსაკრებელი, რომელიც შეადგენს 200 (ორასი) ლარს, გადახდილი უნდა იქნეს შემდეგ ანგარიშზე: N200122900, ბიუჯეტის შემოსულობების ერთიანი ანგარიში (მთაწმინდა-კრწანისი), ეროვნული ბანკი, ბანკის კოდი 220101107, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი 300034040, დანიშნულება - ადგილობრივი სატენდერო მოსაკრებელი. დაინტერესებულ პირებს სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შეეძლებათ სატენდერო მოსაკრებელის გადახდის დამადასტურებელი საბუთის წარმოდგენისთანავე 2006 წლის 17 აპრილის 18 საათამდე, შემდეგ მისამართზე: 0114 ქ. თბილისი გენერალ გ. გულუას ქ. N N4, VI სართული, ოთახი N613. სატენდერო დოკუმენტაცია შესრულებული იქნება ქართულ ენაზე.

9. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგ საკონტაქტო ტელეფონზე: 99-84-46, ეკონომიკური პოლიტიკის განყოფილების მთავარი სპეციალისტი მამუკა სიდამონიძე - სატენდერო კომისიის აპარატის წევრი.

მთაწმინდა-კრწანისის რაიონული
გამგეობის სატენდერო კომისია

## TV5MONDE

### 29 მარტი

**07.00, 09.00,** 10.00(კანადა) **13.00,** 16.00(ბელგია) **17.00, 19.15, 21.00, 01.00,** 01.45(შვეიცარია), 04.00(აფრიკა), **05.10** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **12.00, 15.00, 20.00, 23.30** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **07.30** ამერიკის ფრანკოფონია. კვებეკი. დოკ. ფილმი. **08.30** ქრონიკები მთიდან. **09.30** ტელედილა. **11.30** ეკატერინე. სერიალი. **12.05** ბალი და დასვენება. **13.15** რომ გახდე კაცი. ციმბირი. დოკ. ფილმი. **15.05** TV5-ის სამყარო. **16.30** ციფრები და ასოები. ტელეთამაში. 17.30. სიცრუე. მხ ფილმი. რეჟისორი ჟან-დომინიკ რომ-ფუკო. 2003. **19.35** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **21.30** ჩვენი პლანეტა თვალის ერთი გადავლებით. **24.00** ბალკანეთის უკანასკნელი მბრძანებელი. წითელი მეგობარი. მხ ფილმი. რეჟისორი მიშელ ფავარი. 2005. **02.20** ბაქანი N1 სერიალი.

## ცვლილება

**გაზეთ 24 საათის 15 მარტის N55-ში საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის მიერ გამოცხადებულ საერთაშორისო ტენდერში შეტანილია შემდეგი ცვლილებები:**

**1.** პრეტენდენტებმა ქართულ ენაზე უნდა უნდა წარმოადგინონ საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და შედგენილი სატენდერო წინადადება დალუქული კონვერტით **2006 წლის 6 აპრილს 17.00 საათამდე,**

**2.** სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება **2006 წლის 6 აპრილს 17:00 საათზე.**

**3. სატენდერო წინადადების შეფასება მოხდება 2006 წლის 7 აპრილს 17:00 საათამდე.**

**სატენდერო კომიია**

## საგრანტო კონკურსი

ქალაქებისათვის ტასისის საგრანტო სქემის (TCAS) ფარგლებში დასაფინანსებლად ევროაიდი იწვევს საქართველოს მუნიციპალიტეტებს წარმოადგინონ საპროექრო წინადადებები (სქემა ფინანსდება ევროკავშირის მიერ).

TCAS სქემით ევროკავშირი 5 ქვეყნის (ბელარუსი, მოლდოვა, რუსეთი, საქართველო, უკრაინა) გამარჯვებულ მუნიციპალიტეტებს 1,6 მილიონ ევროს გაუნაწილებს. საპროექტო წინადადებები ქალაქების პრიორიტეტულ გარემოსდაცვითი პრობლემების გადაჭრაზე უნდა იყოს მიმართული. ეს შეიძლება იყოს:

- მყარი და სახიფათო ნარჩენების მართვა;
- ზედაპირული ან მიწისქვეშა წყლების დაბინძურების შემცირება, წყლის დაზოგვა;
- ჰაერის დაბინძურების შემცირება (ავტომობილების ან მრეწველობის მავნე გაფრქვევების შემცირება);
- ენერგო ეფექტურობის ზრდა მუნიციპალურ შენობებში (ალტერნატიული ენერგიის წყაროების გამოყენების ჩათვლით);
- და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ყველა ზემოთმოხსენიებულ სფეროში (ცნობიერების ამაღლება, არსებული მდგომარეობის შეფასება სახელმწიფო ორგანოების და საზოგადოების წარმომადგენლების მიერ)

პროექტის წარდგენის უფლება აქვს საქართველოს ყველა რაიონული ცენტრის და რაიონში არშესული ქალაქების მუნიციპალიტეტს. წახალისდება თანამშრომლობა მუნიციპალიტეტებს შორის და პარტნიორობა არასამთავრობო ორგანიზაციებთან. თითო პროექტის ფარგლეში დასაშვებია 120-დან 160 ათასამდე ევროს მოთხოვნა. განმცხადებელმა უნდა უზრუნველყოს ფინანსური სახსრები პროექტის 20%-ს თანადაფინანსებისათვის. საპროექტო წინადადებები უნდა შედგეს ინგლისურ ენაზე (წინასწარ დადგენილი სააპლიკაციო ფორმის მიხედვით) და უშუალოდ განმცხადებლის მიერ გაიგზავნოს ბრიუსელში. განიხილება მხოლოდ ევროეიდის მიერ 2006 წლის 30 ივნისამდე მიღებული განაცხადები. გამარჯვებული მუნიციპალიტეტები გამოვლინდება 2006 წლის სექტემბერში.

განაცხადის წარდგენისათვის საჭირო დოკუმენტები, აგრეთვე ინფორმაცია დაინტერესებული მუნიციპალიტეტების ტრენინგის შესახებ იხილეთ ინტერნეტ-გვერდზე http://tcas.rec.org . ტრენინგი დაინტერესებული მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებისათვის გაიმართება თბილისში, 2006 წლის 16-18 მაისს. ტრენინგში მონაწილეობის მსურველები უნდა დარეგისტრირდნენ TCAS ხელშემწყობი პროექტის წარმომადგენელთან ქვემოთ მითითებულ მისამართზე.

ინფორმაციისათვის მიმართეთ TCAS ხელშემწყობი პროექტის წარმომადგენელს საქართველოში, ქ-ნ ლია თოდუას, ტელ: 899 577959, 399019, ფაქსი: 250711, ელ-ფოსტა: *lia@tcas.rec.org*

## ინფორმაცია

საქართველოს საავადმყოფოთა რესტრუქტურიზაციის ფონდის მიერ 2006 წლის 25 მარტს გამოცხადებულ ღია საერთაშორისო ტენდერში ახალი სამედიცინო ტექნიკური ნაკეთობების შესყიდვაზე, მათ ადგილზე მიწოდებაზე, სამონტაჟო სამუშაოების შესრულებაზე, სამედიცინო პერსონალის სწავლებაზე და საგარანტიო მომსახურებაზე შესყიდვის ობიექტებს აქვთ შემდეგი ნუმერაცია:

შესყიდვის ობიექტი -

**ლოტი 1. სასტერილიზაციო აპარატურა**

**ლოტი 2. ენდოსკოპიური აპარატურა;**

**ლოტი 3. ლაპაროსკოპიული აპარატურა და ელექტროდანები;**

**ლოტი 4. რენტგენოგრაფიული სისტემა;**

**ლოტი 5. მობილური რენტგენი;**

**ლოტი 6. ქირურგიული C-Arm-ი;**

**ლოტი 7. კომპიუტერული ტომოგრაფი;**

**ლოტი 8. მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფი;**

**ლოტი 9. სტაციონარული შავ-თეთრი ულტრაბგერითი სკანერი;**

**ლოტი 10. სტაციონარული ფერადი დოპლერით ულტრაბგერითი სკანერი კარდიოლოგიისათვის;**

**ლოტი 11. ანესთეზიისა და ხელოვნური სუნთქვის აპარატურა;**

**ლოტი 12. რეანიმაციული აპარატურა;**

**ლოტი 13. დიაგნოსტიკური აპარატურა;**

**ლოტი 14. ნეიროქირურგიული აპარატურა;**

**ლოტი 15 საოპერაციოს აღჭურვილობა და ქირურგიული ინსტრუმენტები.**

**საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი
მოწვევა ეროვნულ საკონკურსო ვაჭრობაზე (ტენდერზე)
საიდენტიფიკაციო ნომერი: N 100702
მსოფლიო ბანკის კრედიტი N IDA- 37580-GE
თიღვის თემი, სოფ. ავნევის ბაგა-ბაღის რემონტი**

Sაქართველოსა და განვითარების საერთაშორისო ასოციაციას შორის დადებული შეთანხმების საფუძველზე საქართველოს მთავრობამ განვითარების საერთაშორისო ასოციაციისგან (IDA) მიიღო სესხი და აპირებს სესხის ნაწილით დააფინანსოს **თიღვის თემის, სოფ. ავნევის ბაგა-ბაღის რემონტი.**

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა, გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება **თიღვის თემის, სოფ. ავნევის სათემო ორგანიზაცია "ავნევ"**-თან, რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, სოფ. ავნევის სათემო ორგანიზაცია **"ავნევი"** იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ დაინტერესებულ სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად. საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ **2006 წლის 29 მარტიდან,** ყოველ დღე (შაბათ-კვირის გარდა) **10-დან 18 საათამდე**, შემდეგ მისამართზე:

**ქ. თბილისი, 0105, იეთიმ გურჯის ქუჩა N 7ბ**
**საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი**
**ტელ: (995 32) 94 32 40; 94 29 47; 92 34 70**
**ფაქსი: (995 32) 94 04 39**
**საკონტაქტო პირი: კლარა მოსულიშვილი, სოციალური ინვესტიციების დეპარტამენტის მენეჯერი**

საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს **20 (ოცი) ლარს,** რომელიც გადახდილ უნდა იქნას ბანკში შემდეგ რეკვიზიტებზე:

**ბანკის სახელი: "კომერციული ბანკი რესპუბლიკა"**
**მისამართი: ქ. თბილისი, გრ. აბაშიძის ქუჩა N2**
**ა/ა: 34080001**
**კოდი: 220 101 757**
**ბენეფიციარი: საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი**

თანხის გადახდის დამადასტურებელი საბუთი უნდა იქნას წარმოდგენილი სატენდერო პაკეტის მოთხოვნისას.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან **60 დღის** განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით **2 100 ლარის** ოდენობის საკონკურსო გარანტია.

საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება. დაინტერესებულ კონკურსანტებს ამავე მისამართზე შეუძლიათ მიიღონ კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია.

